K 216 371
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ბაგრატიონი

# ახალი ისტორია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ისტორიის წყაროები

## 33

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები

## IV

«მეცნიერება»

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ბაგრატიონი

# ახალი ისტორია

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო
ლელა მიქიაშვილმა

თბილისი
1983

9(c922)„17-18“(001)

ეროვნული ბიბლიოთეკა

9(c41)
63.3(2Г)
9(47.922)
ა 984

მთავარი სარედაქციო კოლეგია

მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი რ. კიკნაძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური, (მთავარი რედაქტორი), ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე.

სერიის რედაქტორი ვ. გაბაშვილი
ტომის რედაქტორი გ. პაიჭაძე

ნაშრომი მიზნად ისახავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ძეგლის — „ახალი ისტორიის“ როგორც წყაროს შესწავლას.

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია თხზულების ავტორის ვინაობის საკითხი და სათანადო არგუმენტაციის მოშველიებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ნაშრომი თეიმურაზ ბაგრატიონის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. ამასთან ერთად დადგენილია თხზულების უადრესი ნუსხა და მისი დაწერის მიახლოებითი თარიღი.

წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია „ახალი ისტორიის“ ტექსტი, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები.

ნაშრომი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის.

K 216371
30 ოთ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა $\frac{10604}{\text{M } 607(06)-83}$ 147—83

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.

2. აბრამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1979.

6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. Памятник эриставов. Перевод, вступительная статья и комментарии С. С. Какабадзе, Тб., 1979.

13. С у м б а т д а в и т и с-д з е. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.

15. მ უ ს ტ ა ფ ა  ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზ ა ქ ა რ ი ა  ა გ უ ლ ე ც ი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. ა რ ს ე ნ  ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V—X სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX—XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980.

23. კ. კ ო ხ ი ს ა  დ ა  ო. ს პ ე ნ ს ე რ ი ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

24. ი ს ქ ა ნ დ ე რ  მ უ ნ შ ი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პ ა პ უ ნ ა  ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური, XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1981.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1981.

30. IX—XIII სს. ქართული ისტორიული საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მ. ბერძენიშვილმა, თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, წარმოებაშია.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევით, ტერმინოლოგიური შენიშვნებით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9
„ახალი ისტორიის" ავტორის ვინაობის საკითხისათვის . . . . . . . . 12
„ახალი ისტორიის" თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერი . . . . . . . . 22
„ახალი ისტორიის" ხელნაწერების მიმოხილვა . . . . . . . . . . . . . . 30
„ახალი ისტორიის" დაწერის თარიღის დადგენისათვის . . . . . . . . . . . 33
„ახალი ისტორიის" მნიშვნელობა ქართულ საისტორიო მწერლობაში . . . . . 40
ტექსტისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
ახალი ისტორია (ტექსტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45
Новая история (резюме) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89
საძიებლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

„ახალი ისტორია“ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატიული წყაროა. სამეცნიერო ლიტერატურაში მის ავტორად მიჩნეულია დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე).

„ახალი ისტორია“ შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744 წლიდან 1819 წლამდე. თხზულება აგებულია ქრონიკის წესზე. ავტორი ეხება ხსენებული პერიოდის საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას სამხედრო-პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო თუ კულტურულ დარგში.

ამ ძეგლის ტექსტი შემონახულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ოთხ ხელნაწერში — 1) A-1766; 2) H-25; 3) H-26; 4) S-3860. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს დავითის ავტოგრაფს. სსრკ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება აგრეთვე ამ ძეგლის ოთხი ხელნაწერი M-16, M-17, E-67, E-229[1]. ამათგან M-17 და E-67 წარმოადგენენ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ H-25-ის გვიანდელ პირს (გადაწერილია 1842 წელს იოსებ ნაზაროვის მიერ); E-229 და M 16 კი A-1766-ის პირებია. E-229 გადაწერილია ბროსეს მიერ და სათანადო შენიშვნები ახლავს ფრანგულ ენაზე, M-16 კი გადაწერილია ასევე იოსებ ნაზაროვის მიერ 1842 წელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველ ცნობას „ახალი ისტორიის“ შესახებ ვხვდებით დავით ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ II წიგნში. აქ დაბეჭდილია ტექსტის ნაწილი, კერძოდ, პერიოდი 1744 წლიდან ქართლ-კახეთის გამგებლად დავითის დანიშვნამდე, სათაურით: „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“[2];. წინასიტყვაობაში დ. ჩუბინაშვილი მას იხსენიებს, როგორც «Продолжение Вахуштиевой ис-

[1] ამ ხელნაწერებიდან M—16, M—17 და E-67 აღწერილია რ. ორბელის მიერ, იხ. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения, вып. I, Москва - Ленинград, 1956, с. 34—36.

[2] ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1854, გვ. 501—516.

тории, т. е. «История Карталинии, Кахетии и, отчасти, Имеретии с 1744 г. по 1800 г. царевича Давида»[3].

„ქართლის ცხოვრების“ II წიგნში დაბეჭდილი ეს ტექსტი აკად. ს. ყაუხჩიშვილს უცნობი ავტორის თხზულებად აქვს მიჩნეული[4]. როგორც ჩანს, იგივე აზრს იზიარებენ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ავტორებიც, რომელთაც „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ და „ახალი ისტორია“ სხვადასხვა თხზულებებად მიუჩნევიათ და შენიშვნებში მათ ცალ-ცალკე მიუთითებენ[5].

დ. ჩუბინაშვილის ზემოხსენებული გამოცემა 1913 წ. გაიმეორა ზ. ჭიჭინაძემ[6].

1905 წ. მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ხელნაწერი H-25 სათაურით: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ“.

1941 წ. კი აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით თ. ლომოურმა გამოსცა ხელნაწერი A—1766[7].

ხელნაწერი S—3860 არ არის გამოცემული. იგი წარმოადგენს თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილებას და მის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

1959 წ. მკვლევარმა გ. ბახტაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებანი“[8]. წერილში ერთ-ერთ საკითხად შეტანილია „დ. ბაგრატიონის შრომების მოკლე ბიბლიოგრაფიულ-ანალიტიკური აღწერილობა“, რომელშიც ავტორს დავით ბატონიშვილის „საისტორიო დარგის“ შრომების ნუსხაში ერთი თხზულება („ახალი ისტორია“) დანაწილებული აქვს სამ სხვადასხვა შრომად და თითოეულ მათგანს შემდეგნაირად ახასიათებს:

„1. „ესე ქართლის ისტორია ახალი...“ (1744—1812 წწ.) უმთავრესად საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს მოიცავს, როდესაც საქართველოს სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას ახა-

---

[3] იქვე, გვ. XXXII.

[4] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 010.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 681, შენიშვნა 5-6; აგრეთვე გვ. 683, შენიშვნა 1 და სხვ.

[6] საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდანვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913.

[7] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941.

[8] გ. მ. ბახტაძე, დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებანი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 14, 1959, გვ. 227—242.

ლი მიმართულება მიეცა. შრომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების საკითხს. „ახალი ისტორიის“ პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიას 1801 წლამდე და ცნობილია სახელწოდებით: „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, დაიწერა თბილისში, ხოლო მეორე ნაწილი, სადაც გადმოცემულია საქართველოს ახალი ისტორია 1812 წლამდე, დავითმა დაასრულა პეტერბურგში 1816 წლის დეკემბერში. ხელნაწერი — „ესე ქართლის ისტორია ახალი აღწერილი...“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A № 17645[9] და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება (!) ცალკე წიგნად გამოსცა თ. ლომოურმა. ახალი ისტორია, თბ., 1942 (!)“.

2. „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ (1744—1801 წწ.) — „ახალი ისტორიის“ პირველი ნაწილია და მთავრდება 1801 წელს საქართველოს მთავარმმართებელ გენერალ-ლეიტენანტის კნორინგის დანიშვნით. შრომა დაიწერა თბილისში 1801 წელს. „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ დაიბეჭდა 1906 წ. თბილისში ზ. ჭიჭინაძის რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ცხოვრებაში“.

3. „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ წარმოადგენს „ახალი ისტორიის“ წინასწარ ჩატარებულ გამოკვლევას. მასალებზე მუშაობა დავითმა დაასრულა 1812 წელს, რადგან ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობის“ დედანში, გამოტოვების ნიშნით, კიდეზე შემდეგი მინაწერი გაუკეთებია: „ეს ზემოაღწერილი ჩემი ძმის დავითისაგან არის აღწერილი და ესე „ახალი მოთხრობა“ ჩემგან, მეფის ძის ბაგრატისა“ (თბ., 1906 წ.)“[10].

აი ყველა ის მასალა და მოსაზრებანი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არის წარმოდგენილი „ახალი ისტორიის“ შესახებ. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემის წინასიტყვაობაში გამოყენებული გამოთქმა «Продолжение Вахуштиевой истории...» როგორც ჩანს, გამომდინარეობს იმ ხელნაწერის შედგენილობიდან, რომელსაც ემყარება დ. ჩუბინაშვილი. მან თავისი გამოცემის დედნად, თ. ლომოურის ვარაუდით, აიღო S-3860 ხელნაწერი[11]. ჩვენ შევამოწმეთ ეს ვარაუდი, ერთმანეთს შევუჯერეთ დ. ჩუბინაშვილის გამოცემა და S-3860 ხელნაწერის ტექსტები და დავრწმუნდით მის სისწორეში.

---

[9] დასახელებულ ფონდში ამ რიცხვის ხელნაწერი არ არსებობს. ავტორი აქ ალბათ გულისხმობდა A—1766 ხელნაწერს.

[10] გ. ბახტაძის, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

[11] ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., გვ. XIV.

აღნიშნულ S-3860 ხელნაწერში ვახუშტის თხზულებას („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) უშუალოდ მოსდევს და აგრძელებს „ახალი ისტორიის“ ტექსტი. როგორც ჩანს, სწორედ ამ არქეოგრაფიულ ფაქტს ემყარება ტექსტის პირველი გამომცემლის დ. ჩუბინაშვილის მიერ ხმარებული გამოთქმა წინასიტყვაობაში — «Продолжение Вахуштиевой истории». ამ თხზულებისათვის დ. ჩუბინაშვილს მიუცია „ახალი ისტორიისაგან“ განსხვავებული სათაური: „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“. „ახალი ისტორიის“ ტექსტი აღნიშნული სათაურით დ. ჩუბინაშვილს მთლიანად კი არ გამოუცია, არამედ დაუმთავრებია საქართველოს უკანასკნელი მეფის— გიორგი XII-ის გარდაცვალებით. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ „ახალი ისტორიის“ მოყვანილი ნაწილი ცალკე ნაშრომია, როგორც ეს მიუჩნევია მკვლევარ გ. ბახტაძეს. ტექსტის შეცვლა (შემოკლება) ამ შემთხვევაში მიეწერება გამომცემელს და არა ძეგლის ავტორს. როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილს სურდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი დაემთავრებინა XVIII ს-ით და, რაც მთავარია, საქართველოში მეფობის გაუქმებით, ამიტომაც გამოსცა მან „ახალი ისტორიის“ ტექსტის მხოლოდ გარკვეული ნაწილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ არასწორად და ხელოვნურად მიგვაჩნია მკვლევარ გ. ბახტაძის მიერ „ახალი ისტორიის“ ტექსტის სამ დამოუკიდებელ ნაშრომად დაყოფა. ამის უფლებას „ახალი ისტორიის“ არცერთი ხელნაწერის მონაცემები არ გვაძლევენ.

## „ახალი ისტორიის“ ავტორის ვინაობის საკითხისათვის

„ახალი ისტორიის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია მისი ავტორის ვინაობის საკითხმა.

ლევან ასათიანის შრომის „ვოლტერიანობა საქართველოში“[12] ერთ-ერთი თავი მიძღვნილია დავით ბატონიშვილისადმი, სადაც „ახალი ისტორიის“ შესახებ მკვლევარი წერს: „დავით ბატონიშვილს დაუწერია თითქოს ისტორიული ხასიათის შრომაც, რომლის სათაურია: „ნანდვილ ისტორია ესე, აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ, ისტორია ესე ახლად შედგენილი ქართლის ცხოვრებისად“. ეს თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744—1840 წლებისას, გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ 1905 წ. სათაურით: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“. გამომცემლის აზრით, ეს შრო-

[12] ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1958.

მა დავითს მთლიანად არ ეკუთვნის, არამედ 1819 წლამდე (დავითის გარდაცვალების წელია — ლ. მ.), შემდეგ კი ბატონიშვილს ბაგრატს[13]". აქვე ავტორს მოჰყავს კ. კეკელიძის აზრი, რომ იგი დავითს 1819 წლამდეც არ უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან „დავითი იყო ურწმუნო კაცი, ვოლტერიანელი, წიგნი კი სავსეა სასწაულებით და რელიგიური ელემენტით. სტილი მისი თავიდან ბოლომდე ერთია"[14].

ეს შეეხება H-25 ხელნაწერს, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თ. ლომოური თავის გამოცემაში ყურადღებას ამახვილებს ტექსტის იმ ნაწილზე, რომელიც, მისი აზრით, არ უნდა ეკუთვნოდეს დავით ბატონიშვილს. აი ეს ადგილიც:

„ხოლო შემდგომად მისსა ჰყვეს გამგედ და მართებელად ქართლისა პირმშო ძე მისი დავით... ამან იწყო მართვად ქართლისა ფრიად გონიერად, ვინაითგან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმრთოთა და ფილასოფიათა, ეგრეთვე სამჴედროსასა შინა, ვინაითგან უწყოდა მან ვითარცა კანონი სამოქალაქოჲ და სამჴედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპისაცა. გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზრდილმან მისთანა, მთავარ-დიაკონმან ეგნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს, და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა აღა ტერ-სიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველთანი, და მხედველი ამისი დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა-ვნებულ. ამან მიუღო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს ლიახვი და გვერდისძირი ბიძასა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა, რომელიცა აქვნდათ გამორთმეულ ორმეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა..."[15].

---

[13] აქვე მოვიყვანთ მ. ჯანაშვილის აზრს: „...მთლად ეს წიგნი დავითის მიერ შედგენილი არ არის: ხელნაწერის 203-ე გვერდზე სწერია „ამავე წელსა (1819) მაისის 13-ს მიიცვალა მეფის გიორგის პირმშო და მემკვიდრე ქართლისა დავითი". მაშასადამე, დავით ბატონიშვილს შეეძლო ამ მასალების წერა მხოლოდ 1819 წლის დასაწყისამდე. ამის შემდეგ მასალები განუგრძვიათ მის ძმებს, მაგ. ბაგრატს, რომელიც დედანში მრავალგან აცხადებს თავისს სახელს საკუთარის ხელმოწერით. ეს ბაგრატი ფრიად ცრუმორწმუნე კაცი ყოფილა: ხელნაწერის ბოლო ნაწილი გაუვსია მრავალგვარ სასწაულების აღწერით"... (მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ. გამოსცა მ. ჯანაშვილმა, ტფ. 1905. გვ. 5).

[14] ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[15] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 67—68.

ამ მონაკვეთის შესახებ თ. ლომოური თავის გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „მოყვანილი ვრცელი ამონაწერი, ყოველივე ეჭვს გარეშეა, არ ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, არამედ ძეგლის რედაქტორს, საფიქრებელია, ბაგრატ ბატონიშვილს. აქ ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს დავითის საქციელთა გამოწვეული გაკიცხვისა და გულისწყრომის გამოთქმა და არა „თვითკრიტიკა“ დავითისა, რომელიც აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ შეცდომას, როგორც ეს ჰგონია ალ. ბარამიძეს“[16].

ამ შემთხვევაში ჩვენც ვიზიარებთ თ. ლომოურის აზრს, მაგრამ, ჩვენი აზრით დაეჭვებას იწვევს არა მარტო აღნიშნული მონაკვეთი, არამედ თვით ის ფაქტი, რომ თხზულებაში დავით ბატონიშვილი ყველა შემთხვევაში მოხსენიებულია მესამე პირში.

ამასთანავე, რამდენიმე ადგილას მისი გადაჭარბებული შექება მოცემული, მაგალითად: „მაშინ მეფის ძის ძეი დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. სცნა რა მან, მოკრიბნა ბორჩალოველნი ვიდრე ას კაცამდე, ეწია იედიბოლუქსა, სძლო მათ (ლეკებს—ლ. მ.) და მიუღო ყოველივე ნატყვენავი“[17].

„მუნ თვით მეფის ძის ძეი დავით იყო ფრიად მხნეთ, რომელმანცა ჴელითა თვისითა მოკლა თიქნისელი ხანი თოფითა. რჩეული მჴედარი თურქთა შორის... ესე იყო საკვირველ, რომელ ყრმაჲ წლისა ოცდასამისა და გამოუცდელი ბრძოლისა ესრეთ იყო დღესა მას მჴნედ, რომელ განაკვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი“[18].

ცხადია, ძეგლის ავტორი საკუთარ თავზე ასე ვერ დაწერდა. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ისიც, რომ დავით ბატონიშვილს არა მარტო დასაშვებად, არამედ (გარკვეულ მიზეზთა გამო) აუცილებლადაც მიეჩნია თხზულებაში საკუთარი თავის მესამე პირში მოხსენიება, ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ მას საერთოდ უნდა ჰქონოდა შემუშავებული თხზულების წერის ასეთი სტილი, მაგრამ თავის სხვა ნაწარმოებებში დავითი სულაც არ ერიდება პირველ პირში თხრობას და საკუთარი თავის მოხსენიებას. ასეთი სტილი ახასიათებს მის „სამართალსაც“ რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

---

[16] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშ., გვ. XVI. აქვე მოვიყვანთ ალ. ბარამიძის თვალსაზრისს ძეგლის ავტორის ვინაობის შესახებ: „დავითი უდავოდ „საისტორიით მასალების“ შეკრების ინიციატორია და პირადად მის კალამს ეკუთვნის ამ „მასალების“ მომეტებული ნაწილი. როგორც მოსალოდნელი იყო, დავითისათვის უცხოა ყოველგვარი სასწაულებრივი მომენტი და სხვებთან შედარებით ერთგვარ ისტორიულ ობიექტურობასაც იჩენს, სხვათა შორის, „თვითკრიტიკის“ წერითაც. (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი: ვოლტერიანობა საქართველოში, ჟურ. მნათობი, 1934, № 7—8, გვ. 345).

[17] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 65.

[18] აქვე გვ. 62.

„ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფისა გიორგისათა წარმოუდ-გენ ყოველთა საზოგადოებათა გონებისა ჩემისა სჯათა... ვინათგან სოფ-ლისა ცვლილებისა გამო მწერალთა მიერ და თვით მსაჯულთაგანცა [illegible]-ლევბოდა მეტ და ნაკლულევანებაჲ და ამით ოდესმე [illegible] უთანხმობაჲცა სჯულსა შინა და კარგსა, — ამად მებრძანა უმაღლესისა მამისა ჩემისაგან და შევსთხზევ...

საქართველოს მეფის ძე, მემკვიდრე, რუსეთის ღენერალ-ლეი-ტენანტი და კავალერი დავით“[19].

თავის ისტორიულ ნაშრომში, რომელსაც შემოკლებულად „ნარ-კუშვი“ უწოდა[20], დავით ბატონიშვილი საკუთარ თავზე ასევე პირველ პირში წერდა: „შემდგომად მისსა (თეიმურაზისა—ლ. მ.) იქმნა ძე მისი ირაკლი მეორე ჩღჲა პაპაჩემი მეფედ ქართლისა და კახეთისა, რომელი-ცა არს აწინდელსა ჟამსა მეფეჲ ჩუშნი და ჰმართებს ბედნიერებითა ორსავე სამეფოსა“ (გვ. რკვ).

ამ მხრივ საინტერესოა დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე და-წერილი ნაშრომიც «История Грузии», სადაც ავტორი საკუთარ თავს ყვე-ლა შემთხვევაში პირველ პირში იხსენიებს მაგალითად: «Царь Ираклий послал м е н я с войсками во владение Карсское... Во время же сражения напал на м е н я один знатный по фамилии турок. Он семь раз успел поразить м е н я ударами сабли своей, от ко-торой защищен был щастливо панцырем[21].

«А в 1798-м скончался царь Ираклий, и, по смерти его вошел на грузинский престол сын его, а м о й р о д и т е л ь Геор-гий XIII»[22].

არის კიდევ ერთი დამაფიქრებელი გარემოება: დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება დავითის უმცროსი ძმის თეიმურაზ ბაგრატიო-ნის ნაშრომი „დავით ბაგრატიონის ისტორია“[23] იგი ქრონოლოგიურად 1789—1819 წლების ამბებს მოიცავს. ავტორის მიზანია წარმოაჩინოს დავით ბატონიშვილის საბრძოლო დამსახურებანი. ამიტომაა, რომ იგი მოცემული პერიოდის საქართველოს თანმიმდევრულ ისტორიას კი არ გადმოგვცემს, არამედ იფარგლება რამდენიმე საბრძოლო ეპიზოდით,

---

[19] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გამოსცა ი. ფურცელაძემ, თბ. 1964, გვ. 3—4.

[20] დაიბეჭდა თბილისში 1800 წელს.

[21] Д а в и д Б а г р а т и о н и, История Грузии, текст издал А. Рогава, Тбилиси, 1971, с. 167.

[22] იქვე გვ. 169.

[23] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ. 1972 წ.

რომლებშიც მონაწილეობა მიუღია დავით ბატონიშვილს[24]. ნაშრომის ორ მესამედზე მეტი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას და XVIII საუკუნის მიწურულის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ მოვლენებს ეხება. ბოლო, მე-9 თავში კი დავით ბატონიშვილის ვრცელი დახასიათება, გარდაცვალება და საფლავის ეპიტაფიაა მოცემული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს თავისი ნაშრომის წერისას ხელთ ჰქონია დავითის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და ის გამოუყენებია გარკვეულ გეგმად[25].

ეს ნაშრომი ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც „ახალ ისტორიასთან“ მისი შედარებისას აღმოჩნდა, რომ ფაქტები ერთმანეთის მიმსგავსებულად არის აღწერილი, იმ განსხვავებით, რომ თეიმურაზის ნაშრომში ფაქტები უფრო გავრცობილად არის გადმოცემული. მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს:

**დავით ბაგრატიონი**

**„ახალი ისტორია“**

1. „...სძლო მათ (ლეკებს — ლ. მ.) და მიუღო ყოველივე ნატყვენავი და ტყვენი. ესრეთ შიშუნეულ იქმნენ ლეკნი, ოდეს იწყეს რა ლტოლვა, ერთი მეორესა ჰყრიდიან ფლატესა ზედა ილტოისასა, ვინ წინა უსწროს ურთი-ერთარს, რომელნიცა იყვნენ უმეტეს ხუთასისა.

სისხლმან მათ ლეკთა დახოცილთამან სრულიად შეღება წყალი იგი ილტოისა წითლად“[26].

**თეიმურაზ ბაგრატიონი**

**„დავით ბაგრატიონის ისტორია“**

1. „...აოტნა იგინი (ლეკები— ლ. მ.) და ივლტოდეს და ესრეთ შიშნეულ იქმნეს, რომელ ყოველნივე ნატყვენავნი და ტყვენი და ანუ რაჲცა აქვნდათ მათ, ყოველნივე დაჰყარნეს მუნ და ესრეთ ივლტოდეს შეძრწუნებულნი, რომელ ლტოლვილნი ჰყრიდეს ურთიერთსა ფლატეთა ზედა მდინარისა ილტოსათა, რათა ერთიმეორესა წინა უსწრობდენმცა და მოსწყდეს მათგანნი კაცი ვიდრე ხუთასადმდე, რომელთაცა სისხლმან შეღება სრულიად მდინარე ილტოსა“[27].

---

[24] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც. გვ. 16.

[25] იქვე, გვ. 12.

[26] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 62—63.

[27] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 28.

2. „...ხოლო მეფის ძემ დავითმა შთაყარა ჭევსა შინა საგუბრისათა ზარბაზანნი იგი, რომელიცა აქვნდა მას თაბორის კერძო, რათა არა დაუშთეს სპარსთა და ესრეთ განარინა“[28].

3. „წელსავე ამას, 1789, ბრძანებითა მეფისათა მიუხდა მეფის ძის ძეი დავით ყარსსა ათასითა კაცითა და მოსტყვენა ინჯადარა, ფალდერევან და ჯომუშლი, და იალაფეს უმეტეს ათასისა ტყვისა“[30].

4. „მაშინ მოეწივათ უკანა მჴედრობა დიდი თურქთა მძლევანველობითა ალი-ბეგისათა და მაჰმად-ბეგისა, ძეთა ხათუნისათა. მუნ თვით მეფის ძის ძეი დავით იყო ფრიად მხნეთ, რომელმანცა ჰელითა თვისითა მოკლა თიქნისელი სანი თოფითა, რჩეული მჴედარი თურქთა შორის. უკანასკნელ, მოვიდა მას ზედა იშიყ-ბეგ, გამოჩენილი მჴედარი ყოველსა ყარსსა და ქურთსა ზედა, სადაც მეფის ძესა სცა მან შვიდი ხმალი, გარნა დაიცუა იგი ჯაჭვმან, ვინაითგან აქვნდა დაფარვით ტანსა ჯაჭვი. უკანასკნელ, მოკუდა ესეცა ჰელითა მეფის ძისათა.

2. „...და დამალნა (დავითმა— ლ. მ.) ზარბაზანნი იგი, რომელნიცა აქვნდა თჳს თანა ხევსა შინა საგუბრისასა... და ესრეთ განარინნა ზარბაზანნი იგი, რათა არა მისცნა იგინი ჴელთა შინა მტერთასა“[29].

3. „მასვე წელსა (1789—ლ. მ.) ღჳნობისთჳს (რომელ არს ოკდონბრის თვე) 16-სა, ბრძანებითა მეფისა ირაკლისათა ადგილნი იგი, რომელნი უპყრიესთ თურქთა საფაშოსა შინა ყარსისასა: ინჯადარა, ფალდრევანი და ჯომუშლი და სხვანი, წარმოსტყვენვა სრულიად და მცხოვრებნი მუნებურნი ტყვ[ე]დ წარმოიყვანა...“[31]...

4. „ხოლო უკვმობრუნებულსა მეფის ძეს დავითს დევნა უყვე[ს] ყოველთა ერთბამად მხედრობითა თურქთა და მცხოვრებთა და მდევართა მათ. მხედართმძლევანნი იყვნეს ალი-ბეგ და მაჰმად-ბეგ, ძენი ხათუნისანი... ოდეს მიეახლა მათ, ექვეთა მხნედ და ფიცხელად და მოკლა მეფის ძემან თოფითა თჳსითა სახელოვანი მხედარი თურქთა თიქსინელი, სახელით სანი. მაშინ მოუხდა მეფის ძესა სხვაჲ უძლიერესი მისსა მხედართმძლევანი თურთქა იშიყ-ბეგ და სცა ექვსგზის მეფის ძესა ძლიერად ჴრმლითა თჳსითა და ვერა რა ავნო მას, ვინაჲდგან მეფის ძესა ჩოხა-

---

[28] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 65.

[29] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 38.

[30] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 62.

[31] თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 23.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე იყო საკვირველ, რომელ ყრმაჲ, წლისა ოცდა სამისა და გამოუცდელი ბრძოლისა, ესრეთ იყო დღესა მას მხნედ, რომელ განაკვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი.

გარნა ბრძოლასა მას დაეფლა ცხენი ლიასა და გარდმოვარდა, გაექცა ცხენი, რომელიცა შეიპყრა და მოართვა გულმაჰმადა სარვანმან, ძემან შარიფისამან, და აღჯდა კვალად.

სა ქვეშე თჳსსა ეცვა ჯაჭვ[ი]ს პერანგი მოკლე. მაშინ განრისხებული მეფის ძე მიუხდა თურქსა მას და ესრეთ ძლიერად ჰკრა ხმალი, რომელ, რომელსაც ჴელსა შინა ეპყრა ჴრმალი ძლიერსა მას თურქსა, მხრითურთ მისით სრულიად მოჰკვეთა მკლავი და ესრეთ მყისვე მოაკვდინა იგი. უკვრდათ სიმხნე მისი ესევითარი არა მხოლოდ თუ ქართველთა, მტერნიცა განცჳფრებულ იყვნეს ამას ზედა.

ხოლო ბრძოლასა ამას შინა დაეფლა ცხენი მეფის ძესა ლიასა შინა, დაქვევითდა, ხოლო ცხენი მისი ივლტოდა. და შეიპყრა ცხენი იგი გულმაჰმად ძემან შარიფისამან, სარვანელმან, მსახურმან მეფის ძისამან და მოჰგუარა მას...

მუნ მოსწყდნენ ბრძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურისშვილები, რომელნიცა იყვნენ მჴნენი მამაცნი[32].

...არამედ, მოიკლნეს ბრძოლასა ამას შინა წინაშე მეფის ძისა ერთბამად ორნი ძმანი კახელნი, თავადთ ძენი, გვარად ბებურიანნი, რომელნიცა დიდისა სიმხნით ბრძოდეს თურქთა და რაოდენიმე ძლიერნი თურქთანი მოიკლნეს მათ მიერ[33]...

ზემომოყვანილის გარდა, სხვა ადგილების შედარებითაც ჩანს, რომ „ახალი ისტორიის“ თხრობა 1789 წლიდან მსგავსია თეიმურაზ ბაგრატიონის „დავით ბაგრატიონის ისტორიისა“ და მისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ საკვლევ ძეგლში შემოკლებულია ზოგიერთი დეტალი. ვფიქრობთ, ეს მსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ბოლოს, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ A —1766 ხელნაწერის წინასიტყვაობაზე, რომელშიც ნათქვამია:

---

[32] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 62.

[33] თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც. გვ. 23—25.

„ესე ქართლის ისტორია ახალი აღწერილი არს და გაკეთებული მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა და ძისა მისისა, მეფის გიორგის პირმშოს ძის მიერ, დავითისაგან, საქართველოს მემკვიდრისა და რუსეთის ღიანარალ-ლეიტენანტის მიერ და სენატორისა და მქონეთა კავალერთა წმიდისა ალექსანდრე ნევსკისათა და წმიდის ანნასი პირველისა ხარისხისა, რომელმანცა აღწერა ყოველივე ჭეშმარიტი...“.

ამ სიტყვის შემდეგ გადაშლილია ექვსი სტრიქონი და ტექსტის ბოლოში განსხვავებული ხელით მიწერილია: „...და უნაკლულო“. თ. ლომოურს ეს გადაშლილი ადგილი შემდეგნაირად აქვს ამოკითხული: „«და რომელიცა აკლდა ამას, შეასრულა უმცროსმან ძმამან მისმან, მეფის გიორგის ძემან ბაგრატ ფრიადითა შრომითა და რუდუნებით. გთხოვთ მკითხველთა...» დანარჩენი გაურკვეველია“[34].

ჩვენ შევამოწმეთ ტექსტის ეს ადგილი ხელნაწერში და აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც თ. ლომოური კითხულობს სახელ „ბაგრატს“, სავსებით შეუძლებელია რაიმეს ამოკითხვა. ჩვენ შევეცადეთ ხელნაწერთა ინსტიტუტთან არსებული ფოტოლაბორატორიის დახმარებით გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი გადაშლილია ტექსტისავე მელნით, რაც შეუძლებელს ხდის მის ამოკითხვას, შინაარსის მიხედვით კი უფრო მართებული იქნებოდა ამ ადგილზე გვევარაუდა თეიმურაზი, რომელიც ყველაზე უმცროსი იყო ძმებს შორის და ამიტომ უფრო მეტად მას შეჰფერის ტექსტში მოცემული ეპითეტი „უმცროსი ძმა“.

ვინ შეიძლება იყოს ამ წინასიტყვაობის ავტორი: რომელიმე ბატონიშვილი (დავითი, ბაგრატი, თეიმურაზი) თუ სხვა გადამწერი? თ. ლომოურის აზრით, „გაჭირვებით ამოკითხული რამდენიმე სიტყვა და წინასიტყვაობის ხელი შესაძლებლობას იძლევიან დავასკვნათ, რომ დავითის მოთხრობა ამ ხელნაწერში მისი ძმის — ბაგრატ ბატონიშვილის მიერ არის შეტანილი“[35].

ჩვენი აზრით, არა მარტო წინასიტყვაობის, არამედ მთლიანად ტექსტის კალიგრაფიული შესწავლა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ ეს არის ბაგრატის ხელი, თუმცა რამდენადმე უცნაურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ წინასიტყვაობის ბოლოს ავტორის ხელრთვა არ ჩანს. საერთოდ, ბატონიშვილების (დავითი, იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი) თხზულებებში წინასიტყვაობის ტექსტებს ბოლოში, როგორც წესი, დართული აქვთ ავტორის ხელრთვა (იხ. A-1766; H-25; S-3860; S-58; S-370 და სხვ), აქ კი როგორც ჩანს, რაიმე მიზეზის გამო, ბაგრატი არ ამხელს თავის ვინაობას, ხოლო ის ფაქტი, რომ წინასიტყვაობის ხელი მას ეკუთვნის, ვერ გამო-

---

34 ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, გვ. III.

35 იქვე, გვ. VI.

დგება იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ტექსტის გადაშლილ ადგილზე სახელი „ბაგრატ“ იგულისხმება და, აქედან გამომდინარე, „ახალი ისტორიის“ თანაავტორად და შემავსებლად ბაგრატ ბატონიშვილი გვევლინება. როგორც უკვე ითქვა, ბაგრატის გავლენა ყველაზე მეტად შეიმჩნევა H-25 ნუსხაზე, ხოლო A-1766-ში ბაგრატის მიერ შეტანილ ცვლილებებს მხოლოდ რამდენიმე ადგილას ვხვდებით, რასაც „ახალი ისტორიის“ წინამდებარე გამოცემის სქოლიოებში აღვნიშნავთ.

რაც შეეხება H-25 ხელნაწერში მოთავსებულ ბაგრატის წინასიტყვაობას, იგი აკინძვისას შეცდომით აღმოჩნდა A—1766-ში (როგორც ეს დაადგინა თ. ლომოურმა) მაგრამ, თუ მას თავის ადგილზე მოვათავსებთ (ე. ი. H-25-ის პირველ გვერდად ვიგულისხმებთ), მაშინაც გაუგებრობას ექნება ადგილი. მოვიყვანთ ამ წინასიტყვაობის ტექსტს.

„მე, საქართველოს მეფის გიორგის ძემან და რუსეთის იმპერატორის კარის კამერღერმან და სხვათა და სხვათა ორდენთა და კავალერთა მექონმან ბაგრატმან ვიგულსმოდგინე და შევჰკრიბე ესე მოთხრობანი სანატრელის და ღვთისადმი განსვენებულისა, მხნისა და სახელოვანისა მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფისა ირაკლისა, პაპისა ჩემისა, რომელიცა დაუშრომლად დღეთა თჳსთა სიყრმითგან ვიდრე სიბერემდე არა ზოგევდა თავსა თჳსსა ერთგულებისათჳს და ზრუნვისათჳს ერისა თჳსისა, რომელიცა სახელოვანმან ამან კაცმან მრავალგზის ადიდა სახელი თჳსი ბრძოლისა თეიატრსა ზედა.

ხოლო მე, განღვიძებულმან სიყვარულისა მისისამან, შევჰკრიბენ ესენი, რაოდენიცა ვჰპოვნე ქორონიკონი და წელნი და მოქმედებანი მისნი ყოველნივე, და შემდგომად მისსა, ძისაცა მისისა მეფისა გიორგისა, და შემდგომად მეფისა გიორგისა, დაპყრობისაგან რუსთა საქართუჱლოისა, და რუსეთსა შინაცა მიერით, რაჲცა შეიმთხუა, ყოველივე დიდისა ცდითა და უტყუელითა აღმიწერიეს ჭეშმარიტებით, რათა არა დავიწყებულიყო საქმენი ნეტარჴსენებულთა მეფეთანი, ვინაჲთგან ამ ჟამს ჰფლობდნენ რუსნი მამულთა ჩვენთა და ჩვენ განზნეულ ვიყვნეთ როსიასა შინა მათ მიერ. აღიწერა წელსა 1819, ქ(ორონი)კ(ონ)ს ფზ. სპზ, თუჱსა მარტსა 4, მეფის ძე ბაგრატ“.

ძალაუნებურად იბადება კითხვა: რა უნდა აქ ბაგრატის წინასიტყვაობას, როცა მისი მომდევნო მოთხრობა დავითს ეკუთვნის, დავითი კი წინასიტყვაობაში საერთოდ არ არის მოხსენიებული.

მხოლოდ „მოთხრობის“ დასაწყისში, ფურცლის ზედა აშიაზე მოთავსებულია შემდეგი წარწერა: „ნანდვილ ისტორია ესე აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ. ისტორია ესე ახლად შეძინებული ქართლის ცხოვრებისადა“. ეს ტექსტი (როგორც თ. ლომოურიც ვარაუდობს) შემდეგ მიუწერიათ ფურცლის ზედა კიდეზე, უსწორმასწოროდ. ხელი ამ ტექსტისა წააგავს ხელნაწერის ხელს.

გარდა ამისა, დავით ბატონიშვილის ავტორობას თითქოს ერთი გარემოებაც ადასტურებს: A—1766 ხელნაწერში „ახალ ისტორიას“ მოსდევს ბაგრატის „ახალი მოთხრობა“, რომელსაც, წესისამებრ, წინ უძღვის ავტორისეული წინასიტყვაობა. აქ, რა თქმა უნდა, დავითი არ არის მოხსენიებული, მაგრამ ამავე გვერდზე, ფურცლის ზედა აშიაზე მოთავსებულია ბაგრატის უფრო გვიანდელი მინაწერი (განსხვავებული ხელით შესრულებული): „ეს ზემოაღწერილი ჩემის ძმის დავითისაგან არის აღწერილი. აწ ეს ახალი მოთხრობა ჩემგან, მეფის ძის ბაგრატისაგან“.

ერთი შეხედვით, ამ ორი მინაწერის არსებობა თითქოს დავითის ავტორობაში ყოველგვარი ეჭვის შეტანის შესაძლებლობას სპობს, მაგრამ თუ უფრო გულდასმით დავუკვირდებით, სხვა სურათს მივიღებთ:

პირველ ყოვლისა, A-1766 ხელნაწერში მოცემული წინასიტყვაობების გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია მათ ქვეშ მოთავსებულმა თარიღებმა. ხელნაწერში პირველად აკინძულია „ახალი ისტორია“, შემდეგ კი მას მოსდევს ბაგრატის „ახალი მოთხრობა“, მგარამ „ახალი ისტორიის“ წინასიტყვაობას უზის თარიღი: „1814 წლის დეკემბრის 26“, ხოლო „ახალი მოთხრობისას“ — 1814 წლის დეკემბრის 11“.

ე. ი. ბაგრატ ბატონიშვილის მოთხრობა უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ხელნაწერში იგი მოთავსებულია „ახალი ისტორიის“ შემდეგ. ეს გარემოება შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას:

ხელნაწერის დაკვირვებით შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ახალი ისტორია“ დაწერილია სულ ცისფერ ქაღალდზე, „ახალი მოთხრობა“ კი — თეთრზე. საფიქრებელია, რომ ეს ორი მოთხრობა დაიწერა და არსებობდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ბაგრატ ბატონიშვილმა ისინი ერთ წიგნად აკინძა, ამასთან, „ახალი ისტორია“ თავისი თხზულების წინ მოათავსა. შემდეგ კი ბაგრატს ეს ორივე თხზულება გაუერთიანებია ერთ მოთხრობად, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია H-25 ხელნაწერის სახით. ამ ხელნაწერის წინასიტყვაობაში ბაგრატს მოცემული აქვს მისი შედგენის ზუსტი თარიღიც — 1819 წლის 4 მარტი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ წინასიტყვაობაში ბაგრატი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებს დავითს და მხოლოდ მოგვიანებით, 1819 წლის შემდეგ მოთხრობის დასაწყისში, ფურცლის ზედა კიდეზე აკეთებს მინაწერს: „ნამდვილ ისტორია ესე აღწერილი არს და გაკეთებული...“.

ხელნაწერში ამ მოგვიანო მინაწერის დამატება შემდეგნაირად უნდა აიხსნას: როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, ბაგრატ ბატონიშვილი ამ

ნუსხის (H-25) შექმნისას მიზნად ისახავდა ისტორიულ მასალათა შეკრებას („შევჰკრიბე ეს მოთხრობანი“, „შევჰკრიბენ ესენი, რაოდენიცა ვჰპოვე ქორონიკონი და წელნი...“) და მათ საფუძველზე დიდი მოცულობის კომპილაციური ნაშრომის შექმნას, ასეთ ნაშრომში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა გამოყენებული თხზულების ავტორის მითითებას. ბაგრატის ეს მიზანი ნათლად ჩანს ხელნაწერ E-67-ში, რომლის შესახებაც რ. ორბელი აღნიშნავს: «Судя по примечанию к тексту (л. 198а данного списка), это сочинение Баграт рассматривал как часть обширного труда, называя его томом первым и ссылаясь на том второй — историю русско-персидской войны 1826—1828 гг»[36].

ამრიგად, ამ ნაშრომის მეორე ტომად ბაგრატი მიიჩნევდა მოგვიანებით დაწერილ თხზულებას „ახალი ისტორია სპარსთი და რუსთი, ოდეს აღიშალნენ“[37], რომელიც შეეხება რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომს. მის შესახებ. რ. ორბელი წერს: «...заглавие помещенное на переплете, указывает на связь данного сочинения с совместным трудом Давида и Баграта Багратиони «Новая история...» Судя по примечанию Баграта к тексту «Новой истории», данное сочинение следует рассматривать как второй том этого труда, хотя оно представляет совершенно самостоятельную монографию»[38].

რაც შეეხება გვიანდელ მინაწერს დავითის ავტორების შესახებ, ვფიქრობთ, ბაგრატს იგი უნდა ჩაემატებინა დავითის გარდაცვალების (1819 წ. მაისი) შემდეგ: როგორც ჩანს, ბაგრატი შეცდომაში შეიყვანა „ახალი ისტორიის“ თეიმურაზისეული ხელნაწერის (S—3860) ტექსტში დავითის ხელით გაკეთებულმა რედაქტორულმა შენიშვნებმა.

## „ახალი ისტორიის“ თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერი

„ახალი ისტორიის“ ზემოხსენებული S-3860 ხელნაწერი საგანგებო შესწავლას იმსახურებს[39]. ეს ხელნაწერი, როგორც უკვე ითქვა, თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილებაა. იგი თავისი შედგენილობის მიხედვით გამოირჩევა დანარჩენებისაგან: „ახალი ისტორიის“ სხვა ნუს-

[36] Р. Орбели, Грузинские рукописи..., გვ. 35.

[37] ხელნაწერი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში შიფრით H—37.

[38] Р. Орбели, Грузинские рукописи..., გვ. 71.

[39] ამ ხელნაწერის აღწერილობა იხ. ქ. ხ. ა. (S) V, თბ., 1967, გვ. 279.

ხები შეიცავენ მხოლოდ ორ თხზულებას — „ახალ ისტორიას“ და ბაგრატ ბატონიშვილის „ახალ მოთხრობას“. S—3860-ში კი ძირითად ტექსტად წარმოდგენილია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელსაც გაგრძელების სახით ებმის „ახალი ისტორია“, ხოლო რაც შეეხება „ახალ მოთხრობას“, იგი ამ ხელნაწერში არ არის შეტანილი.

თხზულება დაწერილია სხვადასხვა ფერის ქაღალდზე. ძირითადი ტექსტი იწყება გვ. 15-დან სათაურით: „ტომობა და ჩამომავლობა ქართუჱლთა და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა“. გვ. 15-მდე კი მოცემულია ტექსტში ჩასამატებლად განკუთვნილი სინგურით დასათაურებული ნაწილები, მაგ.: ეს უნდა ჩაიწეროს საცა ხაზართათვის მოუთხრობს“ (გვ. 9); ან „ეს უნდა შთაიწეროს მეფის ფარსმანის ისტორიაში“ (გვ. 22) და სხვ.

საკვლევი ხელნაწერი ყურადღებას იპყრობს თავისი კალიგრაფიული ნიშან-თვისებებით: ტექსტის გადამწერლებად გვევლინებიან მესხიშვილთა ცნობილი სკოლის წარმომადგენლები. მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია იწყება 1674 წლიდან, როცა დომენტი კათალიკოზმა ანჩისხატის ტაძარი განაახლა, მცხეთიდან ანჩის ხატი ჩამოასვენა და თან ჩამოიყვანა მღვდელი პეტრე მესხი თავისი ოჯახით. მესხიშვილთა უფროსი თაობის წარმომადგენელია მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი მესხიშვილი. მისი მამა — გრიგოლი — სამეფო კარის მხატვარი იყო, ამან განაპირობა მესხიშვილთა ახლო ურთიერთობა მეფესთან და მისი ოჯახის წევრებთან, რაც მათ შემოქმედებით თანამშრომლობაშიც აისახა[40]. მესხიშვილთა ოჯახიდან გამოვიდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და ლექსიკოგრაფი, პოეტი და მეცნიერი დავით რექტორი (ალექსი მესხიშვილის ვაჟი), რომლის ხელმძღვანელობით მიუღიათ განათლება დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებს[41].

ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ი. გაჩეჩილაძის დახმარებით დავადგინეთ, რომ საკვლევ ხელნაწერში სამი ძმის ხელი გამოიყოფა—სოლომონ და გიორგი მესხიშვილების და დავით რექტორისა. ტექსტის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის სოლომონ მესხიშვილს (9r, 13v, 15r -261v), დანარჩენი კი დავით რექტორს (2r-6v, 14rv, 266rv, 270v, 272rv, 275rv, 282r—301v) და გიორგი მესხიშვილს (9v—114r, 262r—265v, 267r

---

40 ი. გაჩეჩილაძე. XVIII—XIX სს. ქართველ კალიგრაფთა მოღვაწეობა: მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა და მათი საოჯახო წიგნსაცავი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, გვ. 45.

41 ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 22.

—269v, 271rv, 273r—247v, 276r—281v). ამ ძმების მიერ გადასაწერი მასალის ურთიერთშორის განაწილება არ წარმოადგენს იშვიათობას (ამის მაგალითად გამოდგება ისიც, რომ თავის დროზე დარეჯან დედოფალმა ანტონ I-ის „თვენის“ გადაწერა დაუვალებია მესხიშვილთა ოჯახისათვის. ძმებს — სოლომონს, გიორგის და ნიკოლოზს გაუნაწილებიათ შრომა და დედოფლის დავალება შეუსრულებიათ)[42]. მასალის ასეთივე განაწილებას ვხვდებით საკვლევ ხელნაწერშიც. ამას გარდა, აქ ყურადღებას იქცევს სხვა დამახასიათებელი თავისებურებებიც: სამივე ხელის ქაღალდი განსხვავდება ერთმანეთისაგან — სოლომონის ნაწილი თხელ ქაღალდზეა დაწერილი, გიორგის ქაღალდი ოდნავ განსხვავდება მისგან, დავით რექტორი კი სქელ ქაღალდზე წერს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კანონზომიერება მტკიცედ ვრცელდება სოლომონზე, დავით რექტორისა და გიორგის ნაწილებში კი ირღვევა. რამდენიმე ადგილას დავითის ქაღალდებზე გიორგის ხელიც გვხვდება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხელნაწერის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი (262 გვ-დან ე. ი. „ახალი ისტორია“ — ლ. მ.) გადაუწერიათ დავითსა და გიორგის.[43] აქ ყურადღებას იპყრობს გვერდების მონაცვლეობა, მაგ., 262r-265v — გიორგის გადაუწერია, 266rv — დავითს, 267r-269v — ისევ გიორგის ეკუთვნის, 270rv—კი დავითს და ასე გრძელდება ტექსტის ბოლომდე— ამ ორი ძმის ხელი ენაცვლება თითქმის ყოველი ფურცლის შემდეგ. როგორც ჩანს, დავითი და გიორგი ერთდროულად მუშაობდნენ ხელნაწერზე.

ხელნაწერის კალიგრაფიული შესწავლის შედეგად ირკვევა ისიც, რომ გარდა მესხიშვილებისა მასზე უმუშავიათ დავით და თეიმურაზ ბატონიშვილებსაც. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს ერთი შენიშვნა ამ ხელნაწერის აღწერილობიდან, სადაც ვკითხულობთ: „1) თეიმურაზ ბეტონიშვილის შენიშვნები: ა) ეს უნდა ჩაიწეროს მეფის ფარსმანის ისტორიაში (2r-5r). ბ) ეს უნდა ჩაიწეროს 3600. არტაქსერქსთან ჩაიწერება, ერთი ისტორიაა...(5). ანალოგიური შენიშვნებია 6r, 7v, 8v, 9rv, 10rv, 11rv, 13rv, 307v—311r[44]“.

ამრიგად, ხელნაწერის აღმწერელი ყველა ამ შენიშვნის ავტორად თეიმურაზ ბატონიშვილს მიიჩნევს, მაგრამ ამ გვერდების სათანადო შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ თეიმურაზის ხელი გვხვდება მხოლოდ 1r, 1ა ზემო კიდეზე („ესე ქართლის ცხოვრება თანა მქონდა გერმანიაში რომ წაველ“), 305v და 306v. დანარჩენი შენიშვნებიდან საც. ფ. v, 1rv, 5v, 6v, 8v, 9r, 11r, 12r, 13rv, 307rv, 310r, 311r — ეკუთვნის დავით

[42] ი. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[43] სოლომონი გარდაიცვალა 1808 წელს.

[44] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (S) V, თბ., 1967, გვ. 280.

ბატონიშვილს, 2r—6r, 7rv, 14rv — კი დავით რექტორს. რაც შეეხება 9r—13v—ეს მონაკვეთი სოლომონის ან გიორგის გადაწერილია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, „ახალი ისტორიის“ ხელნაწერებიდან არც ერთი არ წარმოადგენს დავით ბატონიშვილის ავტოგრაფს (H—25-ც და A-1766-იც ბაგრატის ავტოგრაფებია). მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე იგი ამ თხზულების ავტორად იყო მიჩნეული; აქედან გამომდინარე, საკვლევი ხელნაწერის მნიშვნელობას უდავოდ ზრდის ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ ნუსხას, რომელშიც აშკარად ჩანს დავით ბატონიშვილის მუშაობის კვალი. „ახალი ისტორიის“ ტექსტში მრავლად ვხვდებით მის ჩასწორება-ჩამატებებს (იხ. 264v, 265rv, 267r, 268r, 270r, 272r, 279v, 280v, 282v, 285r, 291v, 292r, 295r, 296v 297v, 298v, 299r, 301rv), მათ შესახებ წინამდებარე გამოცემის სქოლიოებში ვუთითებთ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ S—3860-ში, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებით, არ არის მოცემული დავითის კრიტიკა. ეს ადგილი ტექსტში შემდეგნაირად იკითხება: „...ჰყვეს განმგედ და მმართებელად ქართლისა პირმშოი ძეჲ მისი დავით ბრძანებითა იმპერატორისათა, ვინაიდგან ჟერ იყო მებრ ტრაკტატითა, ესე იგი აღთქმისა პირობათასა, დადებულითა შორის ეკატირინა იმპერატრიცისა და მეფის ირაკლისათა, რათა ბრძანებითა რუსეთისა კარისათა დაიდრგინებოდეს მეფე. ამან იწყო მართვად ქართლისა ფრიად გონიერად, ვინაიდგან იყო ესე აღზრდილ მეცნიერებასა შინა ვითარცა საღმრთოთა და ფილასოფიათა, ეგრეთვე სამჴედროსაცა შინა, ვინაიდგან უწყოდა მან ვითარცა კანონნი სამოქალაქო და სამჴედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპიისა. ამან ანიჭა კვალად ძეთა ქსნის ერისთავისათა მამულივე მათი სრულიად, მიღებული მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა, მით რამეთუ აქვნდათ ფრიადი შეკრულება მისთანა და ერთგულება და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსსიით“[45].

სხვა ნუსხებში, მაგ. A—1766-ში, ეს მონაკვეთი სიტყვებამდე „ამან ანიჭა“ უცვლელად მეორდება, ამის შემდეგ კი ბაგრატს ჩაუმატებია: „გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზრდილმან მისთანა მთავარ დიაკონმან ეგნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა აღა ტერსიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარ—

---

[45] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 67—68.

ცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველთანი და მხედველი ამისა დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა-ვნებულ. ამან მიულო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძასა თვისსა იულონს და მისცა კვალად ქსნის ერისთავნი, რომელიცა აქვნდათ გამორთმეული ორმეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა, რამეთუ აქუნდათ ფრიადი შეკრულებაჲ მასთანა და ერთგულება, და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსიით“[46].

გარდა ამისა, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებით, S—3860-ში არ გვხვდება სასწაულებრივი მომენტების აღწერა. თავისი შინაარსით A—1766 ყველაზე ახლოს დგას S—3860-თან, მაგრამ ბაგრატ ბატონიშვილის გავლენა აქაც შეიმჩნევა; კერძოდ, იქ, სადაც საუბარია 1758 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ ლეკთა ჯარის დამარცხებაზე, A—1766-ის ტექსტში ვკითხულობთ: „მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფეს მჴედრობანი ქართლისა და კახეთისანი, შეერთდნენ იმერთა თანა, დაეცნენ ატოცს და მოსწყვიტნეს ფრიად ლეკნი... მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმინდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელ ასვენია ატოცსა ხატი წმინდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა სასწაულთმოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა“[47]. როგორც მოსალოდნელი იყო, S — 3860-ში ამ სასწაულმოქმედი ხატის შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი რედაქტირებულია დავითის მიერ და მასში უხვად ვხვდებით მის შენიშვნებსა და მინაწერებს, არსად არ არის ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიის ეს ნაწილი (მხედველობაში გვაქვს „ახალი ისტორია“) მის მიერ არის დაწერილი. ეს ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც არც თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგებში[48] მოიპოვება რაიმე ცნობა ამ თხზულებისა ან მისი ავტორის შესახებ.

თავის დროზე „ახალი ისტორიის“ ტექსტზე მუშაობისას არსებული ოთხი ხელნაწერიდან ყველაზე ადრეულ და ძირითად ნუსხად თ. ლომოურს მიუჩნევია A—1766 (ბაგრატის ავტოგრაფი). პარალელურად მას შეუსწავლია სხვა ხელნაწერებიც, მათ შორის S—3860, რომლის შესახებაც თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „დავით ბატონიშვილის ისტორია, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა პირების სახით. ერთი ასეთი პირი უნდა იყოს შეტანილი საქ. მუზეუმის

---

[46] ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., გვ. 26—27.

[47] იქვე, გვ. 8.

[48] გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974, გვ. 91—178.

ხელნაწერ S—3860-ში. ეს ხელნაწერი შეიცავს ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიას ჩვეულებრივი გაგრძელებებით. ამას წინ [illegible] 29—გვერდზე[29] მოთავსებული სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის ის-ტორიული ხასიათის ტექსტები, ამოღებული კლასიკოსთა ნაწარმოებე-ბიდან. ეს ტექსტები შესრულებულია სხვადასხვა ხელით და როგორც მათი სათაურებიდან ირკვევა, განკუთვნილი ყოფილან „ქართლის ცხოვ-რების“ შესატყვის ადგილებში შესატანად. ხელნაწერი ჰკუთნებია თეი-მურაზ ბატონიშვილს... დავით ბატონიშვილის ისტორია ამ ხელნაწერ-ში მოთავსებულია 498—567 გვერდზე[49], შემდეგ 577 გვერდამდე ამას მოსდევს გაგრძელება ისტორიული თხრობისა 1818 წლამდე. ამ ხელ-ნაწერიდან უნდა იყოს დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის მიერ „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, სანკტპე-ტერბურგი) მიყვანილი 1800 წლამდე.

S—3860-ში მოთავსებული დავითის ისტორია საერთოდ მისდევს № 1766-ში წარმოდგენილ ტექსტს, მაგრამ აქედან არ არის გ ა დ ა წ ე რ ი ლ ი. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ მათ შორის სრული იდენტურობა არ არსებობს, S—3860-ს A—1766-თან შედარებით ზოგიერთ ადგილას დამატებული აქვს ან აკლია რამდენიმე სიტყვა ან წინადადება...“[50].

მაგრამ, „ახალი ისტორიის“ ხელნაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათ შორის უადრესია სწორედ S—3860. ამას მოწმობს ადვილად შესამჩნევი გარემოება:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, S—3860-ის ტექსტი მთლიანად რედაქ-ტირებულია დავითის მიერ. ტექსტზე მუშაობის პროცესში დავითს გა-უკეთებია შენიშვნები (კიდეზე ჩამატების ნიშნით). ეს შენიშვნები A—1766 ში უკვე ტექსტშია შეტანილი. მაგ. იქ, სადაც დავითის მოღვაწეო-ბაზეა საუბარი მისი მმართველობის პერიოდში, სიტყვების შემდეგ: „მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსიით“ გაკეთებულია ჩამატების ნიშანი და კიდეზე მიწერილია: „ამან განაახლა შუა თვალი გატეხილისა ხიდისა, რომელიცა შთასჭრა აღა-მამად-ხანმან მოსლვასა თჳსსა ტფი-ლისს (281v). ეს მინაწერი A—1766-ში უკვე ტექსტშია შესული. ასე-თივე მინაწერებია ხელნაწერის 291v-ზე: „ხოლო ტორმასოვმან ძლევა თვისი თურქთაგან მიაწერა ჰირსა და შემდგომად ტორმასოვისა სხვა-თაცა მიიღეს თქმაობა ესე ნამდვილად, რომელ არს ჩვეულებითი საოფ-ლე, რომელიცა არს ჩვენსა ქვეყანასა და რომელიცა იყო, არს და იქმნე-ბის, შერაცხეს ნანდვილად მომსრველად სენად“. და 292v-ზე (მარჯვენა

---

[49] თ. ლომოური სარგებლობს ხელნაწერის ძველი პაგინაციით.

[50] ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, გვ. XIV.

კიდეზე), „შემდგომად აღებისა ახალქალაქისა, მარკიზი ეზრახა იდუმალ ბეგლარ-ბეგსა ერევნისასა ჰუსეინს, როელსაცა რწმუნებდა ერევანი, რათა მისცეს ციხე, აღუთქვა უსეინ მიცემა, ხოლო ვერა სცნა [illegible]-მან იტალიელმან სიცბილი მისი და წარგზავნა იარანალ-მაიორი [illegible]-ვიჩი ორი ათასითა მხედრობითა, მაშინ უსეინ მოიკრიბა მუნ გარემოისა მხედრობა და დამალა ეჩმიაძინს. მიიწივნენ რა რუსნი, ეკვეთნენ სპარსნი და ოტეს რუსნი და სირცხვილეულ იქმნა მარკიზი ესევითარისა უგუნურისა შეცდომისათვს" — ეს მინაწერებიც A — 1766-ში ტექსტშია შეტანილი. მაგალითები საკმაოდ ბევრია (265r, 268r, 270r, 272r, 279v და სხვ.). S—3860-ის კიდეების ყველა მინაწერი A—1766-ში ტექსტშია შესული, რაც იმაზე მოწმობს, რომ A—3860 კი არ არის გადმოწერილი A 1766-იდან, არამედ პირიქით, ბაგრატს გადმოუწერია აქედან A— 1766.

ამის უტყუარი საბუთია შემდეგი: A—1766-ში, იქ, სადაც დავითის მმართველობაზეა საუბარი, ბაგრატს ჯერ უცვლელად გადაუწერია ტექსტი S—3860-დან სიტყვებამდე: „ამან ანიჭნა", შემდეგ კი ეს ორი სიტყვა გადაუშლია და ჩაუმატებია: „გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე..." და ა. შ. (სრული ტექსტი იხ. წინამდებარე გამოცემის გვ. 13).

მოტანილი მასალები ნათლად ადასტურებენ, რომ S—3860 წარმოადგენს სხვა ხელნაწერთა შორის უადრეს და, აქედან გამომდინარე, ძირითად ნუსხასაც. მის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელზედაც უმუშავია დავით ბატონიშვილს; მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავითი არსად არ აღიარებს თავის თავს თხზულების ავტორად, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს მოსაზრებას „ახალი ისტორიის" ავტორის საკითხთან დაკავშირებით.

* * *

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალა ეწინააღმდეგება ტრადიციულ თვალსაზრისს დავით ბატონიშვილის ავტორობის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, სულაც არ აადვილებს თხზულების ნამდვილი ავტორის ვინაობის დადგენას. ამიტომ იძულებულნი ვართ კვლევის ამ ეტაპზე თხზულების მხოლოდ სავარაუდო ავტორად მივიჩნიოთ თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელსაც თხზულების წერისას გეგმად უნდა ჰქონოდა დავითის ჩანაწერები.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი იზრდებოდა დავითის უშუალო მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ. თვითონ თეიმურაზი მას თავის აღმზრდელად და მოჯირნახულედ სთვლიდა: „კურთხეული გარდაცვალებული ძმა იგი ჩემი ძმობის გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მოჭირნახულე იყო და აღმზრდელ და სხვათა ძმათა შორის განსაკუთრებული ვიყავ მისი“-ო, წერდა იგი თავის წერილში მარი ბროსესადმი[51].

ხოლო იმას, თუ რატომ არის ასე საგულდაგულოდ ბურუსით მოცული თეიმურაზ ბაგრატიონის, როგორც „ახალი ისტორიის“ავტორის პიროვნება, ვფიქრობთ ნათელს მოჰფენს ისევ თეიმურაზის წერილი მარი ბროსესადმი (თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულების—„დავით ბაგრატიონის ისტორიის“ ლითოგრაფიულ გამოცემასთან დაკავშირებით):

„...ჩემის ძმის მეფის ძის დავითისა ისტორია ჩემგან წარმოვლენილი თქვენდამი მეაზიელეს საზოგადოებისა მიმართ ძლევანვილი გითარგმნიათ ფრანციულს ენაზე, და რომლისათვსაც მკითხავთ, რომ გსურის რომელ დაბეჭდინოთ, და მე რჩევასა რომ მკითხავთ, მოგახსენებთ, რომ დია კარგი იქმნება, რომ დაიბეჭდოს. მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა. მე სხვა არა რა მიზეზი მაქვს, რომ ჩემს სახელს არ გაწერინებთ მაგ წიგნში, რადგან ეგ წიგნი მე აღვსწერე, იქმნება წარმკითხველთ ასე იფიქრონ, რომელ თავის ძმათ სიყვარულით მეტები და მომატებული ქებაები დაუწერიათ. მაგრამ მე წინაშე ღვთისა და წინაშე თქვენსა ჰეშმარიტობით ამას აღვიარებ, რომელ რაც ჩემს ძმას მეფის ძეს დავითს სიკეთეები სჭირდა და საქებელი საქმეები ჰქონოდა, იმის ღირს სახსოვართა საქმეთაგანი მეათედიცა ნაწილი არ აღმიწერია, მგონია, რომ საჭირო არ იყოს მაგ წიგნში მოხსენება ვისგანაც არის აღწერილი. მაგრამ ამაზედ არამც თუ ნებას არ დაგრთავ, არამედ ვედრებითაცა გთხოვ...“[52].

მარი ბროსეს კეთილსინდისიერად შეუსრულებია თეიმურაზის ეს თხოვნა, მაგრამ ტექსტის ერთი ადგილი მაინც ამხელს ავტორის ვინაობას. კერძოდ, იქ, სადაც აღწერილია ერეკლე II-ის გარდაცვალება, ვკითხულობთ: „...ხოლო ძეთაგან მეფისათა არავინ იმყოფებოდა მუნ, თვნიერ ვახტანგისა და ასულნი მეფისანი, სახლეულებანი მეფისა გიორგისანი და ვიყოფოდი მეცა, თვთ აღმწერელი ამა მოთხრობათა, მეფის გიორგის ძე თეიმურაზ...[53]“.

---

[51] შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მსკი, ნაკვ. I, თბ., 1939, გვ. 21.

[52] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, სოლ. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 22—23 წერ. № 5. იგივე თხოვნას უმეორებს თეიმურაზი ბროსეს მეორე წერილშიც (იხ. იქვე, გვ. 28, წერილი № 7), მხოლოდ აქ კიდევ უფრო ცდილობს თავისი ვინაობის დამალვას და საკუთარ თავზე მესამე პირში წერს.

[53] თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოც. გვ. 9.

დაბოლოს, კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში H-27 შიფრით დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს დავითის ნაშრომთა სიას შემდეგი სათაურით: „რაცა ნაწერი მოხსენებულს სრულიად საქართველოს უფლისწულს მეფის გიორგი მეათცამეტის პირმშოს ძეს დავითს სიცოცხლესა შინა თჳსსა წიგნნი უღუაწიეს ქუჩმორე ამისსა დაიწერების...“ ეს სია თეიმურაზის მიერ შედგენილია XIX ს-ის 20-იან წლებში (რ. ორბელის აზრით — არა უადრეს 1827 წლისა)[54] პეტერბურგში. იგი შეიცავს დავით ბატონიშვილის ცამეტ ორიგინალურ ნაშრომს, აგრეთვე მის მიერ რუსულიდან და სპარსულიდან თარგმნილი შრომების დასახელებებს, მათ შორისაა „გეოგრაფია“, „არტილერია“, „გრამატიკა“, „რომანიული ბარათები“ და სხვ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ სიაში თეიმურაზი არ ასახელებს „ახალ ისტორიას“. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, იმით უნდა აიხსნას, რომ თეიმურაზს „ახალი ისტორია“ არ მიაჩნდა დავითის ნაშრომად.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დავით ბატონიშვილის «История Грузии»-ს „ახალ ისტორიასთან“ შედარებისას აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე პერიოდის ამსახველი ფაქტები ამ ორ თხზულებაში ხშირად განსხვავებულად არის გადმოცემული, ასე მაგალითად, ერეკლეს მიერ სუჯუნულიანთან ლეკების დამარცხება „ახალ ისტორიაში“ დათარიღებულია 1761 წლით, იგივე ბრძოლას დავით ბატონიშვილი შეცდომით 1767 წლით ათარიღებს[55].

ასევე განსხვავებულად არის გადმოცემული ამ თხზულებებში 1798 წელს ყარსზე ლაშქრობა დავით და იოანე ბატონიშვილების ხელმძღვანელობით, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1806 წელს) გუდოვიჩის მიერ წარმოებული ბრძოლები და სხვა

ეს გარემოება თავისთავად გამორიცხავს „ახალი ისტორიის“ ავტორად დავით ბატონიშვილის აღიარების შესაძლებლობას.

## „ახალი ისტორიის“ ხელნაწერების მიმოხილვა

„ახალი ისტორიის“ ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მათ შორის უადრესია თეიმურაზ ბატონიშვილისეული S—3860 ხელნაწერი (მის შესახებ დაწვრილებით იხ. ზემ-

---

[54] რ. ორბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

[55] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოც. გვ. 51.; Давид Багратиони, История Грузии, გვ. 163.

ოთ). თ. ლომოურმა ამ თხზულების დედნად მიიჩნია ხელნაწერი A—1766 (ბაგრატისეული) და იგი საფუძვლად დაუდო თავის გამოცემას. ყველა დანარჩენი ხელნაწერი თ. ლომოურს ამ ნუსხის გვიანდელ პირებად მიაჩნდა და მათ შესახებ წერდა: „საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში არის კიდევ სამი ხელნაწერი, რომლებიც თავისი შინაარსით ახლო დგანან № 1766-თან. ესენია H—25, H—26 და S—3860“[56].

გარდა თ. ლომოურის მიერ დასახელებული ხელნაწერებისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სსრკ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება ამ ძეგლის ოთხი ხელნაწერი — M-16, M-17, E-67 და E-229.

ჩვენ მიერ დადგენილი იქნა, რომ A-1766 წარმოადგენს ბაგრატის მიერ თეიმურაზისეული (S—3860) ხელნაწერიდან გადაწერილ პირს. როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, ეს სამუშაო ბაგრატს დაუსრულებია 1814 წლის ბოლოს. ამრიგად, A-1766 ყველაზე ახლოს დგას დედნისეულ ტექსტთან. ბაგრატს აქ რამდენიმე ადგილას შეუტანია ცვლილებები, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერში გვხვდება შემთხვევები, როცა ქრისტესით და ქართული ქორონიკონით მოცემული თარიღები ერთმანეთს არ ეთანხმებიან[57], რაც წინამდებარე გამოცემის სქოლიოებში გვაქვს ასახული.

ხელნაწერი H-25 წარმოადგენს ბაგრატ ბატონიშვილის მიერ „ახალი ისტორიისა“ და თავისი საკუთარი „ახალი მოთხრობის“ გაერთიანების საფუძველზე შექმნილ კომპილაციურ ნაშრომს. ხელნაწერი ბაგრატის ავტოგრაფს წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილი, სადაც ბაგრატ ბატონიშვილი „ახალ ისტორიას“ იყენებს, არ შეიძლება ჩაითვალოს S-3860-ის პირად. ამ შემთხვევაში ბაგრატს პირდაპირ კი არ გადაუწერია „ახალი ისტორიის“ ტექსტი (როგორც ეს A-1766-ის შემთხვევაში გვქონდა), არამედ ამ ორი თხზულების („ახალი ისტორიისა“ და „ახალი მოთხრობის“) შეერთებისა და სხვა მასალების დამატების საფუძველზე სრულიად დამოუკიდებელი თხზულება შეუქმნია, რის გამოც H-25 ხელნაწერში შესულ „ახალ ისტორიაშიც“ საგრძნობი ცვლილებები შეუტანია. ამდენად, H-25 მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს „ახალი ისტორიის“ ერთერთ პირად, სინამდვილეში კი „ახალი ისტორია“ ბაგრატისათვის წარმოადგენს მხოლოდ ერთერთ წყაროს. ეს კარგად შეუმჩნევია თ. ლომოურსაც, რომელიც აღნიშნავს: „H-25

---

56 ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, გვ. VIII.

57 ეს გარემოება თ. ლომოურსაც აღნიშნული აქვს თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში (იხ. გვ. XIV—XV).

აქვს ორივე ამ მოთხრობასთან („ახალ ისტორიასა“ და „ახალ მოთხრობასთან“ — ლ. მ.) კავშირი. დავით ბატონიშვილის ისტორია... H-25-ის შემდგენელს *მაქსიმალურად გამოუყენებია* (ხაზგასმა ჩვენია — ლ. მ.). მართალია, იგი სარგებლობს სხვა წყაროებითაც, მაგრამ, დასაწყისში მაინც, მისი სახელმძღვანელო გეზის მიმცემი დავით ბატონიშვილის ისტორიაა. H-25 მისდევს მისი თხრობის წესრიგს კარგა მანძილზე. უმეტეს შემთხვევაში უცვლელად შემოაქვს იქიდან თავის ფურცლებზე მთელი აბზაცები და ზოგჯერ პარაგრაფებიც. 1812 წლის ამბებიდან მოყოლებული H-25 უახლოვდება ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიას. ამგვარად, H-25 ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო გვიანაა შედგენილი. იგი ემყარება № 1766-ის ორივე ნაწილს და სარგებლობს ამათ გარდა სხვა წყაროებითაც“[58].

ბაგრატის მიერ „ახალ ისტორიაში“ (H-25) შეტანილი ცვლილებები გამოიხატება, პირველ ყოვლისა, მის მიერ ჩამატებულ სხვადასხვა სასწაულებრივი ეპიზოდების აღწერაში, ხელნაწერის დიდი ნაწილი უჭირავს აგრეთვე რუსული გაზეთებიდან გადმოთარგმნილ ცნობებს.

ხელნაწერ H-26-ს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს დედანთან სიახლოვე. ეს არის H-25-ის პირი, რომელიც გამოსაცემად მოუმზადებია მ. საბინინს და შეუვსია იგი სხვა მასალებითაც. მაგ. ჩაუმატებია ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მიმოწერა, ალექსანდრე, იულონ, ვახტანგ და ფარნავაზ ბატონიშვილების მიმართვა სხვადასხვა პირებისადმი მათთვის მხარდაჭერის შესახებ, სია იმ ქართველთა, რომლებიც მონაწილეობდნენ 1812 წლის სამამულო ომში და სხვ. აქედან გამომდინარე H—26 ხელნაწერის შესახებ ჩვენ ვიზიარებთ თ. ლომოურის აზრს, სადაც ნათქვამია: „მ. საბინინს, როგორც ჩანს, ეს ხელნაწერი უმზადებია გამოსაცემად ძირითად ტექსტში, რომელიც არსებითად იგივეა, რაც H—25-ისა, მას შეუტანია ჩანართები: ...ხოლო ვინაიდან H—25 ავტოგრაფია, H—26 კი მე-19 ს-ის მეორე ნახევარში გადაწერილი პირი, თანაც ერთგვარად დამუშავებული, ამიტომ ეს უკანასკნელი ჩვენთვის ამჟამად სრულიად გამოსადეგი არ არის“[59].

---

[58] „ახალი ისტორია“ თ. ლომოურის გამოცემა, გვ. XIII

[59] იქვე, გვ. VIII—IX.

## „ახალი ისტორიის“ დაწერის თარიღის დადგენისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალ ისტორიაზე“ მომუშავე მკვლევართაგან არავის შეუჩერებია ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის თხზულების დაწერის თარიღის დადგენა. ეს, ნაწილობრივ, განაპირობა თვით „ახალი ისტორიის“ აგებულებამ: როგორც უკვე აღინიშნა, იგი ქრონიკის ტიპის ნაწარმოებია, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს კვლევას და არ იძლევა თხზულების ზუსტად დათარიღების საშუალებას. ჩვენ შევეცადეთ გადაგვეჭრა ეს საკითხი. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ ხელნაწერი კალიგრაფიულად და შევისწავლეთ მისი ქრონოლოგიური ფენები.

„ახალი ისტორიის“ უადრეს (თეიმურაზისეულ — S-3860) ნუსხაში გამოიკვეთება სამი ხელი: გიორგი მესხიშვილის (262r-265v; 267r—269v; 271rv; 273r-274v; 276r-281v), დავით რექტორის (266rv; 270rv; 275rv; 282 r— 300 v) და რედაქტორის—დავით ბატონიშვილის (301rv). როგორც ეტყობა, ეს ნუსხა იწერებოდა ნაწილ-ნაწილ (თანდათანობით); ერთ დროს იგი წყდებოდა საქართველოს მთავარმართებლად რტიშჩევის დანიშვნით (296v). ამაზე მეტყველებს ისიც, რომ იგივე თხზულების ბაგრატის მიერ გადაწერილ პირში (A-1766) აქ მთავრდება „ახალი ისტორიის“ თხრობა. როგორც ჩანს, ბაგრატს ხელთ ჰქონია თეიმურაზისეული ნუსხის ადრინდელი (პირვანდელი) ვარიანტი, გაგრძელებების გარეშე. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „ახალი ისტორია“ იქმნებოდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მიზნით და დროთა განმავლობაში, პერიოდულად ივსებოდა ახალ-ახალი ეპიზოდებით. ეს ყველაზე კარგად ჩანს S—3860 ხელნაწერში: 296v-ზე ტექსტი მთავრდება სიტყვებით: „წარგზავნეს ღენერალ-ლეიტენანტი რტიშჩევი და მას თანა წარატანეს შემწედ ღენარალ-მაიორი ახვერდოვი, პირველ ყოფილი ღუბერნატორად“. აქ დავით ბატონიშვილის ხელით მიმატებულია: „გვარით, პუპულაშვილი, ტფილისელი სომეხი“. ამის შემდეგ იგივე გადამწერის ხელით გრძელდება ტექსტი, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ ეს გაგრძელება მოგვიანებით მიუმატებიათ: მართალია ხელი იგივეა, მაგრამ მელანიც და კალამიც უკვე სხვაა. გარდა ამისა, ამ მოსაზრებას უეჭველს ხდის შემდეგი გარემოება: S—3860 „ხელნაწერის ბაგრატისეულ პირში (A—1766-ში) „ახალი ისტორიის თხრობა წყდება ზუსტად ამ ადგილზე — საქართველოს მთავარმართებლად რტიშჩევის დანიშვნაზე. აქვე მოთავსებული წინასიტყვაობის თანახმად, ეს თხზულება ბაგრატს გადაუწერია 1814 წლის ბოლოს („აღიწერა წელსა 1814 დეკემბრის 26 ს. პ. ბ.“) ე. ი. 1814 წელს „ახალი ისტორია“ ჯერ კიდევ თავისი პირვანდელი სახით არსებობდა და მისთვის მხოლოდ 1815 წლიდან

მიუმატებიათ გაგრძელება (296v—301r), რომელშიც აღწერილია 1812 წლის კახეთის ამბოხება და მის ჩასახშობად რტიშჩევის მიერ მიღებული ღონისძიებანი, შემდეგ — რტიშჩევის გამოცვლა და მთავარმართებლად ერმოლოვის დანიშვნა და ბოლოს, საქართველოში ეგზარხოსად რიაზანის არქიეპისკოპოს თეოფილაქტეს დანიშვნა. აქ ხელნაწერში ისევ წყდება თხრობა და შემდეგ, ალბათ უკვე მოგვიანებით, იგი გრძელდება დავით ბატონიშვილის ხელით (301rv). ეს გაგრძელება გადმოგვცემს 1818 წელს ერმოლოვის ლაშქრობას ჩაჩნეთში. ამ გაგრძელებათა დაწერის თარიღი ადვილად დასადგენია მათში აღწერილი მოვლენების მიხედვით. რიაზანის არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე საქართველოში ეგზარხოსად დაინიშნა 1817 წელს[60], როგორც უკვე დავადგინეთ, „ახალი ისტორიისათვის“ 1815 წლამდე არაფერი დაუმატებიათ, მაშასადამე თეიმურაზისეული ნუსხის პირველი გაგრძელება (296v—301r) დაწერილია 1815—1817 წლებში. მეორე გაგრძელებაში კი (დავითის ხელით შესრულებულში) თარიღი მოცემულია — 1818 წელი, უკიდურეს შემთხვევაში იგი დავითს შეეძლო დაეწერა არაუგვიანეს 1819 წლისა, რადგან, როგორც ცნობილია, 1819 წლის 13 მაისს იგი უეცრად გარდაიცვალა.

მაშასადამე, თხზულების ბოლო ორი ქრონოლოგიური ფენის თარიღები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: მეორე ფენა თარიღდება 1815—1817 წწ., ხოლო მესამე — 1818—1819 წწ.

რაც შეეხება პირველ ქრონოლოგიურ ფენას, რომელიც თხზულების ძირითად ნაწილს მოიცავს (1744—1818 წწ.), აქ საქმე უფრო გართულებულია, მაგრამ ტექსტის დაკვირვებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ზოგიერთი დეტალი: ტექსტის მონაცემებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1745—1806 წწ. მოვლენების აღწერისას თხზულების ავტორი საქართველოში ან მის საზღვრებთან ახლოს იმყოფებოდა, სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„წელსა 1751, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმა(sic) მ ო ვ ი დ ა ნურსალ-ბეგ-ავარელი ფ(რია)დითა მხედრებითა...“[61]

„ჟამსა ამას მ ო ვ ი დ ნ ე ნ ლეკნი შთამოსრულნი მთით...“[62].

„წელსა ჩღდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმჲ წ ა რ ვ ი დ ა მეფე თეიმურაზ რუსეთს“[63].

---

[60] დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, გვ. 154.

[61] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 49.

[62] იქვე, გვ. 50.

[63] იქვე, გვ. 51.

„... მოადგილედ მ ო ვ ი დ ა ამა გრაფისა წილ მუნ ღენარალი სუ-ხატინი და გრაფი (ტოტლებენი — ლ. მ.) წარვიდა როსიად“[64].

„წელსა ჩღობ, 1772... მეფემან წ ა რ გ ზ ა ვ ნ ა რუსეთად ძე თვისი ლევან და კათალიკოზი ანტონი“[65].

„წელსა ჩღპგ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოა შევიდა მეფე ირაკლი საფარ-ვ[ე]ლსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაცა წ ა რ მ ო უ გ ზ ა ვ ნ ა იმპე-რატრიცა ეკატირინამ ნიშანნი სამეფონი“[66].

„ესე (ციციშვილი — ლ. მ.) მ ო ვ ი დ ა წელსა ჩუგ“ — და სხვ.

ასე გრძელდება 1806 წლამდე, ბაქოში ციციშვილის დაღუპვის ეპიზოდამდე. აქედან კი ავტორი თხრობას განაგრძობს უკვე სხვა სტილით, შეიმჩნევა, რომ იგი საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერ-ძოდ, რუსეთში იმყოფება: „და შ(ემდგომა)დ ნაცვლად ციციშვილისა წ ა რ გ ზ ა ვ ნ ე ს საქართუელოსა მართებლად გრაფ ივან ვასილიჩი ღუდოვიჩი“[67].

„კ(ვალა)დ შეიპყრა ამან (ტორმასოვმა — ლ. მ.) ჯავახიშვილი და თარხნიშვილები და წ ა რ მ ო გ ზ ა ვ ნ ა პყრობილად როსიასა შ(ინ)ა...“[68].

„და წელსა 1812 გამოსცვალეს ტორმასოვი და წ ა რ გ ზ ა ვ ნ ე ს ნაცულად მისსა ზემოხსენებული მარკიზი პავლუჩი“[69].

„ჟამსა ამას გამოსცვალეს მარკიზი და ნაცულად ამისსა წ ა რ-გ ზ ა ვ ნ ე ს ღერანალ-ლეიტენანტი (sic) რტიშჩევი“[70].

მოყვანილი ადგილებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლებოდა გვევარაუ-და, რომ 1745 წლის ამბების აღწერიდან 1806 წლამდე ავტორი საქარ-თველოში იმყოფებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ წასულა რუსეთ-ში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს საკითხი ასე ადვილად არ წყდება; თუ „ახალი ისტორიის“ ავტორად თეიმურაზ ბატონიშვილს მივიჩნევთ, მაშინ ზოგიერთი დეტალი დაზუსტებას მოითხოვს: თეიმურაზი თბი-ლისში იმყოფებოდა 1803 წლის 25 თებერვლამდე. ციციშვილის მიერ დავით და ფარნაოზ ბატონიშვილების რუსეთს გასახლების ღამესვე იგი გაიპარა ალექსანდრე ბატონიშვილთან და 1810 წლამდე ირანის შაჰის კარზე იმყოფებოდა, 1810 წელს იგი შეურიგდა რუსეთის მთავ-რობას (თავისი გამზრდელის — პეტრე ლარაძის გავლენით) და დაბ-

---

[64] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 54.

[65] იქვე, გვ. 54.

[66] იქვე, გვ. 58.

[67] იქვე, გვ. 72—73.

[68] იქვე, გვ. 75.

[69] იქვე, გვ. 78.

[70] იქვე, გვ. 83.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა საქართველოში, აქედან კი გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი გაატარა[71]. ე. ი. 1803 წლიდან 1810 წლამდე თეიმურაზი საქართველოს ფარგლებს გარეთ — ირანში იმყოფებოდა, მაგარმ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი თვალს არ ადევნებდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ძვრებს; პირიქით, თეიმურაზი ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თეიმურაზ ბაგრატიონს ირანში გადახვეწის შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოში დარჩენილ ბატონიშვილებთან, რასაც ადასტურებს მისი მიმოწერა თავის მეუღლე ელენე ამილახვართან, დარეჯან დედოფალთან და სხვ.[72].

1805 წლის აგვისტოში მდ. არაქსის ნაპირებთან რუსეთის ჯარის მიერ დამარცხებულ იქნა აბას-მირზა, რომელიც ამ მარცხის შემდეგ თავრიზს გაბრუნდა, მაგრამ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები მას არ გაჰყოლიან, ისინი ერევანში დარჩნენ და იქ დაჰყვეს ოქტომბრამდე, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ დაუბრკოლებელი მიმოწერა ჰქონოდათ საქართველოში[73]. მაგრამ იმისათვის, რომ თვალ-ყური ედევნებინა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებისათვის, სულაც არ იყო თეიმურაზისათვის აუცილებელი ამ ქვეყნის საზღვრებთან ახლოს ყოფნა; ბუნებრივია, რომ იგი ირანის დედაქალაქში, შაჰის კარზე ყოფნის დროსაც კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და უშუალო მონაწილეობას იღებდა ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის გამართულ ბრძოლებში.

გარდა ამისა, ირანში მყოფი თეიმურაზ ბატონიშვილი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. აქ მან შეითვისა სპარსული ენა, გაეცნო სპარსულ ლიტერატურას, აქვე შეუგროვებია მას მასალები თავისი შრომისათვის „აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყეენთა (ანუ შაჰთა) და გვარეულობისათვს ყაჯართასა, თუ საიდგან წარმოებენ“ (დაიწერა პეტერბურგს ჩასვლისთანავე, 1811 წ.). ამავე პერიოდს ეკუთვნის თეიმურაზის რამდენიმე პოეტური ნაწარმოები — სასულიერო ხასიათის ლექსები, რომელთა წერაში ბატონიშვილი ატარებდა „ჟამსა უცხოებასა მყოფობისას“[74].

როგორც ვხედავთ, შაჰის კარზე მყოფი ქართველი ბატონიშვილი პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ლიტერატურული მუშაობისათ-

[71] შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 30—32.

[72] იქვე, გვ. 26.

[73] იქვე, გვ. 28

[74] იქვე, გვ. 33.

ვისაც პოულობდა დროს, აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მას ამავე პერიოდში შეეგროვებინა მასალები საქართველოს ისტორიის შესახებაც, მით უფრო, რომ მისი ირანში წასვლის უპირველეს მიზანს სამშობლოს პოლიტიკური მომავლის განსაზღვრა შეადგენდა.

დროთა განმავლობაში თეიმურაზ ბატონიშვილი დარწმუნდა სპარსეთის დახმარების უიმედობაში და 1810 წლისათვის გადაწყვიტა შერიგებოდა რუსეთის მთავრობას, ამ შერიგების საქმეში დიდი როლი შეასრულა მისივე გამზრდელმა პეტრე ლარაძემ (როგორც ამას „ახალი ისტორია" გვატყობინებს)[75]. თეიმურაზის მიერ გადაწყვეტილების მიღების ახსნა თავის ნაშრომში მოცემული აქვს პროფ. შ. მესხიას, რომელიც წერს: „მან (პეტრე ლარაძემ — ლ. მ.) ალბათ შეთანხმების პირობების წარდგენით, თეიმურაზი მოაცთუნა და შესძლო მისი დაბრუნება სამშობლოში. ჩანს, შერიგებისას წამოყენებული პირობები არ გატარებულა. სხვანაირად აუხსნელი იქნებოდა, თუ რატომ გამოყვა იგი ასე ადვილად ლარაძეს და თუ რატომ დარჩა თეიმურაზი განაწყენებული საქართველოში დაბრუნების შემდეგ"[76]. თბილისში თეიმურაზმა ცოტა ხანს დაჰყო და ამავე 1810 წლის დასასრულისათვის გაემგზავრა პეტერბურგს.

მაშასადამე, თეიმურაზ ბატონიშვილი საქართველოში იმყოფებოდა 1803 წლამდე, შემდეგ 1803—1810 წლებში იგი ირანშია, ხოლო 1811 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — 1846 წლამდე — პეტერბურგში. მაგრამ „ახალი ისტორიის" ავტორად მისი აღიარებისათვის ამ თარიღებს პრინციპული მნიშვნელობა არ ენიჭებათ შემდეგ გარემოებათა გამო: ეს თხზულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრონიკის ტიპის ნაწარმოებია, მას მართლაც „მასალების" ხასიათი აქვს, ასე რომ მისი დაწერის ზუსტი თარიღის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ეს „მასალები", საფიქრებელია, რომ წლების მანძილზე მხოლოდ იკრიბებოდა და უკვე გარკვეული დროის შემდეგ ერთი პიროვნების მიერ მოხდა მათი გამართვა.

მართლაც, „ახალი ისტორიის" ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ დიდ პერიოდს — 74 წელს — მოიცავენ (1744—1819 წწ.), რასაკვირველია, ერთი პიროვნება ვერ იქნებოდა ამ წლებში ასახული მოვლენების თანამედროვე. მაშასადამე, თხზულების გარკვეული ნაწილი (ჩვენი აზრით, დასაწყისი, რადგან სხვა წყაროებთან შედარებისას „ახალი ისტორიის" ამ ნაწილში ვხვდებით უზუსტობებს) იწერებოდა

---

[75] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 78.

[76] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 31—32.

უკვე არსებული მასალების ან გადმოცემათა მიხედვით, დანარჩენი კი — თანამედროვის და, ამავე დროს, თხზულების ავტორის მიერ.

როგორც უკვე ითქვა, თხზულების ზოგიერთი ადგილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორი 1744 წლიდან 1806 წლამდე საქართველოში ან მის ფარგლებთან ახლოს იმყოფებოდა და ამის შემდეგ კი რუსეთში (იხ. მაგალითები), რაც თითქოს ეწინააღმდეგება თეიმურაზ ბატონიშვილის ავტორობას (მაგრამ იგივე ფაქტი კიდევ უფრო საეჭვოს ხდის დავითის ავტორობის საკითხს, რადგან იგი თეიმურაზზე ბევრად ადრე — 1803 წლიდან გადაასახლეს პეტერბურგში), მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, თხზულებას აქვს „მასალების“ ხასიათი, ეს მასალები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გროვდებოდა, ხოლო მათი გამართვა უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. ჩვენი აზრით, „ახალი ისტორიისათვის“ მასალების შეგროვება თეიმურაზს მხოლოდ XVIII საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს უნდა დაეწყო[77]. ირანში ყოფნისას მას თხზულების წერისათვის შეიძლება არ ეცალა, მაგრამ შემდგომში მასალების შეკრებაში, ვფიქრობთ, არაფერი შეუშლიდა ხელს, მით უფრო, რომ თვითონვე იყო იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენების თანამედროვეც და აქტიური მონაწილეც. ხოლო რუსეთში გადასახლების შემდეგ მას უკვე შეეძლო შეკრებილი მასალების წესრიგში მოყვანა მათი თხზულებად ჩამოყალიბება.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ „ახალი ისტორიის“ ზემოთ მოყვანილი ადგილების მიხედვით თხზულების ავტორი თითქოს 1806 წლამდე იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო 1806 წლიდან კი უკვე რუსეთშია. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ პეტერბურგში მყოფი თეიმურაზი ამუშავებდა რა ადრევე შეგროვილ მასალებს, სათანადო ყურადღებას აღარ აქცევდა თხზულების წერის სტილს, ზოგი ეპიზოდი როგორც ჩანს, მან უცვლელად შეიტანა თხზულებაში „ესე [ციციშვილი-ლ. მ] მოვიდა წელსა ჩყგ“ და სხვ.), ხოლო ზოგიერთ მათგანში კი შეიტანა შესწორება, როგორც უკვე რუსეთში მყოფმა ავტორმა („და შ(ემდგომა)დ ნაცვლად ციციშვილისა წარგზავნეს საქართუჱლოსა მართებლად გრაფ ივან ვასილიჩი ღუდოვიჩი“). თუმცა საერთოდ თხზულებაში შეიმჩნევა, რომ ავტორი დიდ ყურადღებას არ აქცევს ასეთ დეტალებს, რის გამოც თხზულების ბოლო ნაწილში (1811 წლის შემდეგ) ორ ადგილას ვხვდებით ამგვარ დარღვევას, მაგ.: 1) „ოდეს მოვიდა ღენერალი რტიშჩევი ტფილისს, აღდგა ქ(ვალა)დ შფოთი კახეთსა შ(ინ)ა“[78], 2) „მუნით მოვიდა ალექსანდრე ქოდალას“[79].

---

[77] თეიმურაზ ბატონიშვილი დაიბადა 1782 წელს, XVIII ს-ის მიწურულისათვის იგი 18—20 წლის იქნებოდა.

[78] ახალი ისტორია, წინამდებარე გამოცემა, გვ. 83.

[79] აქვე, გვ. 86.

ეს დარღვევა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: პეტერბურგში მყოფ თეიმურაზს, ბუნებრივია, არ გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან. მისი სახლი, ისევე როგორც სხვა ბატონიშვილებისა, გადაქცეული იყო „ბატონიშვილთა და სხვა გამოჩენილ პირთა შესაკრებ პუნქტად; თეიმურაზ ბატონიშვილს კავშირი ჰქონდა არა მარტო რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან და საქართველოს ისტორიის თუ ლიტერატურის დარგში მომუშავეებთან, არამედ საქართველოში მცხოვრებთანაც. ასე მაგალითად, მას მიმოწერა ჰქონია ცნობილ პლატონ იოსელიანთან, მაგრამ ეს საინტერესო წერილები ალბათ პ. იოსელიანის მთელ არქივთან ერთად დაიკარგა[80].

ასევე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თეიმურაზსაც და დავითსაც თავიანთ მასწავლებელთან — დავით რექტორთან, რომელსაც თავის მიერ თარგმნილ თუ ორიგინალურ ნაშრომებსაც უგზავნიდნენ ხოლმე სარედაქციოდ[81]. ადვილი შესაძლებელია, რომ თეიმურაზის პეტერბურგს ყოფნისას მისთვის საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მასალები სულაც იგივე დავით რექტორს მიეწოდებინა (ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ „ახალი ისტორიის" თეიმურაზისეული ხელნაწერის ერთ-ერთ გადამწერად დავით რექტორი გვევლინება)[82].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „ახალი ისტორიის პირველი ქრონოლოგიური ფენის ზუსტი დათარიღება არ არის შესაძლებელი, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ ეს თარიღი დაახლოებით მაინც დაგვედგინა: თეიმურაზ ბატონიშვილი დაიბადა 1782 წელს. საქართველოს ისტორიით დაინტერესება და ამ მიზნით მასალების შეგროვება მას შეეძლო დაეწყო დაახლოებით XVIII საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან (ამ დროისათვის იგი უკვე 16—18 წლის იქნებოდა), ხოლო თვითონ თხზულება უკვე პეტერბურგში ყოფნისას (1811 წლის შემდეგ) დაეწერა. მაშასადამე, „ახალი ისტორიის" პირველი ქრონოლოგიური ფენა შეიძლება დაახლოებით დათარიღდეს 1811 წლიდან 1814 წლამდე.

---

[80] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[81] იქვე, გვ. 36.

[82] „ახალი ისტორია" რომ თანდათანობით იწერებოდა და ყოველი ახალი ცნობის მიღების შემდეგ ივსებოდა, ამაზე მოწმობს ტექსტის ერთი ადგილიც, სადაც საუბარია კახეთის ამბოხების დროს ალექსანდრე ბატონიშვილის ჩასვლის შესახებ მანავში, აქ მან მარცხი განიცადა, აქედან„ ... გარდავიდა და სტაფით (sic) თიანეთად წარვიდა მუნით ფშავად და მუნით ხევსურად და აწ იმყოფება ანწუხსა შინა" („ახალი ისტორია", წინამდებარე გამოცემა, გვ. 86).

# „ახალი ისტორიის" მნიშვნელობა ქართულ საისტორიო მწერლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალი ისტორიის" ქრონოლოგიური ჩარჩოები 1744—1819 წლებს მოიცავენ. თხზულება შექმნილი ყოფილა გარკვეული მიზნით: მას უნდა განევრძო ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების („აღწერა სამეფოსა საქართველოსა") თხრობა. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ „ახალი ისტორიის" თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერი (S—3860), რომელიც ჩვენ დღეისათვის თხზულების უძველეს ნუსხად მიგვაჩნია, გაგრძელების სახით ებმის ვახუშტის თხზულებას. გარდა ამისა, ბაგრატ ბატონიშვილს, რომელსაც S—3860-დან გადაუწერია „ახალი ისტორია" (A-1766) თხზულების პირველივე გვერდზე გაუკეთებია შემდეგი შენიშვნა: „ეს აქ უნდა მოებას ქართლის ისტორიასა, სადაცა წერილ არს ბოლოს მისცაო შაჰ-ნადირ ქართლი თეიმურაზს და კახეთი ძესა მისსა ირაკლის. მერმე მოვიდა თეიმურაზ ტფილისს ქ(რისტ)ეს აქეთ წელს(ა) 1744".

„ახალი ისტორიის", როგორც წყაროს, ღირებულება პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს საქართველოს ისტორიის საკმაოდ რთულ პერიოდს XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით, პერიოდს, რომელიც ასე დაწვრილებით არ ასახულა არც ერთ სხვა ქართულ საისტორიო წყაროში: „ახალ ისტორიამდე" შექმნილი პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებები არ სცილდებიან XVIII ს. 70-80-იან წლებს (პაპუნა ორბელიანის ნაშრომი მოიცავს 1739—1758 წწ., ომან ხერხეულიძისა კი — 1722-1785 წწ.). მართალია, არსებობს კიდევ ერთი ნაშრომი—თეიმურაზ ბატონიშვილის „დავით ბაგრატიონის ისტორია"[83], რომელიც 1789—1819 წლების ამბებს მოიცავს, მაგრამ მასში გადმოცემულია არა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია, არამედ მხოლოდ ის საბრძოლო ეპიზოდები, რომლებშიც მონაწილეობა მიუღია დავით ბატონიშვილს, აღწერილია აგრეთვე აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა თბილისზე და რამდენიმე ფაქტი XVIII საუკუნის მიწურულის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიიდან, მათ შორის—ერეკლე II-ის, გიორგი XII-ისა და დავით ბატონიშვილის გარდაცვალება. ამდენად, თეიმურაზ ბატონიშვილის ეს ნაშრომი მაინც ვერ შეავსებს XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებულ ხარვეზს[84].

[83] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, დასახ. გამოცემა.

[84] ამავე პერიოდზე მცირეოდენი ცნობები მოიპოვება იოანე ქართველიშვილის მემუარებში (იხ. ავთ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1952) და ახალციხურ ქრონიკებში, (იხ. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, გამოსცა შ. ლომსაძემ, თბ. 1979).

ასეთი როლი, როგორც ჩანს „ახალ ისტორიას“ ეკისრება.

რა წყაროებით სარგებლობდა ავტორი თხზულების წერისას, ძნელი დასადგენია, „ახალ ისტორიაში“ არც ერთი წერილობითი წყარო არ არის მითითებული. 1744 წლიდან XVIII ს. 80-იან წლებამდე ისტორიული ფაქტების გადმოსაცემად ავტორს შეეძლო ესარგებლა პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებებით, მაგრამ შედარებითმა შესწავლამ ნათელჰყო ამ თხზულებათა ცნობების ქრონოლოგიური სხვადასხვაობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

| „ახალი ისტორია“ (წინამდებარე გამოცემა) | პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებები |
|---|---|
| ა). ე. წ. „არბაბობას“ ათარიღებს 1745 წლით. (გვ. 45). | ა). „არბაბობას“ ათარიღებენ 1747 წლით[85]. |
| ბ). ირანიდან თეიმურაზის დაბრუნების თარიღად ასახელებს 1748 წ. (გვ. 47). | ბ) ირანიდან თეიმურაზის დაბრუნების თარიღად ასახელებენ 1749 წ.[86]. |
| გ). ფანა-ხანის მიერ განჯის გარემოცვას და ერეკლე-თეიმურაზის მიერ მის დამარცხებას ათარიღებს 1748 წ. (გვ. 47—48). | გ). ფანა-ხანის მიერ განჯის გარემოცვას ათარიღებენ 1750 წლით[87]. |
| დ). ქართველ მეფეთა მიერ აჯიჩელებთან ერთად ჭარზე გალაშქრებას ათარიღებს 1749 წ. (გვ. 48). | დ). ჭარზე ლაშქრობას ათარიღებენ 1751 წ.[88] |
| ე) მჭადიჯვრის ციხის ალყას ათარიღებს 1751 წლით, ხოლო ყვარლის ციხის ალყას — 1752 წ. (გვ. 49). | ე). მჭადიჯვრის ციხის ალყას ათარიღებენ 1754 წლით, ყვარლის ციხისას — 1755 წ.[89]. |

როგორც ვხედავთ, „ახალი ისტორია“ იძლევა პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებებისაგან საკმაოდ განსხვავებულ ქრონოლოგიას, რაც მათ ერთმანეთთან კავშირს გამორიცხავს. ჩვენი

---

[85] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371; გვ. 481.

[86] იქვე, გვ. 418—419; გვ. 482.

[87] იქვე, გვ. 424; გვ. 483.

[88] იქვე, გვ. 433—34; გვ. 484.

[89] იქვე, გვ. 454; გვ. 488.

აზრით, „ახალი ისტორიის“ ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა სხვა წყაროები, ან გამოეყენებინა ზეპირი გადმოცემები. ხოლო რადგან ავტორი ბაგრატიონთა სახლის წევრი იყო, მას შესაძლებლობა ექნებოდა ესარგებლა სამეფო არქივის მასალებით (როგორც ვარაუდობენ, ეს არქივი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა). თხზულების პირველ ნაწილში დაშვებული ქრონოლოგიური უზუსტობანი (XVIII ს. 70—80-იან წლებამდე) უფრო გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ამ ნაწილში ემყარებოდა ძირითადად ზეპირ გადმოცემებს. ასეთ უზუსტობებს აღარ ვხვდებით თხზულების მეორე ნაწილში, რომელიც აგვიწერს პერიოდს XVIII ს-ის მიწურულიდან 1819 წლამდე, რადგანაც ავტორი ამ პერიოდის ამბების თვითმხილველი იყო.

„ახალი ისტორიის“ პირველ ნაწილში დაშვებული შეცდომები ადვილად შეიძლება შესწორდეს პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებების ან სხვა საარქივო მასალების მეშვეობით. მართალია, ამ შეცდომების გამო აღნიშნული პერიოდის (XVIII ს. ნახევრიდან 80-იან წლებამდე) საქართველოს ისტორიის გადმოცემაში „ახალი ისტორია“ ვერ გაუწევს მეტოქეობას ზემოთ აღნიშნულ ავტორთა თხზულებებს, მაგრამ მეორე მხრივ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მისი დადებითი მხარეებიც: „ახალი ისტორიის“ ავტორი, როგორც ისტორიკოსი, საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ამ მხრივ იგი ვახუშტი ბატონიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ. მთელი ნაშრომი აგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, ამასთანავე, ავტორი არ იფარგლება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) ისტორიით, არამედ მეტნაკლები სისრულით ეხება დასავლეთ საქართველოში (იმერეთის სამეფოში), ამიერკავკასიის სახანოებსა და ირან-თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც (ამ უკანასკნელთ, რასაკვირველია საქართველოსთან მიმართებით განიხილავს). რაც მთავარია, „ახალი ისტორია“ ერთადერთი ქართული ნარატიული წყაროა, რომელშიც თანმიმდევრულად არის გადმოცემული საქართველოს ისტორიის საკმაოდ რთული პერიოდი (1800—1819 წწ.). ეს პერიოდი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც არის საქართველოში მეფობის გაუქმება, 1804 წ. მთიულეთის და 1812 წ. კახეთის აჯანყებები, ერმოლოვის ლაშქრობა ჩაჩნეთში და სხვა. ამ ფაქტების შესახებ არსებული რუსულენოვანი მასალა ძირითადად თავმოყრილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში[90]. აღნიშნული პერიოდის შესახებ ცნობები დაცულია პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცა-

---

[90] იხ. Акты собранные Кавказской археографической комиссией (АКАК), под редакцией А. Берже, Тифл., 1866—1904.

მეტისა“[91], აგრეთვე ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისა[92] და ალ. ფრონელის ნაშრომებში[93], მაგრამ მათთან შედარებით „ახალ ისტორიას“ ენიჭება უპირატესობა, რადგან აქ ავტორი თვითმხილველი და თანამედროვეა ამბებისა, მას საგანგებოდ შეკრებილი მასალა სისტემაში მოუყვანია და ერთიან ისტორიულ ნაშრომად ჩამოუყალიბებია. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ავტორის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს: იგი ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენელია და ბუნებრივია, რომ ისტორიულ მოვლენებსაც ამ დინასტიის ინტერესების პრიზმაში განიხილავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსად თხზულებაში იგი არ ამჟღავნებს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის ან პიროვნების მიმართ, რაც ასე ხშირია სხვა ავტორთა ნაშრომებში. მაგალითად, იგივე სამეფო ოჯახის წევრი — ბაგრატ ბატონიშვილი „ახალ მოთხრობაში“ ცდილობს თავისი პოზიციებიდან გააშუქოს ესა თუ ის მოვლენა და ხშირად თავის შეხედულებებსაც გამოთქვამს გარკვეულ პიროვნებათა მიმართ. რასაკვირველია, ეს შეხედულებანი, უმეტეს შემთხვევაში, ბაგრატის სუბიექტურ თვალსაზრისს გამოხატავენ. მისგან განსხვავებით, „ახალი ისტორიის“ ავტორი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გადმოსცემს ისტორიულ ფაქტებს და მათ განსჯასა და შეფასებას მკითხველს მიანდობს.

---

[91] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936.

[92] ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, 1895.

[93] ა. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896. მისივე, ამბოხება კახეთისა, თბ., 1907.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტექსტისათვის

გამოცემაში ძირითად ნუსხად აღებულია „ახალი ისტორიის“ ყველაზე ძველი ხელნაწერი — S—3860, იგი A ლიტერით გვაქვს აღნიშნული. ბაგრატ ბატონიშვილის მიერ გადაწერილი ხელნაწერი A-1766 კი B ლიტერით შევიტანეთ.

ძირითადი ხელნაწერის ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება XVIII—XIX სს. სხვა ძეგლებისაგან. ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენა ორთოგრაფიულ-ნორმატიული თვალსაზრისით ნაირგვარობით გამოირჩევა, ჩვენი ტექსტისათვისაც მოუწესრიგებელი ორთოგრაფიული ნორმებია დამახასიათებელი. ტექსტში ძალზე ხშირია სადავო ფორმები, უფრო მეტიც, ხშირად ესა თუ ის ფორმა ერთსა და იმავე წინადადებაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი, ამიტომ შევეცადეთ ტექსტი რამდენადმე გაგვემართა:

ტექსტში არ გაგვითვალისწინებია ხელნაწერების ორთოგრაფიულ-ფონეტიკური კითხვა-სხვაობანი, ხოლო უ-ს შემდეგ ნახმარი ჱ ე-ნით შევცვალეთ.

სქოლიოებში აისახა:

1. ძირითადი ნუსხის აშკარა შეცდომები;
2. ავტორისეული სადავო ფორმები.
3. B ნუსხის გრამატიკულ-შინაარსობრივი განსხვავებები.

ზოგიერთი ისტორიული პირის გვარი ტექსტში სხვადასხვა ვარიანტით არის მოცემული (გუდოვიჩი — ღუდოვიჩი, პორტნეგინი-პორტნაგინი და სხვ.), გამოცემაში მათ არ ვასწორებთ. ასევე არ ვასწორებთ ფორმებს ღენერალი, იანარალი და სხვა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ახალი ისტორია

ქ(ორონი)კ(ონ)ს ულბ, ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არასად შემთხვეულ არს ესევითარი მით, რამეთუ ყოველთა შორის უბოროტესმან თაზისშვილმა ტარიელ მოკლა ხანჯლითა კათოლიკოზი ნიკოლაოზ ხერხეულიძე და იგი, განლტოლვილი, განიტვინა ქვემო სატიოისა რი|ყესა ზ(ედ)ა და ნაცულად მისსა ჰყვეს კათოლიკოზად ანტონი — მეფის იესეს ძე.

ხოლო წელსა ჩლმზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ულე, განძვინდა გული ნადირისა ყოველსა სპარსეთსა ზ(ედ)ა და წარსწერა არბაბი წელსა ამას დასდებენ ქართველნი ეპოხად ანუ ქორონიკონად, რომელსაც უწოდებენ არბაბობის წელად. ხვედრსა ამას ქართველთაცა შეხვდათ ორმოცდაათი ათასი თუმანი, რომლისა გამო მიეცნენ ერნი ჭმუნვასა და იწყეს განბნევად უცხოთა ქვეყანათა. მხილველი ამისი მეფე თეიმურაზ წარვიდა იძულებული წინაშე ყაენისა, რათა განარინოს სამეფო თვისი ესევითარისა სიმძიმისაგან და ოდეს მიიწია თავრიზს, მუნ სცნა სიკვდილი ნადირისა, რომელიცა მოიკლა მაჰმად-ხან-ყაჯარისა, მუსა-ბეგ ირილელისა და ყოჯა-ბეგ გუდუზლელისაგან, ბირებითა ძმისწულისა მისისა ალი-ყულ-ხანისათა, რომელ მასცა შეხვდა არბაბსა ამას ურიცხვი ჯურუმი. და იქმნა ალი-ყული-ხან ყაენად, რომელსაცა უწოდეს ადილ-შაჰად. მაშინ თეიმურაზ მეფე არღარა მოიქცა ტფილისად, ა(რამე)დ წარვიდა წინაშე ყაენისა, ვინაჲდგან იყო სიძე მისი.

ჟამსა ამას ორგულ ექმნა ადილ-შაჰს ძმა მისი იბრეიმ-ხან, რომელიცა იყო ბეგლარ-ბეგი ისპაანისა. ამან მოკლა ზორაბ-ხან სააკაძე, ვეზირი ადილშაისა. ხოლო ესე იქმნა | დასაბამი სიძულილისა ძმათა შორის. მოვიდა ესე ადრიბეჟანს და მიუწოდა თვისთა თანა ამირ-ასლან- 263r

1 ქორონიკონსა ულბ] ხოლო წელსა 1744 (ქართულ ხუთასიანსა) ქორონიკონს ულბ A. 3∼ კათალიკოზი ხანჯლითა B. 4 ხერხეულიძე] — A. 6 იესეს ძე]+რომელიცა იყო ესე მეფის თეიმურაზის დისწული და იყო ესე ანტონი ქუთათლად იმერეთსა შ(ინ)ა B. 7 ჩლმე, ულგ AB. 8 ზედა]+მიზეზისათვის ამისსა ვინათგან ნადირმან აღმოხადა თვალნი უპირველესსა მემკვიდრესა თჳსსა რიზაყულის უბრალოს შესმენისათ[ვი]ს B. 15 მაჰმად-ხან ერევნელისა B. 20 მისი]+და ჰყვანდა ქალი მისი ქეთევან ცოლად B. 21 ადირშას A. 23 ადირშაისა A.

ხანს, რომელიცა იყო ესე დადრგენილ ბეგლარ-ბეგად ნადირისაგან ადრიბეჟანსა შინა; ესე მივიდა მის თანა. სცნა რა ესე ადილშამ; მოვიდა ზანგანს. იკვეთნენ მუნ, იძლივა ადილშა. უკანასკნელ შეიპყრეს და აღმოხადა თვალნი იბრეიმ-ხანმან, ხოლო დაუტევა მუნ ამირ-ასლან-ხან განმგედ და თვით წარვიდა ჰამადანს. სცნეს რა ესე ხორასნელთა, მაშინ გამოიყვანეს ციხით შარუხ-მირზა, ძე რიზა-ყული-მირზასი და ძის ძეი ნადირისა, რომელიცა ჰყუა პყრობილად მაშინ ადილშას შ(ემდგომა)დ მოწყვეტისა ძეთა ნადირისათა, რომელიცა მოსწყვიტნა მან და დასვა ესე განძრახვითა ამით, უკეთუ ერანელთა არა ინებონ მონებაჲ ადილშაჲსა და მოითხოვონ მეფედ ძევე ნადირისა, მაშინ გამოიყვანოს ესე და დააცხროს ამით რუდუნი ერთა ამათ.

ჟამსა ამას მოვიდა ყილიჯლი ალი-ხან განჯით მჴედრებითა. ესე ალი-ხან, რომელიცა პირველ იმყოფებოდა ტფილისს ხანად, მოიყვანა ამან საამ ვინმე, რომელსაცა უწოდდა სეფაბია[ნ]თა შთამომავლობა-თაგან და შეუგზავნა კაცი სისრულმან კუმისს | მეფესა ირაკლისა, 263v რათა ემონოს და წარუგზავნა დაბეჭდილი თეთრიცა სახელსა ზ(ედ)ა საამისასა, გარნა იძლივა რა მეფისაგან, მსწრაფლ უკუნ იქცა.

ჟამსა ამას ორგულ ექმნა იბრეიმ-ხანს ამირ-ასლან-ხან და მოადგა შუშის. ხოლო ციხეცა ქალაქისა* განამაგრა დურა-ხან-ბეგმან**, რომელიცა იყო დადრგენილ სპარსთაგან მცველად და ციხესა ამას შეერთდნენ ციხელნი თათარნი. სცნა რა ესე აბდულა-ბეგმან, ძემან მეფისა იესესამან, რომელიცა ჟამსა მას დადრგენილ იყო განმგედ ბარათიანთა ზ(ედ)ა მეფისა თეიმურაზისაგან, ესე ორგულ ექმნა მეფესა ირაკლის და სთხოვა ამირ-ასლან-ხანს მჴედრობაჲ, ხოლო მანცა წარმოუგზავნა. მაშინ მოვიდა სოღოლაკსა ზ(ედ)ა უვეცრად. განვიდა მეფე მცირედითა მჴედრებითა, ვინაიდგან მაშინ მცირე ჰყვა მჴედრობაჲ. განვიდნენ ერთისა უკუე მჴრით მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფ(რია)დ მჴნედ. იძლივნენ მჴედრობანი სპარსთა და ბარათიანთანი ესრეთ, რომელ ერთი იპყრობდა ათსა, ხოლო ერთმან მებაღემანცა შეიპყრა ცხრაჲ ყიზილბაში და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი, და შეიქცა მეფე ქალაქად გამარჯვებული.

მაშინ გამოვიდა ლეკი და მოარბივა ავჭალა და მარტყოფი და 264r წარ|ვიდა. ხოლო მეფე განვიდა საყინულესა თანა წყალსა ტივებითა, ვინაიდგან არა ძალ-იდებოდა კარსა ავლაბრისასა განსვლაი, რომელ მეტეხიცა აქვნდათ გამაგრებულ ციხელებსა, შთავიდა ქიზიყს, შემოიკრიბა მჴედრობანი კახთანი, ეწია ლეკთა დანლისს და სძლო. ეჰა

1 ნადირისაგან] + დადრგენილი B. 18 ამირ-ასლან-ხან] + მოვიდა B . 26 მეფე] + ირაკლი B. 34 რომელ მეტეხიცა] რომელი მტკიცედ B .

* B-ში კიდეზე განმარტებულია: „ტფილისისა“.

** B-ში კიდეზე განმარტებულია: „ყაზახელმან“.

საკვირველი, რომელ დევნასა მას ლეკთასა წარმოიქცა ფლატე ივრისა და მოსწყვიტნა უმეტეს სამასისა ლეკნი ცხენითურთ მოტ[illegible] ქვეშე. და სძლო და უკმოქცეული მოვიდა ღამესა მას და [illegible] ფლის-წყალსა ზ(ედ)ა, ხოლო ლტოლვილნი იგი ლეკნი მიიწივნენ რა ალაზანს, მუნ იხილეს ხოჯახ ლეკი ვინმე, რომელსაცა ჰყვა შეყრილობაჲ ლეკთა და სწადდა გამოსვლაჲ კახთა ზ(ედ)ა. მაშინ შეერთდნენ ესენი ღამესა მას და დაეცნენ განთიად თავსა ზ(ედ)ა მეფესა, გარნა იძლივნენ ლეკნი.

მაშინ შემოიკრიბნა მუნ მეფემან მჴედრობანი კახთანი სრულიად, გორიდამაცა შთამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი, ბოჭორმისად წოდებული, და აიღეს მეტეხი, ხოლო უკანასკნელ თაბორი და თაბორითა იწყეს რა ცემა ზარბაზანითა მით, შეჭირვებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფესა.

სცნა რა იბრეიმ-ხანმან ორგულებაჲ ამირ-ასლან-ხანისა, წარმოვიდა მას ზ(ედ)ა, ჰსძლო, ხოლო ძლეული ამირ-ასლან-ხან შეიპყრეს ყარადაღს და მიი|ყვანეს იბრეიმ-ხანისა წინაშე, რომელმანცა წარჰკვეთა 264v თავი და იწოდა იბრეიმ-ხან ყაენად, ესე იგი იბრეიმ-შაჰად, და წარვიდა შარუხსა ზ(ედ)ა, სადაცა მჴედრობათა მისთა შეიპყრეს იგი გზასა ზ(ედ)ა და მიიყვანეს შარუხანისა წინაშე და მან წარკვეთა მას თავი, ხოლო შარუხსაცა ქურთთა ხაბუშანისათა აღმოჰჴადეს თვალნი და ჰყვეს მაშათსა შინა ჴელმწიფედ. და იქმნა ერანსა შინა ფრიადი აღრეულებაჲ. ხოლო მეფე თეიმურაზცა მოვიდა წელსა ჩლმთ, ქ(ორო-ნი)კ(ონ)ს ულზ.

ჟამსა ამას მოადგა მამად-ხან-ყაჯარი, ერთი იგი მკვლელთაგანი ნადირისა, ერევანს და ლამოდა დაპყრობასა მისსა. ევედრნენ ერევნელნი მეფესა თეიმურაზს და წარვიდა ესე მჴედრებითა, სძლო მამად-ხანს, აღიღო ფრიადი ალაფი და განარინა ერევანი მოოჴრებისაგან, გარნა მოხარკე ჰყო მან ერევნელნი და მოვიდა ტფილისს*.

ხოლო მოვიდა წელსავე ამას ფანა-ხან შუშისა განჯას. მაშინ წარვიდა მეფე თეიმურაზ ძითურთ თვისით მეფე ირაკლით შველად განჯისა. სცნა რა ფანა-ხანმან მიმავალობა მათი, დაუტევა გარმოდგომა განჯისა და უკუნ-იქცა ყარაბაღად. სცნეს რა ესე მეფეთა, შეუდგნენ უკანა ამას და შთავიდნენ ყარაბაღს. ეკვეთნენ ყარათაფად წოდებულსა ადგილსა, მუნ იძლია ფანა-ხან, სადაცა მხ|ედრობამან ქართველთა- 265r

---

5 ხოჯას B. 15 ჰსძლო] — A, ხოლო] — B. 17 იბრეიმშად B. 19 შარუხისა B. 20 ქურთთა] ქურდთა B. 22 ჩლმჲ, ულგ AB. 27 ალაფი] + მათი B. 27 და] — A. 28 გარნა] + და A. 29 განჯას] + და გარემოერტყა, მსმენელი ამისი B. ~ წარვიდა მაშინ B. 31 ფანამან B. ~ განჯისა გარმოდგომაჲ B. 33 ამას] მას B. 34 ფანა-ხან] + მიუღეს ზარბაზანნი და თოფხანანი სრულებით B.

* ეს სამი სიტყვა A-ში დავით ბატონიშვილის მიერ არის შეტანილი.

მან მოარბივეს ვიდრე ხუდაფერინადმდე, და ესეოდენი იშოვეს ალაფ-ნი, რომელ ცხვარი იყიდებოდა აბაზად, ხოლო ცხენი [illegible] ძროხა ხუთ აბაზად, და უკ-მოიქცნენ ალაფითა გამარჯვებულნი.

გარნა* წელსა **ჩლნა**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **ულთ**, შეერთდნენ მეფენი აჯი-ჩალაბისა შაქისა ხანისა თანა, სადაცა შემოიკრიბნეს მჴედრობანი. და წარვიდნენ ჭარსა ზედა და რაოდენ ევედრნენ ჭარელნი მონე-ბასა, არა უსმინეს მეფეთა და მივიდნენ რა ჭარსა ზედა, მაშინ აჯი-ჩალაბიცა შეერთდა ჭარელთა და განტეხა აღთქმა თვისი. იძლივნენ მუნ ფ(რია)დ მეფენი, გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით, ხოლო ალა-ზანსა შინა, ვინადგან გაუჭირდა მეფესა ერეკლეს გამოსვლა, რომელ ქვევითნი იგი ქართველთანი, რომელნიც მოაქვნდა წყალსა, ეხვეოდენ ცხენთა განრინებისათვის, მაშინ თავადმან ბებურისშვილმან პაპამ მო-სწყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით. ხოლო ვინაიდგან ნაპირი მდინარისა ალაზნისა არს ფლატოან, ამად პაპამ მუნ ვერღარა აღიყვანა ცხენი მეფისა და, ვირე მოატარებდა შორს, ვირე ქვევითი-სა მყოფსა მეფესა შეემთხვა ბოსტაშვილი მაჩხაანელი და მიართვა ცხენი და ესრეთ განერა მეფე.

|ხოლო ამავე წელსა განძლიერდა აზათ-ხან ავღანი სპარსეთსა
265v შინა, წარმოვიდა ერევანსა ზედა. ევედრნენ უკუე ერევნელნი მეფე-სა თეიმურაზს, რომელმანცა წარუგზავნა ძეი თვისი ერეკლე შესაწევ-ნელად სამი ათასითა მჴედრებითა. მიიწივნენ რა ყირიხბულახს, იგი-ცა მოვიდა, რომელსაც ჰყვანდა უმეტეს ათთურამეტი ათასის კაცისა, იკვეთნენ მუნ, იძლია აზათ-ხან ქართველთაგან და განარინეს ერევანი და მოიქცნენ გამარჯვებულნი ფრიადითა ალაფითა ესრეთ, რომელ მრავალთა მოლაშქრეთა იშოვნეს ყათრობით აქლემი და ჯორი.

მაშინ მეფე თეიმურაზმან, მდგომმან მარაბდას, სძლო ლეკთა და მოიკლა ბრძოლასა შინა ქალაქის მოურავი თარხნისშვილი იორამ. და ჟა(მ)სა** ამას გარდაიცვალა დედოფალი აბაშიძის ზაალის ასული ანნა და იქორწინა მეფემან ირაკლიმ დადიანის ასულსა ზ(ედ)ა.

მხილველთა ხანებთა ადრიბეჟანისათა ძლევისათვის აზატ-ხანისა, სთხოვეს მეფესა თეიმურაზს, რათა წარვიდეს მჴედრებითა დასაპყრო-ბელად ადრიბეჟანისა და თანა წარიტანოს ესენიცა თანჴმობილი. ამას ზედა მეფე თეიმურაზ შთავიდა რა განჯას ძითურთ ერეკლეთი, მაშინ

1 ხუდაფრინადმდე A, ხურდა ფირინის ხიდადმდე B. 3 გამარჯვებულნი]+და მიხ-მულნი მისნი ზარბაზანნი მოიღეს და დასდვეს თელავს და გორის ციხესა შინა და დააწე-რეს ესე ძლევაჲ მას ზედა B. 4 გარნა] ხოლო B. ჩლმთ, ულზ AB. 12 თავადმან]—A. 18 ამავე წელსა] წელსა 1749 B. 25 ყათარობით AB. 28 და ჟამსა] ხოლო ჟამსა B. 28 ზაალის]—A. 29 ზედა]+დარიაზე, რომელი ესე იყო მესამე ცოლი მეფისა ირაკლისა B.

* ეს სიტყვა ტექსტში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

** ეს ორი სიტყვა ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

მოვიდა წინაშე მეფისა ხანი განჯისა, შუშისა და ყარადაღისა. გა|რნა 266r ნებითა მეფისა ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე, თუმცალა არასადა სწადდა მეფესა თეიმურაზს ესევითარისა უგვანისა საქმისა ქმნაჲ და ვერცალა აღუდგა ძესა თჳსსა. სცნა რა ესე ძემან აჯი-ჩალაბისამან აღა-ქიშიმ, გამოვიდა მტკვარსა, ეკვეთა მეფეთა, რ(ომე)ლთაცა ამხილა ღ(მერ)თ(მა)ნ ესევითარისა უსამართლოებისა ქმნაჲ და დაჰყარნეს მუნ პყრობილნიცა და ივლტოდნენ. რ(ომე)ლთაცა მიეცათ ფ(რია)დი ნაკლულევანებაჲ. ხ(ოლო) იქმნა ესე წელსა 1752, ქ(რონი)კ(ონ)ს უმ.

მაშინ ძლევაშემოსილი აღა-ქიში მიიწივა რა სახლად თჳსად, შეკრიბნა მუნ მხედრობანი შაქისა, შირვანისა და ლეკთა და წარმოვიდა წელსავე ამას, ამოვლო განჯა, თან წამოიყუანა ხანი განჯისა მხედრებითა თჳსითა, ამოვლო შამშადილი და ყაზახი და მოვიდა ბაიდარს. სცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარგზავნა ძეჲ თჳსი ირაკლი სტეფანწმინდას და მოუწოდა მხედრობასა ჩერქეზთასა. მაშინ მოვიდნენ მხედრობანი ჩერქეზთანი. განვიდნენ რა მეფენი ტფილისით, მცნობმან აღა-ქიშიმ იწყო უკუნ-ქცევაჲ, მაშინ მეფენი ეწივნენ შამშადილსა შ(ინ)ა, თულქი-თაფად წოდებულსა ადგილსა, იკვეთნენ მუნ, იძლივა აღა-ქიში, რომელსაცა მიჰყვნენ კაფით შამქორამდინ.

ხ(ოლო) წელსა 1753, ქ(რონი)კ(ონ)ს უმა მოვიდა | ნურსალ-ბეგ 266v ავარელი ფ(რია)დითა მხედრებითა და მოადგა მჭადიჯვარს. გარნა ერთმან მოხუცმან დედათაგანმან დაუწვა მათ შვიდი საფარი, მიტანილი ციხესა ზედა და მოკლეს იგიცა ლეკთა მერვესა საფარსა ზედა. ხოლო სძლეს მუნ მეფეთა მათ და მოსწყვიტნეს ფრიადნი ლეკნი და სირცხვილეული უკუნ იქცა სახლადვე თჳსად. ხ(ოლ)ო წელსა 1754, ქ(რონი)კ(ონ)ს უმბ შეიკრიბნა ამანვე მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელს. მაშინ შეაშველეს მეფეთა დაუთალაბად ბებურისშვილი პაპა, მდივანი სოლომონ ქობულისძე, თაყაშვილი ფარემუზ, რატიშვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი და სხუანი კეთილშობილნი და განარინეს ციხე ესე და ლეკთა, ვინადგან ვერარა ჰყვეს, უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი.

ხოლო წელსა 1755, ქ(რონი)კ(ონ)ს უმგ იქმნა კათოლიკოზი ანტონი, ძეჲ მეფისა იესესი, შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება რომისა კათოლიკისა, რომელიცა განძებულ იქმნა მეფისა თეიმურაზისაგან

---

7 პყრობილნიცა] + იგი B. 11 მუნ] მან A. 13 შამშადინი B. 17 უკან ქცევაი A. 17-18 შამშადინსა B. 19 შანქორამდინ B. 20 1751 AB. 21 ავარელი]+ესე იგი ხუნძახის ბატონი მუცალი B. 23 და მოკლეს იგიცა ლეკთა მერვესა საფარსა ზედა ხოლო] — B. 25 1752 AB. 27 დაუთალაბად]+თავადი B. 29 კეთილშობილნი]+ და გლეხნი B. 29-30 განარინეს]განამაგრეს B. 32 1753 A. 33-34 რომისა]—B. 34 თეიმურაზისაგან]თეიმურაზის მიერ B.

რუსეთად და მიიწია რა იგი რუსეთად, მუნ ეწყალობა ელისაბედ პეტროვნასაგან არხიერობაჲ ვლადიმერიისა.

ჟამსა ამას მოვიდნენ ლეკნი შთამოსრულნი მთით და მოაოხრეს რუისპირი, გარდავლეს გონბორი და შთამვლელნი მოიწევნენ დედო|ფლის-წყალს. შთასრულთა თოფყარაღაჯს შთაეწივნენ კახნი ქიზიყელითურთ, 267r გარნა იძლივნენ კახნი და მოსწყდნენ უმრავლესნი მუნ რაოდენისამე თავადთა ძეებითურთ.

ჟამსა ამას* აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზ(ედ)ა ერევანს. მაშინ მეფემან ირაკლიმ შეიყარა მჴედრობა, მოვიდა ერევანს და აჰყარა იგინი და გარდმოასახლნა ბორჩალოდვე.

კ(უალა)დ შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ ღართის-კარს, წარტყვენეს ქარავანი ქართლისა და მოკლეს მუნ მუხრანის ბატონი კოსტანტინე მიმავალთა მათ ლეკთა კახეთს. მსმენმან მეფემან ირაკლი შეუკრნა მათ გზანი და მოსწყვიტნა სრულიად.

კ(უალა)დ მოვიდნენ ლეკნი და მოაოხრეს ჯუგაანი. მაშინ მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი იმყოფებოდნენ ქიზიყს და შეუდგნენ მეფენი უკანა, მიეწივ[ნე]ნ მახლობელ დანღისისა და მოსწყვიტნეს ლეკნი და მიუღეს ყოველი იგი ნატყვენავი.

ხოლო წელსა ჩღნზ, ქ(რონი)კ(ონ)ს უმე, იქმნა ფრიადი სიყმილი, ესრეთ, რომელ ერნი იზრდებოდნენ მდელოითა და განიბნივნენ მრავალნი მცხოვრებნი.

მაშინ გამოვიდა მაჰმად-ასან-ყაჯარი, რომელმანცა დაიპყრა უმეტეს ნახევარი სპარსეთისა და მოადგა შუშის. ამან იჴმო თვის თანა მეფე თეიმურაზ რომე|ლმანცა იწყო მზადება წარსვლად მის თანა. 267v ხოლო გამოჩნდა რა შირაზს ქარიმ-ხან, მაშინ წარვიდა ესე მაჰმად-ასან-ყაჯარი მისს ზედა, სადაცა გარმოდგომასა ქალაქისასა დაეფანტნეს მჴედრობანი და თვითცა ლტოლვილი მოიკლა მსახურისა მისისაგან, რომელმანცა მოჰკვეთა თავი და მიართვა ქარიმ-ხანს და ნაცვლად ესევითარისა ბოროტმოქმედებისათვის ბრძანა ქარიმ-ხანმან მონისაცა მის სიკუდილი.

ჟამსა ამას განავრცეს ლეკთა ჴდომაჲ და გამოჴდა ჩონჩოლმუსა. მაშინ ორნივე მეფენი იყვნენ კრცხინვალს. მოვიდნენ ლეკნი ზღუდერს. ხოლო მეფეთა ვერ თავს იდეს პირისპირ გამოსვლაჲ, ვინაიდგან არა ჰყვათ მჴედრობაჲ. მუნ იქმნა მცირედი კინკლაობა, გატრიალდნენ მუნით ლეკნი, მივიდნენ და აიღეს ალი და აღვიდნენ

---

1 უწყალობა B. 1-2 პეტროვნამ არხიეპისკოპოზობაჲ B. 4 გობორი B. 7 რაოდენისამე... ძეებითურთ] რაოდენიმე თავადნიცა B. 9-10 მივიდა B. 19 უმე] უმზ B. 25-26 მაჰმად-ასან-ყაჯარი] — A. 27 ლტოლვასა A. 29 ქარიმ-ხან A. 33 პირისპირ გამოსლვაჲ] პირის-პირობაჲ B.

* ეს ორი სიტყვა ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

ახალციხეს. კ(ვალა)დ მუნით შთამოვიდნენ, სადაცა განიყვნენ ორად: ჩონჩოლ-მუსა მოადგა ავნევს, ხოლო კოხტა—ატოცს. მაშინ მეფეთ იკმეს შველად მეფე სოლომონ, რომელიცა გარდმოვიდა იმერთა მხედ-რებითა. მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფნეს მხედრობანი ქართლისა და კახეთისანი, შეერთდენ იმერთა თანა, დაეცნენ ატოცს და მოსწყვიდნეს | ფ(რია)დ ლეკნი და* ჩონჩოლ-მუსაჲ მხილველი ამისი 268r განივლტო ღამე და ესრეთ განერა. ესე იქმნა წელსა ჩღნჱ, ქ(ორონი)-კ(ონ)ს უმვ, უწინარეს ერთისა** წელსა ამისს, ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძეულისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი, ხოლო მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზამბურს უმეტეს სამასისა. მუნ მოი-კლა ბრძოლასა შინა საამისშვილი ედიშერ.

ხოლო წელსა ჩღნთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმზ მოვიდნენ ლეკნი ტე-ზერს. მუნ სძლო მეფემან თეიმურაზ, გარნა ბრძოლასა შინა მოიკლა ციცისშვილი გლახა, გერი მეფისა თეიმურაზისა.

წელსა ჩღჲ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმჱ წარვიდა მეფე თეიმურაზ რუ-სეთს. მეფემან ირაკლი კვალად სძლო სუხყულიანსა შ(ინ)ა ფ(რია)დთა ლეკთა. და მეფე თეიმურაზცა გარდაიცვალა წელსა ჩღჲბ, ქ(ორონი)-კ(ონ)ს უმი და დაფლეს ასტრახანს.

და იწოდა ირაკლი მეფედ ქართლისადცა. ამან მოიყვანა კათო-ლიკოზი ანტონი რუსეთით და განაწყვეს შკოლა ახლისა ფილასოფი-ისა ბაუმეისტერისა, რომელიცა რუსეთს ყოფასა სთარგმნა კათო-ლიკოზმან რუსულით ქართულად.

და განძლიერდა რა ქარიმ-ხან ზანდი სპარსეთსა შ(ინ)ა, მაშინ ლტოლვილი და დაცემული აზათ-ხან მოვიდა მეფისა წინაშე და ევედ-რა შეწევნასა, ხოლო | ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმ-ხანს, რო-მელმანცა ნაცვლად სამსახურისა ამის უძღვნა მეფესა მადლობაჲ სა- 268v ბოძვარითურთ.

ჟამსა ამას აღდგა ფათალი-ხან ავშარი, მოიკრიბნა მჴედრობანი ადრიბეჟანისანი და მოადგა შუშის და სთხოვა მეფესა შეწევნაჲ. ამან

---

3 იკმეს... სოლომონ]იხმეს იმერთა მეფე სოლომან შველად B. 7 ღამესა B. 7 განე-რა]+მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წ(მიდ)ისა მთავარმოწამისა გიორგისა, რომელ ასვენია ატოცსა ხატი წ(მიდ)ისა მთავარ-მოწამისა გიორგისა სასწაულთმოქმედი, და იტ-ყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა B. 7 ესე იქმნა] ხოლო ესე იყო B. 8 ერთისა წელსა ამისს] წლისა ამისასა B. 12 უმზ]უმთ B. 13 გარნა]+ამა B. 14 თეიმურაზისა]+და B. 15 უმჱ]უმთ B. 16 სუყულიანსა B. 16 ფრიად B. 17-18 და მეფე თეიმურაზცა... ქორონიკონს უმი]ხოლო წელსა 1762, ქორონიკონს უმი გარდაიცვალა მეფე თეიმურაზ პეტერბურხს, მუნიდამ წარმოიღეს გვამი მისი ქართველთ. ვერ უძლეს გარდმოტანაჲ B. 19 იწოდა ირაკლი]ირაკლი ძე მისი იწოდა B. 23 ზანდი] — A.

* ეს ორი სიტყვა A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის მიერ.

** ეს ორი სიტყვა A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის მიერ.

მიაშველა მჴედრობაჲ და ოდეს წარმოემართა ამათ ზედა ქარიმ-ხან, მაშინ არღარა წარჰყვნენ მჴედრობანი ქართველთანი და მოიქცენ უკანვე. და შავერდი-ხან, ხანი განჯისა, რომელიცა ჰყვა ფანას ჰყრობილად და განათავისუფლა ფათალი-ხანმან, იგი მოვიდა მეფისა წინაშე, რომელმანცა წარატანა მჴედრობანი ქართველთანი. აღიღეს ქ(ვალა)დ განჯა და ჰყვეს ესე ხანად. გარნა განჯელმან მსახურმან უკუე შავერდი-ხანისამან მოკლა ხანი და გამოაძეს განჯელთა ძენი მისნი, რომელნიცა მოვიდნენ მეფისა ირაკლისა წინაშე, ხოლო ამან წარატანა მჴედრობანი, აღიღეს განჯა და ჰყვეს პირმშო ძე შავერდი-ხანისა მაჰმად-ასან-ხან ხანად.

გარნა სძლო კ(უალა)დ მეფემან ყარაიასა ზ(ედ)ა ლეკთა, რომელთაცა განერყვნათ გორისა გარემონი და დააყრევინა მუნ ყოველი ნატყვენავი. კ(უალა)დ სძლო ახმეტას ლეკთა და მოსწყვიდნა ფ(რია)დ, რომელნიცა დაეცნენ ახმეტას. კ(უალა)დ შეკრბენ შეყრილობანი ლეკთანი და სწადდათ ზედა დასხმაჲ სამაჩაბლოსა. სცნა მეფემან, შეუკრ-
269r ნა კეხვი და მო|სწყვიდნა სრულიად.

კ(ვალა)დ მოვიდნენ შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ ბორჩალოს და მოსტყვენვეს აღმამადლი, გარნა იძლივნენ ფ(რია)დ ბორჩალოველთაგან. მუნ იყო მჴნედ თარხანი გიორგი, მოურავი ბორჩალოსი, რომელთაცა მოსწყვიტეს უმრავლესნი ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი.

ხოლო წელსა **ჩღჲე**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **უნგ**, შეითქვნენ მეფესა ზედა თავადი ამილახვარის შვილი დიმიტრი, სახლთხუცესი, და ესე იყო მძახალი მეფისა, რამეთუ დაჲ მეფისა ელისაბედ ჰყვა ძესა მისსა გიორგის, და გლახა ციციშვილი და თაქთაქიშვილი ელისბარ. ამათ მისცეს პირობაი პაატას ბატონისშვილს, რომელიცა იყო ესე არარჯულიერი ძე მეფისა ვახტანგისა, რომელიცა იმყოფებოდა მეფისა წინაშე დიდითა პატივითა, გარნა იყო კაცი ესე ფ(რია)დ მეცნიერ, რათამცა წარსწყმინდონ მეფე. სცნა რა ესე მეფემან, შეიპყრა ესენი. შეკრბენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა თაქთაქიშვილი ელისბარ და დიმიტრი პატიმარ ჰყვეს და შეურაცხჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზ(ედ)ა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი, და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა.

მოიკრიბნა კ(ვალა)დ მეფემან მჴედრობანი და დაეცა ქურთთა ერევნისათა, წარტჰყვენა და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა | დიდითა.
269v

---

3 ხანი] — B. 3-4 ~ ჰყრობილად ფანას B. 4 ~ იგი ფათალი-ხანმან B. 5 ქართველთანი] — A. 8 ამან] მან B. 14 შეკრბენ]—B. 22 ჩღჲზ, უნგ. AБ 23 თავადი] — A. 25 თაგთაგიშვილი A. 25 ამას AB. 30 ცეცხლსა შინა]ცეცხლში B. 30-31 თაგთაგისშვილი A. 33 გლახა ციციშვილსაცა]გლახასაცA.

მაშინ ფამბაკი იყო რა ოჯერ, გამოსთხოვა პირმშომან ძემან მისმან გიორგიმ და ალაშენა.

ქ(ვალა)დ შეიყარნენ ფრიადნი ლეკნი, დაეცნენ თუშეთს, გარდა-ეშველნენ ფშაველნი, სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორასისა და წარივლტნენ სირცხვილეულნი.

განძებულ იყო რა მეფე იმერთა სოლომონ იმერთაგან და ჩაიყვანეს რა მ[ჴ]ედრობანი თურქთანი იმერთა, რომელთაცა ჰყვეს თეიმურაზ ბიძაწული მისი მეფედ, თუმცალა განსდევნა მეფემან სოლომონ თურქნი და შეიპყრა თეიმურაზ და შესვა ციხესა, რომელსაცა დაეცა მეხი და მოკუდა, გარნა ქ(ვალა)დ თურქთავე ეპყრათ რაოდენნიმე ციხენი. და ვინაიდგან ერისთავი რაჭისა როსტომ არა ერჩდა, რომლისა გამო მეფემან იმერთამან იხმო მჴედრობაჲ ლეკთანი და წა[რ]სტყვენა რაჭა და ალაფითა სავსენი ლეკნი უკუნ იქცნენ რა თვისად, მაშინ მცნობმან მეფემან ირაკლიმ შეუკრნა იორი, სადაცა მოსწყვიტნა ს[ა]მასნი და მიუღო ყოველი ნატყვენავი.

ხოლო მეფე სოლომონ ევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოსცენ მჴედრობაჲ შესაწევნელად. და მოვიდა გრაფ ტოტლებენი ექვსი ათასითა მჴედრობითა რუსთათა, წელსა ჩღჲთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნზ. სცნა რა მოსვლაჲ მათი მეფემან ირაკლიმ, მიეგება კოპს, შეითქვნენ 270r
მეფე და ტოტლებენი, | რომელიცა არღარა წარვიდა იმერეთად, ა(რამე)დ წარვიდენ ორნივე ახალციხესა ზ(ედ)ა. წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სამდურავი, სადაცა აწყურით დაბრუნდა გრაფი, ხ(ოლო) იხილეს რა დაბრუნება რუსისა, ქართველთა იწყეს ლტოლვად, სადაცა გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მჴედრობაჲ დელუბაშებისა, რომელსაცა სძლო მეფემან*, მოვიდა და დაიბანაკა ასპინძას. სცნეს თურქთა უკუნ ქცევაჲ ქართუელთა და რუსთა, ჰგონეს თურქთა, რეცა ქართველნი შიშისაგან ივლტიან და შეუდგნენ უკანა მრავალნი მჴედრობანი ლეკთანი და თურქთანი. ჟამსა იმას მრავალნი ლეკნი იმყოფებოდენ ახალციხესა. ღამესა მას გამოვიდნენ უკუე ნახევარნი ჴიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ლამოდნენ მეორესა დღესა გამოსვლად. ხ(ოლო) ღამესა მას წარგზავნა მეფემან ერისთავის შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრანბატონისშვილი ნასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი, ჩინებული და მამაცი ყოვლისა საქართუელოსა შინა და ამცნო მათ, რათა აპყარონ ჴიდი ასპინძისა და მათ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა. დღესა მეორესა, იქმნა რა ბრძოლა, იძ-

1 ფაბაკი B. 4 ფშაველნი] + და ეგრეთვე კახეთით გაღმა მხრის მჴედრობით მიეშველა მოურავი მათი დურმიშხან ჩოლაყაშვილი B. 6 იმერთა] — A. 19 მოსვლაჲ მათი] — A. 21 წარმოიშვა] + რომელთამე ვერაგთა ქართველთაგან B. 24 მეფესა] — B. 26-27 თურქთა, რეცა] თურქთაცა B. 31 ერისთავისშვილი] — B. 33 ჩინებული] — B.

* ეს ორი სიტყვა A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის მიერ.

ლივნენ ლეკნი და თათარნი, ჰგონეს მათ ჯიდისა მის კ(უალა)დ გებაჲ,
რომელნიცა მიივლტნენ მუნ, ესრეთ უკუე იყუნენ შიშნეულ, რ(ომე)ლ
270v ერთი მეორესა ჰყრიდა ჯიდისაგან ისრებით მტკვარსა შ(ინ)ა: | ლეკსა
მას მოკლა მეფემან ირაკლი ჴელითა თჳსითა კოხტა ბელადი, რ(ომე)-
ლიცა იყო ჩინებული მძლევანი ლეკთა და მოიშუთვნენ უმეტეს წყალ-
თა შ(ინ)ა ორისა ათასისა ლეკნი და თათარნი და მოიქცნენ ქართუელ-
ნი ალაფითა სავსენი სახლად თვისადვე.

შთავიდა რა გრაფი სურამსა, გარდავლო მთაჲ საფიჩხიისა და შთა-
ვიდა იმერეთს, მოეგება მეფე იმერთა სოლომონ, მიუძღუა და აღი-
ღეს ციხე ცუცხვათისა, შორაპანისა და ქუთაისისა, რ(ომე)ლიცა ეპყ-
რა თურქთა. ხ(ოლო) ჟამსა ამას იქმნა საშინელი მომსრველი ჟამი
საქართუელოსა შ(ინ)ა, და მოადგილედ მოვიდა ამა გრაფისა წილ
მუნ ღენერალი სუხატინი, და გრაფი წარვიდა როსიად, ხ(ოლო) სუხა-
ტინი* შთავიდა ფოთს, გარნა ოდეს ვერ უძლო დაპყრობაჲ, უკ-მოიქ-
ცა.

ხ(ოლო) ჟამსა ამას წარვიდა კ(ვალა)დ მეფე ირაკლი ქურთთა
ზედა, მოარბივნნა იგინი და მოვიდნენ ქართველნი ფრიადითა ალა-
ფითა. ხოლო რუსნიცა უკუნ იქცნენ რუსეთადვე წელსა ჩღობ 1772,
ქ(ორონი)კ(ონ)ს უჲ, რომლისა გამო მეფემან წარგზავნა რუსეთად ძეჲ
თჳსი ლევან და კათალიკოზი ანტონი, ძე მეფისა იესესი.

მოვიდნენ კ(ვალა)დ შეყრილობანი ლეკთანი ქართლში. მაშინ ქარ-
თლისა და კახეთისა მჴედრობანი იყვნენ შეყრილ, გარნა იკუეთნენ
უფლისციხეს, იძლივნენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი. განვი-
დნენ ლეკნი გორის ბოლოს ლიახვსა და წარვიდენ ახალციხეს. განივ-
ლტო ხიდირბეგისშვილი როსტომ ახალციხესა და მოუხდა ლეკისა
271r შეყრილო|ბითა და შევიდა კრცხინვალს, მოაოჴრა გარე ციხისა და
მრავალნი ტყვენი წარასხნა. ხოლო იყვნენ თურქნი განძვინებულ სა-
ქართველოსა ზ(ედ)ა და იყოფოდენ ლეკნი მრავალნიცა ახალციხესა
შ(ინ)ა და სტყვენვიდიან ქართლსა. გარნა ჩვენნიცა მარადის უჯდებო-
დიან და აოჴრებდიან ჯავახეთსა ესრეთ, რომელ ძეთა მელიქისათა
გიორგიმ და ავთანდილ შეიპყრეს უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცი-
თა მდევარნი თურქთანი. კ(ვალა)დ უჯდებოდის და აოჴრებდის ჯავა-
ხეთს და ზედა დასხმასა უყოფდის ლეკთა ხუდია და სხვანი ბორჩა-
ლოელნი და სხვანი ელნი ჩვენნი, რომელთაცა მოიყვანეს კერძოი
ახალციხისა და ყარსისა ძრწოლასა.

---

9 იმერთა] — B . 14 ფოტს B . 18-19 რუსნიცა... ქორონიკონს უჲ]ხოლო წელსა ამას 1772, ქორონიკონს უჲ რუსნიცა უკუნ იქცნენ რუსეთადვე B. 20 ძე... იესე-სი]—A. 24—25 განივლტო ხიდირბეგისშვილი... ახალციხესა] —B.

* იგულისხმება გენერალი სუხოტინი.

ხოლო შეკრბენ ყაზახნი, ბორჩალოველნი და ფამბაკელნი, მოსტყვენვეს ნახჩევანი და სძლეს ხანსა მუნებურსა შუქურლას, რომელიცა ეწივა მდევრად და მოიქცნენ ალაფითა დიდითა.

შემთხვევასა ამას ექმნა ორგულ ფაშასა ახალციხისასა სულეიმანს ათაბაგსა იბრეიმ-ბეგ ჭერთვისელი, რომელმანცა მოსცა ციხე მეფესა, და ვინადგან შეაყენა მუნ მეფემან მცირენი ტალანი, კ(ვალა)დ მიუღეს ციხე თურქთა, და ტალათა მათთაგანი რომელნიმე ტყვე ჰყვეს და რომელნიმე განივლტნენ, რომლისათვის მეფემან მოუწოდა მეფესა იმერთასა სოლომონს და შემოიკრიბეს ორთავე მ|ეფეთა მჴედრობანი ქართველთა 271v და იმერთა, მივიდნენ ახალქალაქს და მოერტყნენ გარს იქმნა უძლებ მუნ მეფე იმერთა სოლომონ, რომლისა გამო უკ-მოიქცნენ, გარნა ქართველთა მოსტყვენვეს ჯავახეთი; მუნით წარმოსრულნი, შთამოვიდა მეფე ირაკლი კრცხინვალს. ოდეს ჯდა სადილად მეფე, მოვიდა ფრიადი შეყრილობანი ლეკთანი და დაესხნეს ხვითებს. აღმჴედრდა თვით მეფე ამალითა თვისითა და სძლო ფრიად და მოსწყვიდნეს მრავალნი. მუნ იყო მჴნედ ქიზიყის მოურავის პაპუას შვილი იესე ენდრონიკოვი, რომელმანცა მოკლა ოთხი ლეკი, ხოლო აბაშიძესა იოანეს მოსწყვიტა თითი ლეკმა ჴლმითა. განვრცნა რა ჭდომვაჲ შორის ქართლისა და ახალციხისა და იქმნენ ორნივე კერძონი შემჭირვებულ ფრიად, ამად ზავ ჰყვეს ურთიერთარს და წარგზავნა მეფემან ირაკლიმ კარსა ზედა სულტანისასა სტანბოლს დესპანი თვისი ორგზის მირზა გურგინაჲ ენაკოლოფაშვილი, რომელსაცა მოერთვა სულთანისაგან აჰმადისა ორგზისვე ქურქი, ჴმალი, ალკაზმული ოქროჲთა ჰუნეჲ და უმეტეს ათორმეტი ათასისა ოქროი, ხოლო ვეზირისაგან საათი ძვირფასი მოვაჰვილი;

ხოლო ახალქალაქსა ყოფასა მეფისასა მოვიდნენ ლეკნი ჭარისა კერძოით და წარსტყვენვეს სოფელი ფხოველი და წარიყვანეს ტყვედ მოურავის შვილის პაატას მეუღლე, რომელიცა შეირთო უსეინ-ხანმან | შაქისამან. 272r

კ(ვალა)დ შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურსალი ბეგმან მჴედრობაჲ დიდი ლეკთა და შთავიდა შაქი-შირვან[ი]სა კერძო, მუნით უეცრად წარმოვიდა და დაესხა ბოდბეს და იავარჰყო რაოდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყუნენ ბაღაანი, რომელთაცა სიმხნითა თვისითა დაიცვეს ბოდბე. ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ენდრონიკასშვილი მალა-

6 მუნ მეფემან მცირენი]მეფემან მუნ მცველნი B. 16 პაპუას]—A. 17 ენდრონიკოვი] — A. 17 ლეკი] — A. 18 თითნი B. 20 ფრიად] — A. 20 ამად] ამას ზედა B. 21 ირაკლიმ კარსა ზედან სულტანისასა სტანბოლს] — A. 23 აჰმიდისა A. 23 ოქროჲთა] —A. 30 ხუნძახის ბატონმან] — A. 30 ნურსალი ბეგმან]+ ესე იგი მუცალიმ B. 32 წარვიდა B. 33-34 რომელთაცა... ბოდბე] — A.

როს, სადაცა შემოკრბნენ ჯიზიყელნი, სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ათასისა ლეკნი, და მუნ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წააძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი*. და წარვიდა ნურსალ სირცხვლეული.

კ(ვალა)დ შთამოვიდა ნურსალ-ბეგ და წარვიდა შამახიას, რ(ომე)ლსაცა უსტუმრა ფათალი-ხან ყუბელმა, უღალატა და მოკლა იგი. ჟამსა ამას მოვიდა ფათალი-ხან დარბანდისა უსეინ-ხან შაქელსა ზედა. ესე ევედრა შეწევნისათჳს მეფესა, ამან მიაშველა მჴედრობანი თჳსნი და განარინა უსეინ-ხან.

იქმნა კ(ვალა)დ საკვირველი შემთხვევა ჟამსა ამას, რ(ომე)ლ ბირებითა ეშმაკისათა განივლტო დავით-გარეჯისა მონასტერით მონოზონი დაყუდებული ლეკთა შ(ინ)ა, მოუძღვა ლეკთა და ვინადგან ციხის კარნი იყვნენ დახშულ, მუნ ვერა შესრულმან აღმოიყვანნა ლეკნი წმიდისა ნიკოლაოზისა ეკალესიისა ხვრელისა დაფარულისა გზით და წარსტყუენეს წმინდა ესე მონასტერი.

ხ(ოლო) შეითქვნენ მეფე ირაკლი და შუშის ხანი იბრაიმ და წელსა 1778, ქ(რონი)კ(ონ)ს **უჲვ**, აიღეს განჯა და შეიპყრეს მამად-ხან განჯისა** სახლეულითურთ, რ(ომე)ლიცა წარიყვანა იბრეიმ-ხანმა შუშისამან ტყუ|ედ, და დაადგინნეს ორთავე განმგენ[ი] თჳსნი განჯასა-
272v შ(ინ)ა. ხ(ოლო) ჟამსა ამას ქართლით მომავალს ქისიყის მოურავის ასულს მეფის სძალს ქეთავანს, მეუღლესა პირმშოსა მეფის ძის გიორგისასა, დაუხვდნენ ლეკნი ღართის-კარს ვიდრე ხუთასადმდე, და მეფის სძალსა ქეთავანს არა ჰყვა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი მორიგედ წოდებულნი, რომელნიცა თანგამყოლად ახლდენ მას, და არცა ვინ ჰყვა თვისთანა მეცნიერი ბრძოლისა, მაშინ თვით იქმნა

---

13 დაყუდებული] + ხ(ოლო) ესე იყო იმერთაგანი B. 20 გამგენი თჳსნი]+რომელიცა მეფემან ირაკლიმ და[ა]დგინა ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან-ბეგი, ხ(ოლო) იბრეიმ ხანმან და[ა]დგინა ვეზირი თჳსი აზრათ-ყული-ბეგ მარტყოფელი, რომელიცა იპოებოდა ტყვეობითა მცირე აღზრდილი სახლსა იბრეიმ ხანისასა და ესენი მართვიდნენ განჯას ურთიერთას კითხვითა და ხ[ა]რკსაცა ჰყოფდნენ საშუ[ა]ლ B. 20-21 განჯასა შინა] — B. 21 ~ ჟამსა ამას ხოლო A. 25 თან გამყოლად A.

* ეს ორი სიტყვა A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის მიერ.

** ამ სიტყვის შემდეგ B ნუსხაში ტექსტისავე ხელით კიდეზე მიწერილია: „მიზეზისათვის ამისა, ვინათგან შავერდი-ხანის სიკვდილის შ(ემდგომა)დ მეფემან მიუბოძა ხანობა განჯისა უფროსსა ძესა მაჰმად-ასან-ხანს, ხ(ოლო) ესე მოკლულ იქმნა ამ მაჰმად-ხანის მიერ მოწამლითა. ესე იყო ძმა მამისი და ბიძაცა მისი რიზა-ყული-ხან, რომელიცა იყო მძევლად სპარსეთს ქ[ე]რიმ ხანისა თანა და ესე მოქცეული უკან, არა უტევა შესვლად განჯასა შინა, რომელსაცა მიუწერა მეფემან ირაკლიმ, რათა მისცეს მცირე სარჩო და იყოს მშვიდობით. აღმთქმელი ამისი მაჰმად-ხანმან მიუწოდა თჳს თანა და ღამესა ერთსა შეიპყრა და აღმოხადა თვალნი ბიძასა თვისსა.

თავ მჴედრობისა თჳსისა და განამხნო მორიგენი, ეწყო და იძლივნეს ლეკნი და მოსწყვიდნეს მორიგეთა მათ უმრავლესნი ლეკთანი. ხ(ოლო) სცნა რა მეფემან ირაკლი ესევ(ითა)რი სიმხნეჲ სძლისა თჳსისა, მხია-რულ-ქმნილმან შეიყვანა ტფილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნის სროლითა, და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი.

ჟამსა ამას უკუ უდგა ყულარაღასი გიორგი, ერისთავი ქსნისა; ამას ზ(ედ)ა წარგზავნა მეფემან ძეი თვისი გიორგი და ლევან, რ(ომე)-ლიცა შეიპყრეს და შთამოიყვანეს პყრობილად, თუმცაღა მეფემან მიუტევა შეცოდებაჲ, გარნა მიუღო ქსანი და მოუბოძა ძესა თვისსა გიორგის და ლიახვი იულონს.

ვინაჲთგან ლეკნი მარად აოხრებდენ ქართლსა, იღონისძია მე-ფემან და განაწესა ყ(ოველ)თა სახლთაგან კაცის თავს ერთი, რაო-დენიცა იყუნენ სახლსა მას შ(ინ)ა, რათა მსახურონ თვითოსა თვესა მამულსა, მორიგედ წოდებული, და ეგრეთვე განაწყო თოფხანა, მებრ რუსეთისა კანონითა და განასწავლა თოფჩები, რ(ომე)ლიცა განაწყო ესენი ქიზიყის მოურავის შვილმან პაატა, ესე განსწავლილ იყო მოს-კოვს, და თვითცა მეფეი ძეებითურთ თჳსით დაეწერა მორიგედ და იხდიდა თვითოსა თვესა; უკეთუ გლეხთა დაიყოვნიან, მაშინ იგინი წკეპლასა შ(ინ)ა განივლიდიან რაოდენსა დღესაც დაიყოვნიან, ეგო-დენ გზის, და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან, ეგოდენ დღე პატიმარ იქმნებოდიან. ხ(ოლო) ესე ექმნა ქართლსა სარგებელ ფ(რია)დ ამით, რამეთუ | 273r თვით მეფემან რაოდენმე გზის აოტნა ლეკ-ნი, ეგრეთვე მეფის ძემ გიორგიმ რაოდენმე ღართის-კარსა შინა, ეგ-რეთვე იორსა ზ(ედ)ა, და ლევანმაცა მისაქციელსა და ქიზიყსა შეიმო-სა ფრიადი ძლევა ლეკთა ზ(ედ)ა და მსგავსადვე თვით მორიგენიცა აოტებდიან მარადის გამომსვლელთა ლეკთა; ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რომელ ვერღარასადა იკადრეს გამოსვლაჲ და ესრეთ დამ-შვიდდა ქართლი, რომელ ღართის-კარსა შინა დიაცნი თვინიერ მამა-კაცისა ვიდოდიან.

წელსა **ჩღოთ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **უჲზ**, არღარა ინება ხანმან ერევნი-სამან უსეინ-ყული ხარკისა მოცემად ქართველთა, რომლისა გამო წარვიდა მეფე მას ზ(ედ)ა. იქმნა მუნ ბრძოლა, სადაცა მუნ მჴნედ აღ-მოჩნდა მეფის ძე გიორგი. მუნ სძლო მეფემან ერევნელთა მჴედრო-ბასა, მოხარკე ჰყო და მსწრაფლ უკ-მოიქცა ამად, ვინადგან იყო სამ-

3-4 მხიარულ ქმნილმან] მხიარულ იქმნა ფრიად და B. 4 დიდისა დიდებითა B. 6 უკუდგა B. 9 ქსანი] + მიზეზითა ამით, რამეთუ ჰყვა მას ლეკთა მჴედრობაჲ და არ-ბევდა ქართლსა და აოხრებდა სოფლებთა, ვითარცა ავაზაკი B. 13 თვითოსა] თვითცა B. 24 მისაქცეველსა B. 28 ქართლი] ქვეყანაჲ B. 30 წელსა] ხოლო წელსა B. 31 უსე-ინ-ალი-ხან B. 34 უკუმოიქცა]მოიქცა B.

დურავი მეფესა შორის ირაკლისა და მეფისა შორის იმერთასა სოლომონისა, და ამან სოლომონ მოიყვანა ძეი ბაქარისა და ძის ძეჲ მეფისა ვახტანგისა ალექსანდრე შირაზით. ურჩ ექმნ უკუე ძეი თვისი მეფესა იმერთასა სოლომონს, რომელსაცა ეწოდა ალექსანდრე და რომლისა კიდე არა უვიდოდა სხვა ძეი, და მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე. ამან შეიწყნარა, პატივსცა და დააგო კ(ვალა)დ მამასა, რომ-
273v ლისა გამო ზავ ჰყვეს და მეფემანცა სოლომონ განუ|ტევა ძეჲ ბაქარისა ალექსანდრე წელსა **ჩლპა**, ქ(ორონი)კ (ონ)ს **უჲთ**.

ჟამსა ამას მოვიდა თავრიზით მცბიერი ვინმე. ამან იჩემა გაკეთება ქიმიისა, რომლისა გამო უწოდეს შაზადად. და ოდეს ვერარაი აღმოაჩინა მოქმედება თვისი და სცნეს სიცბილი მისი, ამად შეჭამა თრიაქი და წარიწყმიდა თავი თვისი.

შეედვა მწუხარებაჲ სახლსა მეფისასა სიკვდილისა გამო მეფის ძის ლევანისა.

წელსა **ჩლპდ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **უობ** გარდაიცვალა მეფე იმერთა სოლომონ და ჰყვეს მეფედ დავით ძეი გიორგისა, ბიძაწული მეფისა სოლომონისა.

და მოკვდა ხანი ერევნისა უსეინ-ყული და ჰყვეს ხანად ძეი მისი ყულამალი. ვინადგან ესე იყო გონება-მსუბუქ, მოკლეს ესე ერევნელთა, სადაცა იძულებულმან მეფემან წარგზავნა მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილი და ჰყვეს უმრწემესი ძეი უსეინ-ალი-ხანისა მაჰმად-ხან ხანად, და განამტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევანს.

წელსა **ჩლპგ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოა, შევიდა მეფე ირაკლი საფარვ[ე]ლსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაცა წარმოუგზავნა იმპერატრიცა ეკატირინამ ნიშანნი სამეფონი, გრამმატა და ორი ბატალიონი მჴედრობაჲ, რომელნიც შეიკრნენ უცვალებელითა პირობითა და წარგზავნა კარსა რუსეთისასა ორნი ძენი თვისნი ანტონი და მირიან.

ამას ზ(ედ)ა განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი, აღუ-
274r წოდა ლეკთა და იყო ოჴრება ქართლისა. |ჟამსა ამას მოვიდა ღიარანალ-პორუჩიკი პოტემკინი. ამან დაუტევა მეფესა თანა ღიარანალმაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსეთადვე. შეითქვნენ უკუე ესენი ჭარსა ზ(ედ)ა და წარვიდნენ საქართველოსა და რუსთა მჴედ[რ]ებითა. მიიწივნენ რა ურდოს, მუნ შეემთხვათ მცირედნი მჴედრობანი ლეკთანი, სადაცა უქმნეს მათ მჴედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნებაჲ და მოკლეს პრინცი ლესსენ რეინჭელსისა პოდპოლკოვნიკი და მუნით ვინადგან ვერღარა განვიდნენ მდინარესა

6 მამასავე თჳსსა B .11 თვისი] — A. 14 ლევანისა] + გამო A. 15 ხოლო წელსა B. ჩლპბ, უო AB. 18-19 ჰყვეს... ყულამალი] ჰყო მეფემან ირაკლი ყულამანი ხანად B. 29 ოკრობა A. 29-30 იანარალ A. 30 პოტომკინი B. 30 იარანალ A. 35 რეინფელსიგისა B. 36 პოდპოლკოვნიკი]+ცოლის ძმაი პავლე იმპერატორისა, პირვ[ე]ლისა ცოლისა მისისა B.

ალაზნისასა სიდიდისა გამო, უკმოიქცნენ და წარვიდა სამაილოვიცა რუსეთად.

განვრცნა უკუე ტყვენვაჲ ახალციხით ლეკთაგან, სადაცა ქ(ვალა)დ შეკრბენ უმეტეს ორი ათასისა მჴედრობისა. მოვიდნენ და აღილეს საქაშეთი და ტყუე ჰყვეს სახლეული დიასამიძისა. სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთა მყოფთა მორიგეთა, მოეგებნენ ჴალას, იქმნა მუნ ბრძოლა, მჴნედ ბრძვეს ქართველთა, იძლივნენ ლეკნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ მტკვართა შიგან შესრულნი მოიშთვნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმან ერთმან ტყვეთაგანმან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მოიყვანა მჴედრობასა შინა ქართველთასა.

ქ(ვალა)დ შეკრბენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ ფხვენისს და ვინადგან მუნ ვერარაჲ ჰყვეს, უკუნ იქცნენ, სადაცა მოხისს შეემთხვათ რუ|სნი და ქართველნი და ძლევა შეიმოსეს ფრიად მათ ზედა 274v და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი.

წელსა **ჩღპე**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **უოგ** გამოვიდა ომარ-ხან ავარელი, ძეი ნურსალ-ბეგისა, გამოვლო იორი და ყარაია, განვიდა მტკვარს, მივიდა და აღილო ახტალა და მივიდა ახალციხეს. მუნით შთამოვიდა, აღილო ვახანი და ტყუე ჰყო სახლეულნი აბაშიძისანი.

ჟამსა ამას უკუდგა განჯაცა და გამოყარნეს მოურნენი მეფისა და იბრეიმ-ხანისანი, განივლტო შუშით ძეჲ შავერდი ხანისა რაიმ-ხან, რომელიცა მაშინ ჰყუა იბრეიმ-ხანს პყრობილად, მივიდა და იქმნა ხანად განჯასა შ(ინ)ა, ხოლო მოსრულმან იბრეიმ-ხან განჯასა ზ(ედ)ა სთხოვა შემწეი მეფესა, აღილეს ქ(ვალა)დ განჯა და ჰყვეს ძეი შავერდი ხანისა ჯავად-ხან ხანად, რომელიცა მაშინ ჰყუა მას პყრობილად; ხოლო ომარ-ხანმანცა განვლო გოგჩა, მივიდა მოაოჴრა შამქორი და წარვიდა.

წელსა **ჩღპვ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **უოდ** მაშინ ნახჩევნელთა ჰყუეს შფოთი და გამოაძეს ნახჩევანთა ხანი თვისი ქალბალი, იგი მივიდა და ევედრა ხანსა ერევნისასა მაჰმადს, და მამად-ხან ევედრა მეფესა, რათა შემწე ექმნას. მაშინ მეფემან წარავლინა მუხრანის ბატონი იოანე მჴედრებითა და ზარბაზნებითა, შეერთდენ ესენი ერევნელთა თანა, მივიდნენ ნახჩევანს და იკვეთნენ, იძლივნენ ნა|ხჩევნელნი და ევედრნენ მხედრობასა ქართუელთასა უკეთუ უკუნ-იქცევიან ნახჩევნით, 275r ქ(ვალა)დ ჰყოფენ ნახჩევნელნი ხანად თვისად თაზა ქალბალის, და პი-

---

4-5 საქაშეთი] + დღესა დიდ ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა B. 16 ხოლო წელსა B. 17 ბეგისა] + ესე იგი ომარ ხან ხუნძახის ბატონი B. 24 შემწეი] შეწევნა B. 25 ხანად] — B. 30 მაჰმადას A. 31 ბატონი] + სიძე თვისი B. 35 თვისად თაზა] თვისთა ზედა B.

რობითა ამით მოიქცნენ ერევანსა და ერევნით ქართლადვე ძლევა-შემოსილნი.

აიყარა სრულიად ყაზახი და წარვიდა შუშას და შამშადილი გან-ჯას. შ(ემდგომა)დ ერთისა წლისა წარვიდა მეფე ირაკლი მხედრობითა რუსთა და ქართუელთათა, რათა აჰყაროს ელნი თჳსნი და სომხისა მელიქნიცა, რომელთაცა აქვნდათ პირობა მეფისა თანა. მიიწია რა გან-ჯას, წარგზავნნა მჴედრებითა ძეი თჳსი იულონ. მიიწივნენ რა ზეიბას, შეემთხვათ მათ მხედრობანი ყარაბაღელთანი. იძლივნენ ყარაბაღელნი და მოსწყჳდნეს უმრავლესნი ყარაბაღელნი ქართველთა. შემთხუე-ვასა ამას მოვიდა ჩაფარი განჯას რუსეთით, სადაცა იხმეს მხედრო-ბანი რუსთანი, არამედ უკუნ იქცა რა რუსი, არღარა რაცხა მეფემან წარსვლა ყარაბაღსა ზედა და უკმოიქცა მეფეცა განჯით, და დაშთა ელნი აუყრელნი და წარვიდა რუსი წელსა ჩღპზ, 1787 ქ(ორონი)კ-(ონ)ს უოე.

წელსავე ამას მოკუდა კათალიკოზი ანტონი, ძეი იასე მეფისა ხ(ოლო) მოვიდა რუსეთით ძე ირაკლი მეფისა ანტონი, რ(ომე)ლიცა ჰყვეს მუნ როსიას ეპისკოპოსად, ესე უკუე გამოირჩიეს და ჰყვეს კათალიკოზად.

წელსა 1789 ქ(ორონი)კ(ონ)ს უოზ წარგზავნნა მხედრობანი თვის-ნი განჯასა ზ(ედ)ა მეფემან. მივიდენ შამქორს, მოარბივეს ჩინგილი და

275v [ა]ჰყარეს | შამშადილი და მოიყვანეს. უკანასკნელ მეფეცა შთავიდა შამქორს. მუნ მოვიდა ფათალი — ხანი დარუბანდისა და მაჰმად-ხან შაქისა, დაასკუნეს წარსლუაჲ სამთავე ყარაბაღსა ზედა ამად, ვინად-გან დაივიწყა იბრეიმ-ხანმან კეთილობაჲ მეფისა ირაკლისა, რაოდენ გზის განარინა იგი ჴელისაგან ფათალი-ხანისა და ანუ ვითარ შემწე ექმნა, ოდეს დაიპყრა მან ყარადაღი და გილანი. ამათ შეიერთეს ჯა-ვათ-ხანცა, რ(ომე)ლსაცა ეპყრა კერძოი იბრეიმ-ხანისა, გარნა ეგანრე-ზომა განზრახვასა მათსა უძლებ-ყოფაჲ ფათალი-ხანისა და უკუნ იქ-ცნენ თვის-თვისად.

გარნა ძეი არჩილისა, ძმისწული მეფისა სოლომონისა დავით, იპოებოდა მაშინ გამოდევნილი მეფისა დავითისაგან, და იზრდებოდა სახლსა შ(ინ)ა მეფისასა, ვინადგან იყო ასულის წული მისი, იქმნა უკვე სამდურავი ორთავე მეფეთა შ(ორი)ს და შ(ორი)ს მეფისა და-ვითისა და დადიანისა გრიგოლისა იქმნა შური, და განვიდა მეფე დავით და მოსწვა ოდიში. შემთხვევასა ამას წარატანა მეფემან ირაკ-ლი ძის ძესა თჳსსა, ძესა გიორგისასა დავითს ძეი არჩილისა დავით,

---

5 სომხისა] ხამსისა AB. 14 ქორონიკონს უოზ B. 15 წელსავე ამას] ხოლო წელ-სა 1788, ქორონიკონს უოზ B. 15 ძე იასე მეფისა] — A. 20 მეფემან] — A. 20 ჩინგალი B. 32 მის A.

რათა წარგზავნოს იგი ოდიშს, და მან წარგზავნა. იხილეს რა ოდიშარ-
თა ძეი არჩილისა, შეკრბენ მასთანა. სცნა რა ესე მეფემან დავით,
ამანცა შეიკრიბნა მხედრობანი იმერთანი და მივიდა ხუნწს. მაშინ ძის
ძემანცა დავით ჰყო მოძრაობაჲ სამძღვართა ზ(ედ)ა, ზემო [illegible]
ჰგონეს ვ(ითარმე)დ ქართუელთა რეცა სწადთ გარდასლუაჲ მუნ. ჟამ-
სა ამას შ(ინ)ა სახლ|იცა წერეთლისა იყო ორგულ მეფისა დავითისა. 276r
იქვეთნენ ხუნწს, იძლივა მეფე დავით და განივლტო ახალციხეს.
შ(ემდგომა)დ ძეი არჩილისა ჰყვეს იმერთა მეფედ და უწოდეს სახე-
ლად სოლომონ მეორეი. და მეფე დავით მოვიდა მეფისა ირაკლისა
წინაშე და ამან დააგო მეფისა იმერეთისა წინაშე და ჰყვეს ზავ.

კ(ვალა)დ მოვიდნენ ახალციხით შეყრილობანი ლეკთანი და დაეც-ნენ ძევერას, გარნა მეფის ძის ძემ დავითმან სძლო მათ და განაბნივ-ნა.

იყო უკუე ხდომვა ლეკთაგან ახალციხით და რყვნიდიან ქართლსა და სომხითსა მით, რამეთუ აღვიდნენ ძენი ერისთვისანი ახალციხეს და ზაქარია ციციშვილი, სალთხუცესი დედოფლისა, მოვიდნენ და დაეცნენ ჭელთუბანს და წარტყვენვეს იგი.

კ(ვალა)დ მოუხდნენ კიზიყს ჭარელნი, სძლეს კიზიყის მოურავს ზაქარიას და მოსწყვიტნეს უმეტეს სამასისა კიზიყელნი.

მაშინ შეყრილობანი ლეკთანი ფრიადნი მოვიდნენ და დაეცნენ ყა-რაღაჯს, სადაცა გორს მყოფნი მეფის ძენი იულონ ირაკლისა და ძის ძეი მეფისა იოანე გიორგისა განვიდნენ, იქმნა უკუე ბრძოლა ზედავე-ლას. მუნ მჴნედ იყო მეფის ძის ძე იოანე, იძლივნენ ლეკნი და წარ-ვიდნენ სირცხვილეულნი, რომელნიცა იყუნენ მოყუანილ ერისთვის ძის მიხაილისაგან.

კ(ვალა)დ მოიყვანა არღუთაშვილმან მიქელამ ლეკნი, მოუძლუა
და წარიღეს კრწანისი, თუმცაღა განვიდ|ნენ მდევარნი ქალაქით, 276v
ა(რამე)დ ვერღარა ეწივნენ. კ(ვალა)დ მოუძლუა არღუთაშვილი მიქელა
და მოსტყუენვეს ყალაჩა, სადაცა წარიყუანეს უმეტეს ორასისა ტყუ-
ენი სომეხთანი.

კ(ვალა)დ შეკრბა ლეკთა და თათართა მჴედრობა, მოვიდა და აღი-ლო რუსთავი და მეფე იძულებული წარვიდა მათ ზ(ედ)ა, სადაცა წარ-გზავნა ძის ძეი თვისი დავით, რათა უყოს ზ(ედ)ა დასხმა ჯავახეთს, ხოლო მან წარგზავნა გატეხილს ჴიდ ზევით შეყრილობა თათართა და მოარბივეს ჯავახეთი და მოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა, და ლეკთა მათ განვლეს ტყით და წარვიდნენ მშვიდობით ახალციხეს,

---

1 წარგზავნა] + იგი ოდიშს B. 19 უმეტეს] — B. 20-21 ყარაღაჯს]+და მოკლეს გივი ამილახვრიშვილი (ეს ტექსტი A-ში მიწერილია კიდეზე). 21 ირაკლისა] ირაკლის ძე B. 22 ზედაველასა ზედა B. 27 გრწანისი B. 33 ჯავახეთს] — B. 34 გატეხილს] — A.

მით რამეთუ მეფემან არღარა ამჯობინა მისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზ(ედ)ა.

წელსავე ამას 1789 ბრძანებითა მეფისათა მიუჴდა მეფის ძის ძე დავით ყარსს ათასითა კაცითა და მოსტყვენა ინჯადარო, ფილდერევანი და ჯომუშლი და აიალაფეს უმეტეს ათასისა ტყუვისა, მაშინ. მოეწი-
ვათ უკანა მჴედრობაჲ დიდი თურქთა მძლვანელობითა ალიბეგისა და მამად-ბეგისა ძეთა ხათუნისათა. მუნ თვით მეფის ძის ძე დავით იყო ფრიად მჴნეთ, რომელმანცა ჴელითა თვისითა მოკლა თიქნისელი სანი თოფითა, რჩეული მჴედარი თურქთა შორის. უკანასკნელ მოვიდა მას ზედა იშიყ-ბეგ, გამოჩენილი მჴედარი ყოველსა ყარსსა და ქურთსა ზედან, სადაცა მეფის ძესა სცა მან შვიდი ჴრმალი, გარნა დაიცუა იგი ჯაჭუმან, ვინადგან აქუნდა დაფარვით ტანსა ჯაჭვი, უკანასკნელ
277r მოკუდა ესეცა ჴელითა მეფის | ძისათა. ესე იყო საკვირველ, რომელ ყრმაჲ წლისა ოცდა სამისა და გამოუცდელი ბრძოლისა ესრეთ იყო დღესა მას მჴნედ, რომელ განაკვირვნა ვ(ითარც)ა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი. გარნა ბრძოლასა მას დაეფლა ლიასა ცხენი და გარდმოვარდა, გაექცა ცხენი, რომელიცა შეიპყრა და მოართვა გულმაჰმოდა სარვანმან, ძემან შარიფისამან, და აღჯდა კ(ვალა)დ. მუნ მოსწყდნენ ბრძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურისშვილები, რომელნიცა იყუნენ მჴნენი, მამაცნი.

კ(ვალა)დ მოუძღუა არღუთაშვილი მიქელა ახალციხით ლეკთა, მოსტყვენვა გიაურარხი, სადაცა ეკუეთა საბარათიანოსა მჴედრებითა სარდალი დავით ორბელიანი დურნუკს. მუნ იძლივა სარდალი და მოკუდა უმეტეს ასისა და შეპყრობილ იქმნენ უმეტეს ასისავე.

გარნა შემოვიდნენ საგურამოსა შინა ლეკნი კ(ვალა)დ უმეტეს ათასისა კაცისა, რომელნიცა გაიყუნენ ორად: ნახევარმან წარიღო პირუტყვი მახლობელ ქალაქით, სადაცა ქიზიყს მყოფმან მეფის ძემან იულონ შეუკრა იორი, განაბნინა ლეკნი იგი და მიუღო მათ ნატყვენავი მათი. და ნახევარმან აღიღო ფრეზეთი და წარვიდა საგურამოით დალისტნად. მაშინ მეფის ძის ძემან დავითმან, მყოფმან მატანსა შინა, მოიკრიბნა ახმეტელნი ვიდრე ასს კაცამდე, შეუკრნა გზანი ჭინჭარისა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყუენავი და ტყვენი, ესრეთ
277v შიშუნეულ იქმნენ ლეკნი, რომელ ოდეს იწყეს რა ლტოლვაჲ, ერ|თი-

3 1789] — A. 5 იალაფეს B. 8 სანი]ხანი B. 9 რჩეული მჴედარი თურქთა შორის] — A. 12 ჯაჭუჳ A. 22 გაურარხი AB. 22-23 საბარათიანოს... ორბელიანი]საბარათიანოს სარდალი დავით მჴხედრობითა თვისითა დურნუკს B. 23-24 მოკუდა] + მუნ B. 24 და შეპყრობილ... ასისავე] ცოცხალი და მკუდარი A. 25 ლეკნი] — A. 25 კვალად] — B. 27 პირუტყვი... ქალაქით]ნახირი პირუტყვთა დედოფლის დარეჯანისა ქალაქს, მახლობელ ავლაბრისა, ხოჯა მელიქის საყდრის გვერდიდამ B. 30 ძის A. 32 მათ] — A.

მეორესა ჰყრიდიან ფლატესა ზ(ედ)ა ილტოსასა, ვინ წინა უსწრის ურთიერთარს, რომელნიცა იყუნენ უმეტეს ხუთასისა. სისხლმან მათ ლეკთა დაკოცილთამან ს(რულია)დ შეღება წყალი იგი ილტოსი წითლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა კ(ვალა)დ სამღურავი მეფისა სოლომონისა და დავითისა. მაშინ დავითმან შემოიკრიბნა მცირედნი ლეკნი ახალციხით წელსა **ჩღჟ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს **ჳოჱ**, სძლო მეფესა სოლომონს და დაიპყრა კ(ვალა)დ იმერეთი. შემოკრბენ ამასთანა ოდიშარნი და აფხაზნი, მით რამეთუ მანუჩარს დადიანის ძესა აქვნდა ამასთანა შეკრულებაჲ და ორგულ იყო ვ(ითარც)ა ძმისა თვისისა დადიანის გრიგოლისა, ეგრეთვე მეფისა სოლომონისა. მხილველმან ამისმან მეფემან ირაკლიმ მიაშველა ძის ძეი თვისი იოანე მეფესა სოლომონს. მაშინ მეფე სოლომონ დამაგრებულ იყო სახლსა წერეთლისასა, ვინადგან, წერეთელი პაპუნა და ზურაბ იყო ორგულ მეფისა დავითისა. იქმნა ლოსიათ-ხევს ბრძოლა, იძლივა მუნ მეფის ძის ძისა იოანესაგან მეფე დავით, რომელსაცა ჰყუანდა უმეტეს ათი ათასისა იმერნი, აფხაზნი და ოდიშარნი, და ქართველნი არა იყუნენ უმეტეს ხუთასისა. მით რამეთუ ზარბაზანმან დასცა მათ ზარი.

ამავე წელსა მეფის ძემან დავით შემოიკრიბნა ჯიზიყელნი, მიუჴდა ბაიამათლოს და ფადარს და მოსტყუე|ნვა. დღესა მას სამჯერ სძლო გამოსრულთა ლეკთა მდევართა და მოვიდა გამარჯვებული და ალაფითა სავსე. 278г

ხ(ოლო) ვინადგან აქვნდა შური ხანსა განჯისასა ჯავადს ალი-სულთანისა შამშადილისა ზ(ედ)ა, რომელიცა არა მორჩილებდა და ძმასა მისსა მაჰმად-ხანს უკუუდგა პირველ ხანობასა მისსა, აჰყარა შამშადილი და მოიყვანა შულავერს, ხოლო მუნით მისრულსა შამშადილსავე, დაესხა მაჰმად-ხან მჴედრებითა, გარნა სძლო მან მაჰმად-ხანს და გარდა ამისსა მრავალგზის იძლივა ვ(ითარც)ა ხანი, ეგრეთვე განჯელნი ალი-სულთანისაგან.

თუმცაღა მრავალგზის უკუ უბრუნა და მისცა მეფემან განჯელთა შამშადილო, გარნა არ ემონენ. ამად დაიცა დრო და მოუჴდა ჯავად-ხან განჯურითა მელიქებისა მჴედრებითა და მოსტყვენა შამშადილი, რომელსაცა ჰყვა უმეტეს სამი ათასისა მჴედრობანი. მაშინ გარდეშველნენ ყაზახნი, სადაცა შეკრბნენ ყაზახნი და შამშადინელნი უმეტეს არა სამასისა, სძლეს ჯავად-ხანს და შეიპყრეს უმეტეს რვაასისა განჯელნი და დაუშთა ჯავად-ხანს თვისი ყოველივე ბარგი,

---

8 ამასთანა] კვალად B. 14-15 ლოსიანთ A. 21-22 და მოვიდა... სავსე] — A. 23-24 ალი სულთნისა შამშადილსა B. 32 განჯურითა] + და A.

ჯორი და აქლემი და განივლტო სირცხვილეული. ქ(ვალა)დ მიუმდა ბაიამათლოველთავე მეფის ძე ალექსანდრე და მოსტყვენა იგინი.

ხოლო გარდაიცვალა რა ქარიმ-ხან სპარსეთს და ზაქი-ხანსა ძმანი მისი, მოკლეს სპარსთა ბარბაროზებისა და ტირანობისათვის; რომლისსა შ(ემდგომა)დ დაიპყრა სპარსეთი ალი-მურად-ხან ზანდმან. და ოდეს გარდაიცვალა ესე, მაშინ გამოჩნდა აღა-მამად-ხანად წოდებული ძეი მაჰმად-ასან-ხანისა, გვარით ყაჯარი, | 278v რომელიცა ჰყო საჭურისად ადილშამ, ძმისწულმან ნადირისამან. ამან სძლო ჯაფარ-ხანს ზანდსა და დაიპყრა არაყი და მოვიდა ადრიბეჟანს, მუშკანბარსა ზედა, მუნით აბირა მეფე ირაკლის მეგობრობასა თვისსა ზედა და უკუნ იქცა შირაზად ამად, ვინადგან შირაზსა შინა იპოებოდა მაშინ ლუთვალი-ხან, ძეი ჯაფარ-ხანისა; ესე გამოვიდა პირისპირ ამისა. იქმნა ამბოხი შორის მჴედრობასა ამისსა, რომლისა გამო განიბნივნენ მჴედრობანი ლუთვალი-ხანისანი და მივიდა ქირმანს, განვლო ხოჯამან, აღიღო შირაზი. წარვიდა და მოადგა ქირმანს და დაიპყრა იგი. განივლტო მუნით ლუთვალი-ხან, რომელმანცა განარღვივა ერთი კერძოი მჴედრებისა ხოჯასი, ვინაიდგან იყო ესე ლუთვალი-ხან ჟამსა ამას ესრეთი მჴედარი და მჴნე, რომელ მსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არა იპოვებოდა. ხოლო მისრული ბამს, შეიპყრეს ესე ბამელთა და მოიყვანეს ხოჯასა წინაშე, რომელსაცა აღმოხადნა თვალნი.

მოიცალა რა ხოჯამ საქმისაგან სპარსეთისა, მოვიდა და მოადგა შუშის, მით რამეთუ არა ერჩდა მას ხანი შუშისა იბრეიმ, გარნა ვერა აღიღო ციხე ესე და მოვიდნენ ელნიცა ქართლისანი განლტოლვილნი ძველნი და ახალნი და სხვაცა მრავალნი ყარაბაღისა მცხოვრებთაგანი შიშისაგან ხოჯასა. მაშინ ძენი მეფისანი იულონ და ალექსანდრე მიუხდნენ განჯას და მოსტყვენეს, რომლისა გამო განძვინებული ხოჯა წარმოემართა | 279r ტფილისსა ზ(ედ)ა. ჟამსა მას ძეი არჩილისა მეფე იმერთა სოლომონ იმყოფებოდა ტფილისს შემწედ პაპისა თვისისა.

პირველსა დღესა იკვეთნენ ველსა კრწანისისასა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, სადაცა მეწინავეთა შ(ორი)ს იმყოფებოდა მეფისა ძის ძე დავით, წერეთელი ზურაბ, მუხრანის ბატონი იოანე, მოურავი ქიზიყისა ზაქარია და ამილახვარი ოთარ. დღესა მას იყუნენ მჴნედ ქართველნი, რომელთა ძლით იძლივნენ სპარსნი, ხოლო დღესა მეორესა, ვინადგან იმერთა იწყეს ტყვენვა აყრილთა მათ მცხოვ-

---

3 სპარსეთს] — A. 8 ალიშა B. 10 ირაკლის] — A. 11 იპყრობდა A. 14 ლითვალი-ხანისანი A. ლთვალი ხანისანი B. 14 ქირმანს B. 16 ლითვალი-ხან A. 17 ლითვალი—ხან A. 21 ~ საქმისაგან სპარსეთისა ხოჯამან B. 23 განვლტოლვილნი A. 24 ძველნი და... მცხოვრებთაგანი] — B. 25 ძენი მეფისანი] მეფის ძე A. 29 გრწანისისასა B. 32 მას]+მუნ B. 33 მჴნედ] — B.

რებთა ტფილისისათა, არღარა უვიდოდათ ორთავე მეფეთა მჴედრობაჲ უმეტეს ათას ხუთასისა კაცისა.

იქმნა ბრძოლა ველსა ზ(ედ)ა კრწანისისასა, იძლივნენ ქართველნი და იმერნი, განივლტნენ მეფენი და აღიღეს ტფილისი წელსა ჩღჟე, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპგ, სეკდენბრის ია. და მიუღეს ყოველივე თოფხანაჲ მეფესა. დღესა ამას იყო მჴნედ მეფის ძის ძე იოანე, ესრეთ, უკეთუ იგი არა იპოებოდა მუნ, შეიპყრესმცა მეფე ირაკლი. ხოლო მეფის ძემ დავითმა შთაყარა ჭევსა შინა საგუბრისათა ზარბაზანნი იგი, რომელიცა აქუნდა მას თაბორისა კერძო, რათა არა დაუშთეს სპარსთა, და ესრეთ განარინა; აღიღეს ტფილისი და მოწვეს, და თვით მეფე განივლტო მთიულეთს. დაჰყო უკუე ხოჯამან რვა დღეი სოღალუხს. მუნით აღიყარა და შთავიდა მუღანსა და მუნით წარვიდა ხორასანს | ზედა. 279v

მაშინ მოვიდა შემწედ ორი ბატალიონი რუსეთისა, მჴედრობათაგანი. იხილეს რა ლეკთა უძლურებაჲ ქართველთა, შეკრბენ უმეტეს ათასხუთასისა, მივიდნენ ნორიოს, გარნა იძლივნენ ფ(რია)დ მოურავისაგან მათისა ზა[ა]ლ ენდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმხნითა აღმოჩენილ ყ(ოველს)ა საქართუელოსა შინა*, მუნით განვლეს დიღომი, ავლეს დიდგორი და მივიდნენ კოთელიას, მუნით წარმოსულნი მივიდნენ და დაეცნენ იედიბოლუქსა ზედან დემურჩიასანს. მაშინ მეფის ძის ძე დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. სცნა რა მან, მოიკრიბნა ბორჩალოველნი ვიდრე ასს კაცადმდე, ეწია იედიბოლუქს, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყუენავი. ესრეთ შიშუნეულ იქმნენ ლეკნი, რომელ მოიშთვნენ მტკუარსა შინა უმეტეს სამასისა. და დღესა მეორესა შემოვიდა ტფილისად გამარჯვებული, რომელმანცა შემოიტანა ჯორთა ზედან აღკიდებული საპალნითა თავნი ლეკთანი. ამას ზედა განმხდნენ ტფილისელნი და დაიწყეს კ(ვალა)დ აოჴრებულისა ქალაქისა შენებად. და იბრეიმ-ხან შუშისა მოვიდა განჯასა ზ(ედ)ა. ვინადგან ხანი განჯისა იყო მიზეზ აოჴრებისა ყარაბაღისა და ტფილისისა, სთხოვა მეფესა ირაკლის შემწეჲ, რომელმანცა წარუვლინა ძე თვისი ალექსანდრე და ძის ძეი დავით. მივიდნენ ესენი განჯასა ზედა, აღიღეს ქალაქი და მოსწვეს და რაოდენ გზის გამოვიდოდიან ციხით განჯელნი, ეგო|დენ იძლეოდიან, სადაცა 280r ფიცხელად ბრძოდიან ქართველნი, რომელ სიმჴნესა მათსა განკვირ-

5 სეკდენბრის ია] — B. 7 იპოვა A. 7 მეფე ირაკლი]მეფეი A. 14 ~ ორი ბატალიონი შემწედ B. 16 ნორიას A. 28 მოვიდა შუშისა B. 30 ირაკლის] — A. 30 შემწეჲ]შეწევნაჲ B. 32-33 რაოდენ გზის] რაოდენ A.

* „მოურავისაგან მათისა... საქართუელოსა შინა“ ტექსტის ეს ნაწილი A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის ხელით.

ვებულ იყვნენ ყარაბაღელნი და ლეკნი. უკანასკნელ შთავიდა თვით მეფე ირაკლიცა გამოართვა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი დრო-სა ხოჯაისასა ტყვედ ქმნილნი, უმეტეს ათასისა, ზავ-ჰყო განჯელთა თანა და უკუნ იქცა.

ჟამსა ამას მოვიდა მჴედრობაჲ რუსთა მძლავ[illegible]-რიანე გრაფ ზუბოვისათა. ამათ დაიპყრეს დარბანდი, შამახია, ბაქო და სალიანი წელსა ჩღჟვ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპდ. მაშინ აღა-მამად-ხან ხოჯა იპყრობდა ხორასანს, დაპყრობისათვის მისისა რომელმანცა ალი-ღო მაშათი, ტყვე ჰყო ძის ძეჲ ნადირისა შარუხ და მიუღო უმრავ-ლესნი ნაქონები. უკანასკნელ მოიკლა ესეცა.

ხოლო ზუბოვმანცა წარმოგზავნა მჴედრებითა ღენარალ-მაიორი კორსიკოვი. ამან დაიპყრა განჯა, მუნ დაუტევა მცირედი მჴედრობა და მოვიდა თვით ტფილისს მჴედრობითა.

წელსა ამას გარდაიცვალა ეკატირინა იმპერატრიცა და იქმნა ძე მისი ჴელმწიფედ პავლე. ამან უკუნ აქცივნა ყოველნი მჴედრობანი რუსთანი რუსეთადვე. ოდეს მოიცალა აღა-მამად-ხან საქმისაგან ხო-რასანისა, წარმოემართა და მოვიდა შუშის. სცნა რა იბრეიმ-ხანმან მომავალობა მისი ,განივლტო სახლეულითურთ თვისით ბელაქანად და
280v ალა-მამად-ხანმან დაიპყრა ციხე. მუნ მოიკლა ესე მონათა თვისთა|გან წელსა ჩღჟზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპე და უკუნ იქცნენ სპარსნი თვის-თვისად.

წელსა ამას იქმნა მეფე ირაკლი უძლებ წყლისა მანკიერებითა. ჟამსა ამას შთამოვიდა ომარ-ხან, მოწვა ველისციხე და მუკუზანი და უკუნ იქცა და შთავიდა შაქად:

და მეფეცა ირაკლი გარდაიცვალა წელსა ჩღჟთ, იანვრისა ია, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპე და იქმნა მეფედ ძე მისი გიორგი.

ჟამსა ამას მოვიდნენ კ(ვალა)დ შეყრილობანი ლეკთანი და დაე-ცნენ კრცხინვალს და ვერა რაიმე ჰყვეს, გარნა უკუნქცეულთა შე-ემთხვა მეფის გიორგის ძე იოანე დირბს და იძლივნენ მათგან. მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა წინამძღვანი ლეკთა ჩინებული ალი ფოლა-დად წოდებული.

წარმოიშვა კ(ვალა)დ სამდურავი შორის ქართლისა და ყარსისა. მაშინ წარგზავნა მეფემან გიორგიმ ძენი თვისნი დავით და იოანე, მიუხდნენ ყარსს, მოსტყვევნეს გარემონი ყიზილჩახჩახისანი, გარნა გამოვიდა მჴედრობითა დიდითა ალი-ბეგ და იძლივა ქართველთაგან ოსმალნი* ესრეთ, რომელ უმეტეს ორისა ალაჯისა სდევნეს ქართველ-

2 ირაკლიცა — A. 6 ბაქი AB. 8 იპყრობდა]იპოებოდა B. 9 მაშათი] + და B. 16 რუსთანი]რუსეთისანი B. 20 სპარსნიცე A. 22 ირაკლი] — A. 25 იანვრის ია] —B. 28 უკუნქცეულთა]უკუნ იქცნენ რა B. 29 გიორგის] — A. 36 ესრეთი A.

* ეს ორი სიტყვა A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის ხელით.

თა ოსმალნი ჴოლითა და ჭერითა. და შემოიქცნენ ქართველნი ალაფი-თა დიდითა მძლეველნი თურქთანი*.

ჟამსა ამას იყო ყაენად ბაბა-ხან, ძმისწული ალა-მამად-ხანისა [illegible] ვინადგან ესე აწვევდა მეფესა გიორგის მონებასა, ამად [illegible] მან შეიტანა თავი თვისი მონებასა ქვეშე იმპერატორისა პავლე პეტ-როვიჩისასა. ხოლო ამან წარმოუგზავნა დესპანი და სამეფონი ნიშან-ნი და ერთი პოლკი | იეგირისა და შ(ემდგომა)დ მოვიდა ერთი პოლ-კიცა მუშკატრისა. 281r

კ(ვალა)დ შთამოვიდა ომარ-ხან ავარელი ბირებითა იბრეიმ-ხა-ნისათა და დაიბანაკა კიდესა ალაზნისასა, მუნ მივიდა მეფის ძე ალექ-სანდრე, ვინაიდგან იყო ურჩი მეფისა. წარმოვიდნენ და მოვიდნენ პი-რისპირ ნიახურისა. მუნ ეკუეთა მეფის ძე იოანე და ბაგრატ** კახე-თისა მჴედრებითა და ექვსასისა რუსითა და რაოდენ იყო თვით მჴნედ ეგრეთვე მჴედრობანი კახთანი. იძლივნენ ლეკნი და მოსწყდნენ უმ-რავლესნი, რომელიცა შეყრილობა ესე იყო ვიდრე ათი ათასისა კაცადმდე და უკუ იქცნენ სირცხვილეულნი, შთავლეს იორი, მიუ-ჴდნენ განჯას, გარნა მუნცა იძლივნენ. და მეფე გიორგიცა გარდაი-ცვალა წელსა ჩყ დ(ე)კ(ემ)ბ(რის)კჱ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპჱ. და დაფ-ლეს მცხეთას სამარხოსა მეფეთასა.

ხოლო შ(ემდგომა)დ მისსა ჰყვეს განმგედ და მმართებლად ქარ-თლისა პირმშოი ძე მისი დავით ბრძანებითა იმპერატორისათა, ვინა-იდგან ჯერ იყო მებრ ტრაქტატითა, ესე იგი აღთქმისა პირობათასა, დადებულითა შორის ეკატერინა იმპერატრიცისა და მეფის ირაკლისა-თა, რათა ბრძანებითა რუსეთისა კარისათა დაიდრგინებოდეს მეფე. ამან იწყო მართვად ქართლისა ფ(რია)დ გონიერად, ვინადგან იყო ესე აღზრდილ მეცნიერებასა შინა ვ(ითარც)ა საღმრთოთა და ფილა-სოფიათა, ეგრეთვე სამჴედროსაცა შინა, ვინადგან უწყოდა მან ვ(ითარც)ა კანონი სამოქალაქო და სამჴედრო აზიისა, ეგრეთვე ევრო-

---

1 ოსმალთა B. 5 იმპერატორისასა B. 4-5 პეტროვიჩისასა]პირველისასა B. 18 დეკემ-ბრის კჱ,... უპჱ]ქ(ორონი)კ(ონ)ს უპჱ, დეკებრის 28 დღესა B. 18-19 უპჱ]¦უპთ A 28 და დაფლეს... მეფეთასა]— A. ევროპისა] + გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზრდილმან მის თანა მთავარ-დიაკონმან ევნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს და ესწავათ ერთ-ადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეა-უღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა აიო ტერ სიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს. რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველ-

* „და შემოიქცნენ... თურქთანი“ — ტექსტის ეს ნაწილი A-ში შეტანილია და-ვით ბატონიშვილის მიერ.

** ეს ორი სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

281v პისა. ამან ანიჭა კ(ვალა)დ ძეთა ქსნის ერისთვისათა მამულივე მათი სრულიად მიღებუ|ლი მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა, მით რამეთუ აქვნდათ ფრიადი შეკრულება მის თანა და ერთგულება, და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა რუსეთით. ამან განაახლა შუა თვალი გატეხილისა ხიდისა, რომელიცა შთასჭრა აღა-მამად-ხანმან მოსლვასა თჳსსა ტფილისს.

გარნა გარდაიცვალა მყის პავლე პეტრეს ძე წელსა ჩყა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპთ და ვერღარა სრულ იქმნა საწადელი მისი, ვინადგან იმპერატორმან ალექსანდრე, ძემან პავლესმან, წარმოგზავნა ღენარალ-ლეიტენანტი კნორინგი. მაშინ მჴედრობანიცა რუსთანი უმეტეს ათისა ათასისა შემოსრულ იყუნენ ქართლში. მოვიდა იგი. მაშინ ორგულ ექმნენ მეფის ძეს დავითს რაოდენნიმე მახლობელნი თვისნი ბირებითა კნორინგისათა, რომელმანცა აღუთქვა მათ სასყიდელი დიდი. ჵი სიკვირველი, რომელ თვით მათ იწყეს უკანასკნელ სარჩელად რუსთა ზ(ედ)ა და ხადოდენ თავსა თვისსა ახლად იუდად, ვინადგან შესცდნენ იგინი ვეცხლისათვის, გარნა ვერარაჲმე მიიღეს სასყიდელი და იქმნენ საკიცხველ ყოველთაგან. მან განაწესა მებრ კანონისა მათისა ვ(ითარ)ც(ა) მას სწადდა ყოველივე კანონი სამოქალაქოჲ და უკუნ იქცა რუსეთად, ხოლო წელსა მეორესა მოვიდა კ(ვალა)დ კნორინგი. ამან აფუცა ერნი ერთგულებასა ზ(ედ)ა როსსისასა, რომელთა შეკრებილთა სიონსა შინა შემოახვივა მჴედრობა და ქართველთა შიშვნეულთა ჰყვეს ფიცი მსწრაფლ. და მოასვენა ჯვარი იგი წმინდისა ნინასი წელსა ჩყბ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უჟ,
282r რომელიცა პირველ მოიპარა და წარიღო არ | შას ციხით რუსეთად მთავარ-ეპისკოპოსმან რომანოზ, არაგვის ერისთვის ძემან. ხ(ოლო) აწ კ(ვალა)დ მოსცა იმპერატორმან ალექსანდრე ქართველთა. დაუტევა მუნ კავალინცკი განმგედ და თჳთ უკუნ იქცა რუსეთადვე.

კ(ვალა)დ აღდგნენ ლეკნი და იწყეს ტყუჱნვა ქართლისა, დაესხნენ ორგზის ქარელსა და მოსწყჳდნეს მრავალნი მუნებურნი. კ(ვალა)დ მიუჴდნენ და წარტყუენეს ყელქცეული, ეგრეთვე ქენფერი; მსგავსისავე სახითა კახეთიცა, წარიღეს მელაანი. კ(ვალა)დ შეკრბენ ჭარელნი, მოვიდნენ და წარიღეს ივრით ცხოვარი თუშთა ვიდრე ოცდა ათი ათასამდე, რ(ომე)ლისა გამო გამოსცუალნეს კნორინღი, და ნაცულად

---

თანი. და მხედველ ამისი დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობავნებულ. ამან მიუღო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძასა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა, რომელიცა აქვნდათ გამორთმეული ორმეოცსა წელსა B .

1-2 ამან ანიჭა... სრულიად მიღებული] — B. 3 მით] — B. 19 მეორესა]1802 B. 20 კნორინგი] — A. 20 ამან] — B. 24 პირველ] — B. 25 ერისთჳს A. 30 ქენფერი]+და B.

მისსა განაწესეს ღენარალ-ლეიტენანტი ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე, რ(ომ)ლისა მამა დროსა ვახტანგ მეფისა გარდასრულ იყო რუსეთად. კაცი ესე იყო გონება-ვნებულ და ცნობა-მიხდილ, ვინადგან გუართა მათ შ(ორი)ს ზოგად არა იშვი[ა]თ არს ესე სენი. ესე მოვიდა წელსა ჩყგ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უჟა, იანვრის 3, ტფილისს. ჟამსა ამას იყუნენ ძენი ქართველთ მეფისანი მოწოდებულნი როსიად. იწყეს რა მათ მზადება წარსლვისათჳს რუსეთად, ციციშვილმან არღარა აცადა მათ მომზადებაჲ, ა(რამე)დ დაესხა ღამე ვ(ითარც)ა ავაზაკთა ზ(ედ)ა და წარგზავნნა რუსეთად. შ(ემდგომა)დ ამისა შეუსივა მჴედრობანი ღენერალ-მაიორის ლაზაროვითურთ დედუფალსა, ციციშვილის ასულსა მარიამს, მეუღლესა მეფისა გიორგისასა, რათა 282v იძუ | ლებით და გამოთრევით წარგზავნოს რუსეთად. იქმნა მუნ შფოთი, სადაცა რუსთა დაკოდეს ფ(რია)დ ჴრმლითა ორსა ადგილსა მკლავსა შ(ინ)ა დედოფალი მარიამ და ამა შფოთსა შ(ინ)ა მოკუდა ღენარალ-მაიორი ლაზარევი ხანჯლითა, რომელ არა სადა ცხად იქმნა მკულელი მისი, და დედოფალი დაკოდილი ბრალეულ-ჰყვეს, რეცა მან მოკლა იგი და შვილებითურთ თჳსით წარიყუანეს რუსეთად, რომლისა ჭურეტა მჭურეტელთათჳს იყო საზარო და დაამატიმრეს მონასტერსა შ(ინ)ა ბელოღოროდისასა, ვინადგან [ცი]ცისშვილმან დასწამა სიკუდილი მისი მას. ხ(ოლო) დედოფალი დარეჯან, დადიანის ასული, მეუღლე მეფის ირაკლისა, დაშთა უძლებობისა გამო ტფილისს.

ხ(ოლო) ამან ციციშვილმან* წარგზავნა მჴედრობაჲ ბელაქანსა ზ(ედ)ა და მოწვეს ბელაქანი, გარნა მაშინ ვერ აღვირ-ახხა ლეკთა კადნიერებასა, მით რ(ამეთუ) მოვიდენ ქარელს და მოსწყვიტნეს რუსნი უმეტეს ასისა, ეგრეთვე წარიღეს ჩივაძიანთა კარი და წარასხეს უმეტეს ასისა ტყვისა. კ(ვალა)დ ბელაქანის მახლობელ წარიღეს რუსთა ცხენნი, უმეტეს ხუთასისა, და ეგრეთვე მახლობელ ქალაქისა წარიღეს უმეტეს ოთხასი ცხენი, და იყო მრავალი ვნება ლეკთაგან; კ(ვალა)დ სიფიცხითა და ბოროტებითა ციცისშვილისათა ვნებულ იქმნენ უმრავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი და წარივლტნენ სპარსეთად, ეგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზ|ცა, 283r ვნებული ციცისშვილისაგან, წარვიდა სპარსეთად.

---

1 პავლე დიმიტრის ძე] — A. 5 იანვრის 3, ტფილისს] — B. 6 მიწოდებულნი B. 7 წარსლვისათჳს ... მათ მომზადებაჲ] — B. 15 ლაზაროვი A. 15 რომლისა B. 20 მას] — B. 25 კადნიერებასა]+მათსა B. 31-32 წარივლტნენ] წარვიდნენ B

* ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

და ჟამსა ამას იქმნა მომსრველი სენი ყოველსა საქართველოსა შ(ინ)ა რ(ომ)ლისა გამო შეედვათ ფრიადი სრვაჲ; ხ(ოლო) დედოფალი დარეჯანცა წარიყვანეს როსიად. და ოდეს ლეკთაგან იყო ოჴრებაჲ ქართლისა, მის გამო ჯეროვნად რაცხა ციცისშვილმან შენებაჲ წალკისა, რათა ამით აღვირ ასხას ლეკთა, და დაასახლა მუნ რამოდენნიმე მოსახლენი; ხ(ოლო) მოვიდნენ ლეკნი და წარასხეს ტყვეთ ყოველნივე. ამაზედ განრისხებულმან ციციშვილმან წარგზავნა მათ ზედან მხედრობაჲ საკირეს, სადაცა იდგნენ ლეკნი. იქმნა ბრძოლა მათ შორის, სადაცა იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ მრავალნი და დანაშთნი მოვიდენ თბილისად.

კვალად მოვიდენ ლეკნი და წარტყუენეს ნიჩბისი, ქ(ვალა)დ მოვიდნენ სოღანლუხს და წარიყვანეს ტყვე უმეტეს ორასისა, რუსნი. ხ(ოლო) არა ოდეს მოიხსენების და ვერცა დაიტევს ისტორიაჲ ესე, თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართუელოსა შ(ინ)ა.

და წელსა 1804, ქ(ორონი)კ(ონ)სა უჟბ შეიკრიბნა ამან მხედრობანი და მოადგა განჯას. ვერ წინა აღუდგა ხანი განჯისა ჯავად, ამად, რომელ არღარა იპოვებოდა მუნ უმეტეს ხუთასი[სა] მეთოფე მომსვრელისა გამო სენისა, ვინაიდგან მათცა შეედვათ სენი და აღ-
283v წყვიტნა მრავალნი მუნ მცხოვრებელნი ჭირმან. ამ|ის გამო აღიღეს უკვე მიტევებითა განჯისა ციხეჲ რუსთა, სადაცა მიტევებასა ზედან მოსწყდენ უმეტეს ხუთასისა სალდათნი. განძჳნებულთა სალდათთა და ტკივნეულთა ქართუელთა განჯელთაგან, რაჲცა უსამართლოებაჲ იხმარეს თჳსთა მეზობელთა ზ(ედ)ა ჟამსა მოსლჳსა აღა-მაჰმად-ხანისასა, მოსწყვიდნეს უმრავლესნი მცხოვრებნი განჯელთანი, მოსრნეს დედა-წულნი და იავარ-ჰყვეს ნაქონები მათი. ეჰა უუსჯულოესი, რომელ ტირანმან ციცისშვილმან ჰსცა ნებაჲ მხედრობათა შებილწებისათჳს ტყვეთასა, ხ(ოლო) თჳთ ექმნა მაგალით უსჯულოსა ამის განზრახჳსა მით, რ(ამეთუ) პირველად მან შეაბილწნა სახლეულნი ხანისანი.

ხ(ოლო) ამავე წელსა წარგზავნა იარანალი გულაკოვი დასასჯელად ჭარელთა. მიიწია რა ზაქათალას, იძლივა გულაკოვი ჭარელთაგან, რომელიცა თჳთ დასჩეხეს ხრმლითა და მოსწყდნენ უუმრავლესნი მხედრობანი მისნი და ესრეთ შიშნეულ იქმნენ, რ(ომე)ლ უმეტეს ხუთასისა რუსნი გადასცჳვდენ კლდესა ზაქათალისასა. და მოსწყდენ, გარნა ეგო უვნოდ იარანალი ყაფლანისშვილი დიმიტრი, მეორე მძლევა-

---

7 ამაზედ] ამას ზედან B. 7 ციციშვილმან] — A. 7 მათ ზედან] — B. 9 მოსწყთნენ A. მოსწყვიტნეს B. 12 სონღალუხს A. 12 წარიყვანეს ტყვე] წარტყვენეს B. 28 პირველად მან] პირველმან B. 35 ეგო] დაშთა B.

ნი ამა რუსთანი შემდგომად გულაკოვისა, რ(ომე)ლ იგიცა გარდა-ვარდა კლდესა მას.

ხ(ოლო) გაზაფხულსა წელსა ამასვე წარვიდა ციციშვილი ერე-ვანსა | ზ(ედ)ა დასაპყრობლად ქალაქისა მის. მიიწია რა [illegible], 284r მუნ შეემთხვა ძე ყაენისა აბაზ, მცირედითა მხედრებითა, თუმცალა წარმოიშუა მათ შ(ორი)ს მცირერე ბრძოლა, გარნა უძალო ქმნილნი სპარსნი განცალნენ და მივიდნენ გარნისს, ხ(ოლო) ციციშვილიცა განვიდა ზანგის მდინარესა, და მიადგა ციხესა ერევნისასა. მცნობ-მან ამისმან ყაენმან ბაბა-ხან მოირთო ძალი, მოვიდა გარნის[ს]ა ზ(ე)და. ჟამსა ამას დაემშა მხედრობა ციციშვილს, წარგზავნა მან მანტრეზორი მაიორი ორასითა მხედრობითა და ერთითა ზარბაზნითა ბანბაკად, რათა მოართვას მან მუნით აზუღაი. სცნა რა ყაენმა, შეუ-ყენა უკანა მეფის ძენი* ალექსანდრე და თეიმურაზ* ათასითა მხედ-რებითა სპარსთათა, რ(ომე)ლიცა ეწია მას მახლობელ დარბაზისა და მოსწყვიტნეს სრულიად მანტრეზორ მაიორითურთ, მიუღეს ზარბა-ზანნი და მივიდეს წინაშე ყაენისა. ამად პატივ სცა მას ყაენმან და ანიჭა საბოძვარი დიდ-დიდნი. შ(ემდგომა)დ რაოდენისამე დღისა წარ-მოიშუა ბრძოლაჲ შ(ორი)ს ციცისშვილისა და ბაბა-ხანისა, იძლივა ციცისშვილი ესრეთ, რ(ომე)ლ გამოიპარა ღამით მცირედითა მით მხედრებითა, რომელიცა გარდაურჩნენ სპარსთა ჴელთაგან ბრძოლასა მას. ხ(ოლო) ამათ არაღარა შეუდგა უკანა ბაბა-ხან, ვინადგან სცნა ორგულებაჲ სპასპეტისა თჳსისა სულეიმანისაგან, რ(ომე)ლსაცა | 284v ჰსწადდა სიკუდილი მისი იდუმალ, და წარვიდა ყაენი თე[ი]რანად. ხოლო ციცისშვილიცა მოვიდა თბილისს. მაშინ ძეი მეფისა იულონ, ლტოლვილი რუსთაგან, შეიპყრეს ულევს, და ფარნაოზიცა კახეთით მისრული ყაზახად შეიპყრეს ყაზახელთა და მიიყვანეს წინაშე ციცი-სშვილისა, და მან წარგზავნა იგინი როსიად. პ(ირვე)ლი უკვე დააყე-ნეს ტულს, ხ(ოლო) მეორე ვარონიშს. და შ(ემდგომა)დ თჳთ ციცი-შვილიცა შთავიდა განჯას.

ხ(ოლო) წელსა 1805, ქ(ორონი)კ(ონ)ს უჟგ მოვიდა ბაბა-ხან არ-დაველს. შიშნეული მისგან ხანი შუშისა იბრაიმ შევიდა საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, სთხოვა ციცისშვილს მხედრობა დასაცველად ცი-ხისა თვისისა, რ(ომე)ლნიცა მისცნა ხუთასნი მხედრობანი რუსთანი. მოვიდა ბაბა-ხანცა არეზსა ზედა, მუნით წარმოგზავნა ძე თვისი აბაზ საქართუელოსა ზედან, არა ძლიერითა მხედრობითა. მოიწივნენ რა თართარს, წარგზავნნა ციცისშვილმან ათასნი უკვე რუსნი კარაგინისა პოლკოვნიკის მძღვანველობითა. შეიმთხჳვნენ ქურაგს, იძლია კარა-

---

13 და თეიმურაზ] — B . 32 რუსთასა B. 34 არაზსა A.

* ეს ორი სიტყვა A-ში ჩამატებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ.

გინი, რ(ომე)ლ კნილა გარდაურჩა ოცდაათითა სალდათითა და თვითცა დაჰკოდეს კარაგინი. ჰსცნა რა ესე ციციშვილმან, წარვიდა ოთხი ათასითა მხედრობითა მას ზედან, გარნა სპარსთა გარდავლეს ზემოთ 285r გზაჲ და რუსნი დაუტევეს ქვემოსა გზასა ზედან. მოვიდნენ განჯას | და გარდაასახლეს მუნით მცხოვრებნი განჯელნი მახმედიანნი, რ(ომე)ლიცა წარგზავნა თავრიზად, ხ(ოლო) თჳთ მიიწია შამშადილს, თუმცაღა სწადდა მისლვა თბილისსა ზედან, გარნა არა იქმნა სრულ საწადელი მისი მით, რ(ამეთუ) მოერთო ბაბა-ხანისაგან მამისა თჳსისა ბრძანებაჲ უკუნქცევისათჳს. შევლო მან აღსტაფაჲ ვიწროსა მას კალთასა მთისასა, დახუდა მუნ ყაზახნი და ფ(რია)დი ვნება მისცეს სპარსთა*, ხ(ოლო) ბაბა-ხან უკუნ იქცა გილანად, ამად, რ(ომე)ლ რუსთა მხედრობანი განვიდნენ გილანად მძლუანველობითა ღენარალ ზავალიშინისათა, გარნა მისლვამდე ბაბა-ხანისა, მუნ იძლივნენ გილანელთაგან რუსნი და ლტოლვილნი მუნით ნავითა მივიდნენ მახლობლად ბაქოჲსა.

ხ(ოლო) წელსა 1806, ქ(ორონი)კ(ონ)სა **უჟდ**, განვიდა ციცისშვილი მტკვარსა მხედრობითა, ჩავლო შირვანი და მივიდა ბაქოს. საწადელი მისი იყო ესრეთ, რათა დაიპყრას ბაქუი და მუნით გამოიტანოს აზუღა ასტრახანით შესაწევნელად საქართუელოსა შ(ინ)ა მყოფთა მხედრობათათჳს, ვინადგან ვერ კმა უყვეს აზუღისა მიცემითა ქართველთა რუსნი. და მისრულმან მახლობელ ბაქოჲსა დაიბანაკა ერთსა ფარსანგსა და მიუწერა ხანსა ბაქოსასა ჰუსეინს, რათა მან მოართვას კლიტეჲ ქალაქისა, რაოდენ ევედრა ხანი, რათა არა დასდოს ესევითარი 285v სირცხვილი, რ(ომე)ლიცა სირცხვილად | აღუჩნდა ხანსა მორთმევა ჴელითა თჳსითა კლიტისა, და არა თანახმა ექმნა ციცისშვილი; და უკანასკნელ მიუწერა ხანმან: „ვინაიდგან ვიშიშვით და არა ძალმიძს მოსვლად მხედრობასა თქუენსა, ამად გთხოვ მოვედ შენ ორითა უკვე კაცითა მახლობელ ციხისა და მეცა მოვალ ორითა მონითა ჩემითა და შემთხუევასა ურთიერთისასა მოგართმევ კლიტესა“. ვერ ჰსცნა უგუნურმან მცბიერობაჲ ხანისა და მსწრაფლ წარვიდა ორითა ყაზახითა ხანისა კერძ, ხ(ოლო) ხანიცა მოვიდა ორითა მონითა, გარდახდნენ ორნივე ცხენითა, უამბორეს ურთიერ[თ]ას, მოართვა რა ხანმან კლიტეჲ, მაშინ მათ ორთა მონათა სტყორცეს თოფი ციცისშვილს და მოკლეს, და წარჰკუეთეს თავი და წარუგზავნეს ბაბა-ხანს. ხ(ოლო) მხედრობანი რუსთანი, რ(ომე)ლნიცა იყვნენ ბაქოსა, განვიდენ ყიზლარად ზღვით. და შ(ემდგომა)დ ნაცვლად ციცისშვილისა

---

17 ბაქუს A. 22 ბაქუსას A. 33 ორთა] + ამათ B. 34 მოკლეს] + და მის თანა მოკლეს ერისთვის შვილი ელისბარცა B.

* ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

წარგზავნეს საქართუელოსა მართებლად გრაფ ივან ვასილიჩი გუდოვიჩი, ღენარალ-ფერთმაშალი.

ვინათგან შ(ორი)ს რუსთა და თურქთა იყო ბრძოლაჲ, ამად გრაფმა გუდოვიჩმა მოკრიფა ს(რული)დ რუსთა და ქართველთა მხედრობაჲ, მივიდა და მოადგა ჯავახეთს ციხესა ახალქალაქისასა. მიუდგეს რუსთა კიბენი და ლამოდნენ გარდასლუასა ციხესა შ(ინ)ა. განმხნდ|ნენ 286r თურქნი, აოტნეს რუსნი მეციხოვნეთა და მოსწყვიდნეს ვ(იდრ)ე ხუთასადმდე. და ოდეს ვერ-უძლო დაპყრობაჲ ციხისა გუდოვიჩმან, უკუმოქცეული მოვიდა ალგეთად.

და ამავე წელსა, 1807, მოერთვა ამბავი ნესვეტაევისა ღენერალ-მაიორისაგან ყარსით, რომელიცა წარეგზავნა გუდოვიჩს ოთხი ათასისა მხედრებითა ყარსსა ზედან, ვითარმედ იძლივა იგი უსუფ-ფაშისაგან და ძლეული მისგან შეივლტო მცირედით გარდარჩომილითა მხედრობითა ციხესა გუმრისასა და სთხოვა შეწევნაჲ. წარვიდა გუდოვიჩი, მიიწია რა არფა-ჩაის, მუნ წარმოიშუა ბრძოლა შ(ორი)ს თურქთა და რუსთა, იძლივნენ თურქნი და უსუფ-ფაშა და მივიდნენ ყარსს, ხ(ოლო) გუდოვიჩი მივიდა ტფილისს, თუმცაღა თურქთა სწადდათ კ(ვალა)დ ბრძოლაჲ, მაგრამ მოერთვა უკუე ამბავი უსუფ-ფაშასა აღრეულებისათჳს კონსტანტინეპოლეს იენგიჩართაგან, რ(ომე)ლთაცა მოკლეს სულთან სელიმ მესამე და ნაცულად მისსა ჰყვეს სულთნად ბიძაწული მისი მუსტაფა, ძეი ჰამიდისა და შ(ემდგომა)დ ექუსისა თჳსა მოკლეს იგიცა და ჰყვეს სულთნად მაჰმუდ.

და წელსა 1808 გუდოვიჩმან მოკრიბნა მხედრობანი რუსთანი და ქართველთანი და წარვიდა და მოადგა ციხესა ერევნისასა, მიუდგა კიბენი და უბრძანა სალდათთა, რათამცა აღვიდენ, | ხ(ოლო) სალდათნი რა აღვიდენ კიბეთა ზედან, იწყეს ყიზილბაშთა წარმოებაჲ მათ 286v ზედან ფიცხელად თოფითა და ზარბაზნითა, იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ უმეტეს ორისა ათასისა და ვინადგან გუდოვიჩი ვერღარა დადგა მუნ, წარმოვიდა აბარანისა გზით და ოდეს ყინული იყო მძაფრი, უმეტეს ათასისა სალდათთა მოსძრათ ჴელი და ფერხი, ეწივნენ სპარსნი და მიუღეს ყოველი ურმები და ავადმყოფნიცა მრავალნი ტყვეთ შეიპყრეს. გამოსცვალეს ამად გუდოვიჩი და ჰყვეს ნაცულად მისსა იარანალ-შეფი ტორმასოვი, ხ(ოლო) მანცა დაიწყო მართვაჲ ვ(ითა-რც)ა მოსაყდრეთა თჳსთა, გარნა მანცა ვერა ძალ-იდვა აღვირსხმად მტაცებლობასა ლეკთასა, რ(ომე)ლნიცა მარადის რყვნიდიან დაბნებსა და სოფლებსა საქართველოსასა და მარადის სტაცებდიან რუს-

---

9 ალეგთად A. 21 ჰამადისა B.

თა და მათთა ყაზახთა ცხენთა პოლკებთასა და იყო ფრიადი განუსვენებლობა და ოხრება მათგან, თუმცა-ღა ზოგად რუსნიცა ამარცხებდიან, მაგრამ იგინი არაოდეს განეყენებოდიან ჩვეულებათა თჳსთა, ვ(ითარ)ცა მგელნი მტაცებლობისაგან ცხოვართასა. ესე ვ(ითარ)ისა უბედურსა შემთხუევასა ზ(ედ)ა დაერთო ესეცა, რ(ომე)ლ წელსა 1810, ქ(ორონი)კ(ონ)სა უჟჱ, მოვიდა ძეი ყაენისა ბაბა-ხანისა მაჰმად-ალიხან. ამან გარდაასახლა ს(რულია)დ ფანბაკი ერევნად, მუნით მოვიდა 287r ალჯა|ყალას, მოსტყვენა დმანისადმდე და კოდადმდე და უკუნ იქცა, თუმცა-ღა რუსთა მჴედრობა იდგა გატეხილსა ხიდისა თანა, გარნა არა წარმოიშუა მათ შ(ორი)ს ბრძოლაჲ მით, რ(ამეთუ) სპარსთა ვერა იკადრეს რუსთა ქვევითთა ბრძოლაჲ და ეგრეთვე რუსთაცა შიშითა სპარსთათა ვერ წარგზავნეს მათ ზედა ცხენოსანნი თჳსნი მით, რ(ამეთუ) ფ(რია)დ არიან უხმარ ცხენოსანნი რუსთანი.

წელსავე ამას მოინდო ფიცითა ტორმასოვმან მეფე იმერთა სოლომონ, რ(ომე)ლიცა შეიპყრა და რეცა ბრალეულ ჰყო მან ესე ვითარითა ოღალოობითა, ოდეს აიღეს რუსთა ფოთის ციხე, მაშინ რუსთა მიაქუნდათ ფოთს მჴედრობისათვის ტყვია-წამალი და მცირედი ხაზინა, მიიწივნენ რა ლეღოანსა, დახვდათ მათ გზასა ზედან მცირედითა ლეკთა მჴედრობითა აბაშიძე ლეონ, რ(ომე)ლიცა განლტოლვილი იყო ახალციხეს მით, რ(ამეთუ) მოკლა მან ბიძაწული თჳსი დავით და კიკნაძენიცა იყვნენ მონაწილენი მათნი; მათ მოსრნეს უმეტეს ორასისა რუსნი და წარიღეს რაჲცა აქუნდათ რუსთა, ამას ზ(ედ)ა ბრალეულ ჰყვეს მეფე, რეცა ნებითა მისითა ქმნეს მათ იგი და სწადდა რუსეთად წარგზავნაჲ მეფისა, რ(ომე)ლიცა ჰყუა პატიმრად სახლსა მეითრიანთასა ტფილისს, გარნა განივლტო შემწეობითა იმერლისა ვისმე 287v წერეთლის ყმისაგან|, რ(ომე)ლიცა იყო ტფილისს კერკეტონად და იყო იგი მიჩნეულ ტოლმაჩად მეფისა, რ(ომელ)მანცა უწყოდა ენა რუსული; მან შთააცვა მას ტანისამოსი თჳსი ღამე და რუსთა დარაჯთა ჰგონეს იგი კერკეტონად მით, რ(ამეთუ) ჟამსა მას ტფილისს ყოველნივე კერკეტონნი იყუნენ იმერთაგანნი.

ხ(ოლო) კერკეტონმან მან ჴელოვნებითა ამით ღამე გაიყვანა ტფილისით მეფე და ავიდა ახალციხესა. ჟამსა მას ტორმაზოვი* არა იმყოფებოდა ტფილისს, ა(რამე)დ წარსულ იყო ყარაბაღად ზავ-ყოფისათვის სპარსთა თანა, გარნა სპარსეთისა კერძოით მოვიდა მასთანა ყაენისაგან ნებითა სრულითა მირზა ბუზურგ, შეიმთხვნენ მუნ, მაგრა არა მოუხდათ მათ ზავ-ყოფა, მირზა უკუნ იქცა სპარსეთადვე, ხ(ოლო) ტორმაზოვი* მოვიდა ტფილისად. სცნა რა მან ლტოლვაჲ მეფისა ტორმაზოვმან*, განძჳნდა ფ(რია)დ, ვინადგან კაცი ესე იყო მძვინვარე,

---

31-32 ტფილისით A. 37 მან] — B

* იგულისხმება ტორმასოვი.

ამპარტავან და უწყალო. ამან დაახურეტინა თოფითა ოთხნი კერკეტონნი, კაცნი უბრალონი, ამად რ(ომე)ლ, ვინადგან იგინი იყვნენ დღისა მორიგენი ქალაქისანი ჭვრეტისათვის კარგისა რიგისა ჩუქთა ზ[illegible]ნ)ა, რეცა დაუდვა მათ ბრალად, რ(ომე)ლ თანამდებობა [illegible] ჭურეტაცა მეფისა. ქ(ვალა)დ მოაშთნო რაოდენნიმე უბრალონი ოვსნი. რ(ომე)ლნიცა ერისთვიანთა შეასმინეს, ვინადგან სწადდათ | გახრეკაჲ 288r ოვსთა მათ მსგავსად ჩვეულებისა მათისა. და ქ(ვალა)დ მოაშთო რაოდენნიმე თათარნი კაცნი უბრალონი, რ(ომე)ლთაცა შესწამეს არა მართლად ქურდობაჲ. ქ(ვალა)დ შეიპყრა ამან ჯავახიშვილი და თარხნისშვილები და წარმოგზავნა პყრობილად როსიასა შ(ინ)ა, რ(ომე)ლნიცა ესენი შემჭირვებულნი რუსთა ბეგართაგან განივლტვნენ უცხოთა ქვეყანათა, გარნა შეინანეს და უკ მოიქცნენ მამულადვე თჳსად, დარწმუნებულნი ფიცითა რუსთაგან არა რაჲსა საყვედურობისათვის.

ხ(ოლო) ჟამსა ამას შარიფ-ფაშამან მოიკრიბნა უმეტეს სამი ათასისა კაცისა, შთამოვლო ბედენი, მოვიდა და მოადგა ბორბალას. მუნ გაუმაგრდნენ სოლაღაანი და მხნედ ბრძოლეს, მაგრა სცნა რა ფაშამან ტფილისით მიშველება რუსთა, აიყარა მუნით და უკუნ იქცა.

სცნეს რა იმერთა მეფისა აღსლვა ახალციხეს, შეიქმნა მათ შ(ო-რი)ს აღრეულობაჲ და ადგილ-ადგილ ამბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შ(ინ)ა, რ(ომ)ლისა ამბოხისა თავ იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე, საქარელი. მაშინ სიმონოვიჩმან იარანალმან, ვინადგან იგი მართებდა იმერეთსა შ(ემდგომა)დ შეპყრობისა იმერთა მეფისა, წარმოგზავნა მას ზედა მაიორი კალატოზისშვილი ორასითა მხედრებით, მოვიდა იგი საქარას, მუნ წარმოიშუა შ(ორი)ს მათსა | ბრძოლაჲ, იძლივნენ რუსნი და მოკლეს 288v მაიორი იგი. მას ჟამსა შ(ინ)ა მეფემანცა სოლომონ მოიკრიბნა რაოდენნიმე ახალციხესა მყოფნი ლეკნი და შთავიდა იმერეთს დვალიშვილებში. მუნ მოერთვნენ ს(რულია)დ იმერნი და განძლიერდა შფოთი, იარანალი სიმონოვიჩი, შიშნეული იმერთაგან, დამაგრდა ქუთაისს და იხმო შემწედ თჳსსა დადიანი ლეონ, მით რ(ამეთუ) დადიანსა და მეფესა შ(ორი)ს იყო ფ(რია)დი მტერობაჲ ამად, რომელ მეფემან უწინარეს რუსთა შთასლვჲსა, მოწვა ს(რულია)დ ოდიში და ჰსწადდა აღწყვედაჲ დადიანთა სახლისა, რ(ომ)ლისა გამო იძულებული და შიშნეული სახლი დადიანისა შევიდა საფარველსა ქვეშე რუსეთისა. სცნა რა ესე ტორმაზოვმან, წარგზავნა საშველად სიმონოვიჩისა ღენერალ მაიორი დიმიტრი ყაფლანიშვილი. ავიდა რა სურამს, მუნ განჰყო მჴედრობაჲ თჳსი, ნახევარი წარგზავნა კორტოხის მთისა კერძ საშველად წერეთლისა ზურაბ, უპირველესისა გვამისა იმერთასა და სახლთუხუ-

---

4 რეცა] რომელიცა B. 21 სიმანოვიჩმან A. 26 დვალიშვილებში] და ავალიშვილებში B. 31 შთასვლისა A. 34 საშველად] — A.

ცისა მეფისასა, რ(ომე)ლიცა ესე ზურაბ ორგულ ექმნა მეფესა და მივიდა რუსთა თანა, და თვით დიმიტრი ყაფლანიშვილი მივიდა ზედუბანს. ხ(ოლო) ნახევარნი ესე, მივიდნენ რა კორტოხს, დახვდა მუნ ანდრონიკაშვილი მელქისედეკ, სიძე მეფისა და წერეთელი როსტომ, ძე პაპუნასი, იმერთა მხედრებითა. იქმნა | მუნ ბრძოლაჲ ძლიერი,
289r იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ უმეტეს ხუთასისა რუსნი და დანაშთენი დამაგრდნენ სიმაგრეთა შ(ინ)ა, და მოადგნენ გარს იმერნი. სცნა რა ყაფლანისშვილმან, წარვიდა ზედაუბნით საშველად მათდა და, მივიდა რა, გაეცალნენ იმერნი; მოიკრიბნა ყაფლანიშვილმან დანაშთენი მხედრობანი რუსთანი, მოვიდა სურამს და მუნით წარვიდა საფიჩხეს გზით. იმერთა უკვე ჩაეხერგათ საფიჩხე, განვლო სროლითა და მივიდა ნებოსძირს, მუნით აიყარა, შთავლო სროლით და მივიდა ზედუბანს. მუნ სცნა იმერთაგან გარმოდგომაჲ ჩხერის ციხისა, მაშინ რ(ომე)ლიცა ეპყრათ რუსთა, ვინადგან მეფესა ჟამსა პატიმრობისასა გამოართვეს ყოველნი ციხენი. წარვიდა საშველად მათდა წითელ-კლდის გზით, ჩავლო დიდისა გაჭირვებითა, ვინადგან იმერნი მარადის ბრძოდიან, და მივიდა ჩხერს. მუნ მოვიდა ბარონ როზენი, ღენერალ-ლე[ი]ტენანტი, მთავრად დიმიტრისა მხედრობასა ზედან მით, რ(ამეთუ) დიმიტრი ყაფლანიშვილი, ვინადგან იყო კაცი უმეცარი და მსგავსი პირუტყუთა, და ვერა უძლოდა მხედრობასა მას კარგითა მძღუანველობითა. იქმნა მახლობელ ჩხერისა ომი ფ(რია)დი, იძლივნენ იმერნი,
289v მუნ მოკლეს მძღუა|ნი იმერთა დიმიტრი აბაშიძე, რ(ომე)ლიცა იყო განლტოლვილ მით, რ(ამეთუ) მოკლა მან ძმითურთ თჳსით ლეონით, ბიძაწულნი თჳსნი დავით და იოსებ. ბარონმა მუნ მოიბირნა რაოდენნიმე კიკნაძენი და მოვიდა მუნით ლომსიათ-ხევადვე, გზასა ზედან დასწვეს რუსთა ჩხეიძენი, მუნით ჩავლეს ზესთაფონს და მივიდნენ ცხრაწყაროს მუნცა იქმნა ბრძოლა, და ოდეს რუსთა ვერღარა იშოვეს გზა მისასვლელად ქუთაისს, მივიდნენ მუნით ბუღნალს და მუნით ჰიშურას. იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, გარნა იძლივნენ იმერნი. მაშინ მეფე იმყოფებოდა ვაკეში და იდგა მაღლაკს, პირისპირ დადიანისა, ვინადგან იგი მოვიდოდა შველად რუსთა. ხ(ოლო) დადიანიცა მოვიდა ჯიხაიშს, მუნ მოერთვა აფხაზთა მხედრობა და მუნით მოვიდა კუხას-წყალსა და მუნით ნამაშევს. მუნ შთავიდა დადიანისა თანა ხუთასი რუსი პირისპირ მეფისა, წარმოიშვა მუნ ბრძოლა შორის იმერთა და ოდიშართა, მუნ იძლივნენ ოდიშარნი. მუნით დადიანი და წერეთელი ამოვიდენ ქუთაის[ს]; მუნ მივიდა ბარონცა სიმონოვიჩთან, მაშინ წარუძღვა დადიანი და წერეთელი რუსთა

3-4 ანდრონიკეშვილი მელქისადეკ B. 13 ჰცნა AB. 15 წითელ-კოდილის A. 28 მისასვლელად]მისვლად B. 33 კუხას—წყალსა] კვახსა წყალსა B. 34 წარმოშვა A.

მეფესა ზედან. სცნა რა მეფემან, უღონო ქმნილი, ვინადგან ვერ ძალ ედვა ბრძოლაჲ, წარვიდა ხანის მთით ახალ| [290r] ციხედ, ხ(ოლო) ოდიშართა მოსწვეს ს(რულია)დ ვაკეჲ და მოსტყუენნეს, და სახლიცა აგიაშვილთა დასწუეს. მაშინ დედოფალი მარიამ, ასული დადიანისა, და ცოლი მეფე სოლომონისა, ხანით ვინადგან ვერ ძალ-ედვა წარსლვაჲ ახალციხეს, მივიდა სახლთა დადიანისათა. მაშინ ტორმასოვმან წარგზავნა ბრძანება და გარდაიყვანეს ტფილისს დითურთ მეფისა მარიამით, რ(ომე)ლიცა ესე მეუღლე იყო მელქისედეკ ენდრონიკაშვილისა და მუნით ორნივე წარგზავნნეს რუსეთად და დააყენეს ქალაქსა შ(ინ)ა ვარონიჟს.

ხ(ოლო) ოდეს მეფე შთავიდა იმერეთს, თანა შთაიყვანა მეფის ძის იულონის ძე ლეონ, და შეგზავნა რაჭით მთათა ლიახვისათა, რათა მან აღძრას ოვსნი პირისპირ რუსთა. ესე აღვიდა და შემოიყარნა ოვსნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა რა ესე ახვერდოვმან, გუბერნატორმა ქართლისამან, აღვიდა ცხინვალს რუსთა მხედრებითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლა ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა; მაშინ ოვსთა მოწვეს და მოარბიეს გარემონი ცხინვალისანი და თჳთ ცხინვალი და უკუნ იქცნენ. მაშინ ტორმასოვმან შეგზავნა ჭვრივს ფ(რია)დი მხედრობა რუსთა და მათ მოწვეს ჭვრივი და ვერღარა| [290v] დადგა ლეონ კოშკს და აღვიდა ნარას. ნარელთა სცეს მათ პატივი, ვითარცა პატრონსა თჳსსა.

შ(ემდგომა)დ შეიპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შ(ინ)ა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისა პყრობილად, და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ, ვ(ითარც)ა ჯავახიშვილს და თარხნიშვილებს, ძეთა დემეტრესთა.

ხ(ოლო) ლეონ, ვინადგან ვერღარა დადგა ოვსეთს, წარვიდა ახალციხეს. მიიწია რა ხეობას, მოკლეს ლეკებთა მომავალთა ქართლს სადავლაოდ, მინდობით. სცნა რა ფაშამან ახალციხისამან შარიფ, მოაშთვნა ლეკნი იგი.

და ამავე წელსა, 1810, წარმოვიდა სპარსეთით მთავარი ერევნისა ჰუსეინ ორი ათასითა მხედრებითა სპარსთათა და მოვიდა ახალქალაქს, ჯავახეთს. მუნ მოელოდა ფაშასა ახალციხისასა შარიფს მხედრობითა თჳსითა და მეფის ძესაცა ალექსანდრეს, და სწადდათ ზედა დასხმა სომხითისა. წარვიდა ტორმასოვი რუსთა მხედრობითა და მივიდა წალკას, მუნით წარგზავნა იტალიელი იარანალი მარკიზად სახელდებული, რომელიცა ჰყვა მას დეჟურნად იარანალად ათასითა სალდათითა და

---

3-4 აგიაშვილთა]+ყოველთა იმერთა შორის წარჩინებული B. 30 ლეკნი] კაცნი B. 31 1811 B. 36 წარგზავნა]+ მაიორი B. 36 იტალიანელი B.

291r ხუთასითა ქართველითა. მი|ვიდნენ ღამით და დაეცნენ ახალქალაქს ღამე თავსა და განაბნივნეს სპარსნი. მხილველი ამისი ფაშა ვერღარა მოვიდა სარდალსა თანა, და სარდალიცა უკუნ იქცა ერევნ[illegible] ძეი ყაენისა იდგა გარნისს, მუნით* განივლტო მეფის ძე—თეიმურაზ, რომელიცა იმყოფებოდა ძესა ყეენისასა აბაზ-მირზასთანა დიდითა პატივითა, თავად რვა ათასითა მხედრობითა რეგულთა ზედან სპარსთასა და მივიდა ტორმასოვთანა, რომელსაცა იდუმლად ტორმასოვი ეზრახვოდა, რათა დასტოვოს სპარსეთი და მივიდეს მასთანა და მივიდა რა ტფილისს წარგზავნა მან იგიცა როსიად*.

ხ(ოლ)ო წელსა 1811 მოიკრიფნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი თვესა ნოემბერსა, აღვიდა და მოადგა ახალციხეს, გარმოდგომილ-ჰყო იგი თვე ერთ ოდენ და აწარმოეს ციხეთა ზედან ყუმბარის სროლაჲ, განმხნდნენ თურქნი და იძლივნენ რუსნი და ამერ-იმერნი და მიუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბავრაყი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა მით, რ(ამეთუ) კერძოსა ძლით იმერთასა იძლივნენ რუსნი. უკმოქცეულთა რუს-

291v თა ვერღარა დევნა უყვეს თურქთა. მაშინ ქარ|თველნი რუისით და ქარელით და სხვით წარსრულ იყუნენ ასაყრელად კოთელიისა, ვინადგან კოთელიელთა სწადდათ გარდმოსახლებაჲ ქართლად. სცნეს რა მათ უკუნქცევაჲ ტორმასოვისა, დაუტევეს კოთელია და უკ-მოიქცნენ, ამცნეს კოთელიელთა ფაშას უკუნქცევაჲ მუნ მყოფთა ქართველთა მიზეზითა ამით, რათამცა განიმართლონ თავნი თჳსნი თურქთა წ(ინაშ)ე, ბრძანა ფაშამან შედგომა უკანა, ეწივნენ მათ თურქნი და მოსრნეს სრულიად ვ(იდრ)ე სამას კაცადმდე ქართველნი, ხ(ოლო) თავნი მათნი და რუსთა მხედრობათაცა თავნი, რაოდენიცა მოსრნეს ახალციხეს, ბრძანა ფაშამან გატენა მათ თავთა ბზითა და წარუგზავნა სულთანსა. ხ(ოლო) ტორმასოვმან ძლევა თვისი თურქთგან მიაწერა ჭირსა და შემდგომად ტორმასოვისა სხვათაცა მიიღეს თქმაობა ესე ნანდვილად, რომელ ჩვეულებითი საოფლეჲ, რომელიცა არს ჩვენსა ქვეყანასა და რომელიცა იყო, არს და იქმნების, შერაცხეს ნანდვილად მომსვრელ სენად**.

და წელსა 1812 გამოსცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს ნაცულად მისსა ზემოხსენებული მარკიზი პავლუჩი, კაცი ელამი რაგვარა-

---

8—9 რათა დასტოვოს... და მივიდა]და შეუჩინა გამზრდელი ლალა მისი პეტრე ლარაძე, აზნაური, რომელმანცა მოაცთუნა და მოიყვანა მუნით, ხოლო მოვიდა B. 9 მან იგიცა] — B. 12 გარმოდგომილ-იყო B. 27 ხოლო] — B.

* ვარსკვლავებში ჩასმული ტექსტი თეიმურაზისეულ ნუსხაში გადაშლილია შავი მელნით და ძნელად იკითხება. მისი აღდგენა მოხერხდა B ნუსხით.

** „ხოლო ტორმასოვმან... სენად“ ტექსტის ეს ნაწილი A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

დაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა, ვინადგან აქუნდა
მას სული იტალიური, რ(ამეთუ) კაცი ესე იყო აღგებული ბოროტ-
ტად ბუნებისაგან. და იწყო ამან მართვაჲ საქართუელოჲსა. მაშინ
წარგზავნა მხედრობანი რუსთანი ზამთარს ახალქალაქსა ზ(ედ)ა, და
თანა წაიღეს კიბენი. გორით მიეპარნენ ახალქალაქსა, მიუდგეს კიბენი
და აიღეს ციხეჲ ახალქალაქისა, ვინადგან | ზამთრისა გამო დაყმინე- 292r
ბულ იყუნენ თურქნი და შეაყენეს მხედრობა თჳსი ციხესა მას. შ(ემ-
დგომა)დ აღებისა ახალქალაქისა მარკიზი ეზრახა იდუმალ ბეგლარ-
ბეგსა ერევნისასა ჰუსეინს, რ(ომე)ლსაცა რწმუნებდა ერევანისა მიცე-
მასა ჰუსეინისათვის ყმად* რათა მისცეს ციხეჲ, აღუთქვა უსეინ მიცე-
მაჲ, ხ(ოლო) ვერა სცნა უგუნურმან იტალიელმან სიცბილი მისი და
წარგზავნა იარანალ მაიორი ლისანოვიჩი ორი ათასითა მხედრებითა.
მაშინ უსეინ მოიკრიბა მუნ გარემოისა მხედრობა და დამალა ეჩმია-
ძინს. მიიწივნენ რა რუსნი, ეკვეთნენ სპარსნი და აოტნეს რუსნი და
სირცხვილეულ იქმნა მარკიზი ესევითარის უგუნურისა შეცთომისა-
თჳს.

გარნა იყო ფრიად შემჭირვებაჲ რუსთაგან ესრეთ, რ(ომე)ლ
ძვირადღა დაშთა ჯარი საქართველოსა შ(ინ)ა რუსის ბეგარის ზიდვისა
ძლით, და მსგავსად ხარკითაცა იქმნენ დამძიმებულ და ოდეს აზუხასა
მოიყიდვიდენ, ნაცულად კოდისა ერთისა იწონდიან კოდნახევარსა, და
ფასს აძლევდიან კოდში ხუთ აბაზს, ოდეს კოდი იყო ექვს მინალთუ-
ნად, მით რ(ამეთუ) წელსა 1812 იქმნა ფ(რია)დ სიყმილი საქართვე-
ლოსა შ(ინ)ა და ჭირიცა ფ(რია)დ განძლიერებულ იყო, რ(ომე)ლიცა
ტორმასოვმან შთამოიტანა ახალციხით. და ოდეს არღარა აქუნდათ
პური მცხოვრებთა და ვერ ძალ იდვეს მისყიდვად, ნაცვლად პურისა
ევედრებოდენ მცხოვრებნი რათა მიიღონ წულნი მათნი; მაშინ ტირან-
მან მარკიზმან ჩაუყენა ყოველსა სოფელსა ეკზეკუცია ესე იგი იასაუ-
ლად სალდათნი, და იყო ჭირვება და ვაება ერთა ზედან. თვით წარ-
ვიდა ყარაბაღს და რა მივიდა, მუნ მოეგება მეჰთი-ხანი მუნებური, და
მიართვა ძღვენი დიდი, ვინადგან ყარაბაღიცა ეპყრა რუსთა და ჰმარ-
თებდა თავისივე ხანი. ხ(ოლო) ბირებითა მეჰთისათა შეიპყრა მარკიზ
მან ძმისწული მისი, ძე მაჰმად-|ასანისა ჯაფარ-ყული-აღა, ვინათგან 292v
ბიძაი მისი იყო მისა მტერ, ოდეს იგი ცდილობდა მემკვიდრეობასა
ზედან, ვინადგან იყო იგი უფროსისა ძმისა შვილი, ხოლო იგი განივლტო

6-7 დაყმინებულ]დაემინებულ AB. 9 რწმუნებოდა B. 10 ჰოსეინისათვის A. 17 შემ-ჭირვებულ საქართველოჲ B. 24 ტორმაზოვმან A. 27 სოფელსა] — A. 29 მეითიხან B. 31 მეჰითისა B.

* ბოლო სამი სიტყვა ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ. ამ ჩამატების შე-დეგად ტექსტი გაუმართავია.

საპყრობილით და მივიდა წ(ინაშ)ე აბაზ-მირზისა თავრიზს, და მარკიზიცა განვიდა მტკვარს მოსახილველად შაქისა, შირვანისა, დარბანდისა და ბაქოისა მით, რ(ამეთუ) დაეპყრათ ყოველი ესე ადგილნი რუსთა. მაშინ მახლობელ შუშისა იდგა, ასკარან წოდებულსა ადგილსა, რვა-ასი რუსი, დასაცველად ყარაბაღისა. წარმოუძღვა აბაზ-მირზასა ზემოხსენებული ჯაფარ-ყული, მოვიდა აბაზ და დაესხა თავს რუსთა. იქმნა მუნ ბრძოლა, იძლივნენ რუსნი სპარსთა რეგულთა სალდათთაგან, სარბასტად სპარსებრ წოდებულად, რ(ომე)ლიცა თანა ჰყვა აბაზ-მირზასა მით, რ(ამეთუ) შემოიღეს სპარსთა განსწავლება ფრანგთა მსგავსად მხედრობისა. მუნ იძლივნენ რუსნი, ოთხასნი უკვე მოსწ[ყ]ვიდნეს, ხოლო ოთხასნი შეიპყრნეს ტყვედ და წარიყვანეს თავრიზად და ჰყვეს თვისად სალდათად, მით რ(ამეთუ) სხვაცა მრავალი ჰყვა აბაზ-მირზასა რუსნი, რ(ომე)ლნიცა მარადის განივლტოდიან ქართლით და მივიდოდიან წ(ინაშ)ე მისსა, რ(ომე)ლიცა ფ(რია)დსა პატივსა უყოფდა მათ.

ხოლო მისლვადმდე მარკიზისა ყუბას წარმოიშვა მცირედი ბრძოლაჲ შ(ორი)ს|ხანბუთაისა, ფათალი-ხანის შვილის შიხალისა—დარბან-
293r დის ხანისა, და რუსთა. ხ(ოლო) ესე შიხალი იყო ხანი დარბანდისა, რ(ომე)ლსაცა რუსთა მიუღეს ყოველივე ადგილნი, გარნა იძლივნენ მცირედრე რუსნი და იგინიცა უკუნ იქცნენ დაღისტანადმდე.

მაშინ იყო შემჭირვება დიდი ქართველთა ზედან მარკიზისაგან. ესრეთ ართმევდიან ხშირად ურემთა და ჯართა საჴმარად მხედრებისა, რ(ომე)ლ კნინღა დაშთა ჯარი სოფელთა შ(ინ)ა; ეგრეთვე სადაც გან[ი]ვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა თჳნიერ თეთრისა და იყო ესრეთიცა სიყმილი, რ(ომე)ლ კოდი პური იყო ექვს მინალთუნად თეთრ ფულად; მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა ორისა წლისა პურისა მოკრეფა სურსათისა კახთაგან, ვინადგან სიმცირისა გამო მოსავლისა ვერ ძალ-ედვათ მიცემაჲ, და ბრძანა ყოველსა სოფელსა ეგზეკუციისა შთაყენებაჲ (ესე იგი იასაულთა), ორასისა და სამასისა თჳთოეულთა სოფელთა, და სადაცა მოვიდოდიან, იყო ვაება მათ ზ(ედ)ა მით, რ(ამეთუ) სცემდიან დედაკაცთაცა, და ჯელითა ჰკიდიან და ართმევდიან პურთა ძალით, თუმცაღა კახნი ევედრებოდიან, რ(ომე)ლ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი
293v მინალთუნი კოდში|და რ(ომე)ლთაცა არა აქუნდათ თეთრი, მაშინ ძეთა და ასულთა თჳსთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვის ვედრებაჲ მათი, და იყო ვალალება ერთა შ(ორი)ს. გარნა სხვათაცა ბოროტმოქმედებათა შ(ორი)ს ესეცა ქმნეს, რ(ომე)ლ თიანეთს მთვრალთა აფიცართა შეიპ-

---

17 შვილის შიხალისა] შვილიშვილისა B.

ყრეს დედაკაცი და საშოსა შთაასხეს ძაბრითა ღვინოჲ. ვერღარა მოით-
მინეს თიანელთა ესევითარი სირცხვილი და იქმნა შფოთი შ(ორი)ს
რუსთა და ქართველთა. ხ(ოლო) პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა
რუსთა მით, რ(ამეთუ) დაკოდეს თიანეთს ამბოხსა მას თიანელნი რაო-
დენნიმე. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიდნეს ყოველნივე რუსნი,
ვიდრე ასორმეოცდაათამდე და მუნით შთავიდნენ მატანს. მაშინ არა-
გვისპირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსთა. შთაეხმარნენ ფშა-
ველნი და მოსწყვიდნეს ყოველნი მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურს და
ანანურს და კამენდატი ანანურისა გამაგრდა ციხეთა შ(ინ)ა. მაშინ
ბარონ კლოტმა იარანალმან, რ(ომე)ლიცა იყო მოადგილე მარკიზისა
ტფილისს, ვინადგან მარკიზი ჟამსა მას იმყოფებოდა ბაქუს, წარავლი-
ნა არაგვიანთა ზ(ედ)ა პოლკოვნიკი უშაკოვი ათასითა მხედრებითა და
მუხრანბატონისშვილი კონსტატინე წარატანა თანა, რ(ამეთუ) ესე
კოსტა|ნტინე იყო ფ(რია)დი ერთგული რუსთა და არა კეთილობისა 294r
მოსურნე საპყართა ქართუელთა, და მოვიდა კობიანთ-კარსა და დაეს-
ხა კობიანთ თავსა. იქმნა მუნ ბრძოლა, იძლივნენ რუსნი და მოკლეს
რუსთი ასორმოცდაათი კაცი და სიღამემან განჰყარნა. მაშინ კონსტან-
ტინემ დაუწყო ტკბილი საუბარი, მოიტყუა ფიცით სამოცდაათნი კაც-
ნი არაგვსპირისანი. ჲი, უსჯულო სვინიდისი, მოასვრევინა იგინი რუს-
თა და მოწვა კობიანთ-კარი და დუშეთი. მუნით გარდავიდა რუსთა
მხედრობითა, მოწვა ანანური, პავლეური და ციხისძირი. ჟამსა ამას
მოვიდა ბულაჩაურზედ სხვა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა.
იქმნა მუნ ბრძოლა, იძლივნენ რუსნი ბულაჩაულერთაგან, მოკლეს წი-
ნამძღვარი მათი მაღალაშვილი სოლომონ და დაჰკოდეს კაპიტანი სა-
გინაშვილი ზურაბ. სცნა რა კოსტანტინემან, გარდაუძღვა ანანურით
რუსთა და მოაწვევინა ბულაჩაური ს(რული)ად.

ხ(ოლო) ოდეს შთავიდნენ თიანელნი მატანს, შემოეყარნენ მათ
მატანელნი და ახმეტელნი და მოსწყვიდნეს სრულიად მუნ მყოფნი
რუსნი და რაოდენნიმე ტუსისშვილებიცა დახოცეს მით, რ(ამეთუ) ეპ-
ყრათ მათ კერძო რუსთა. სცნეს რა ესე ყოველივე | კახთა, აღდგა
შფოთი დიდი ს(რული)ად კახეთსა შ(ინ)ა და იწყეს სრვა ყოველთა 294v
სოფელთა რუსთი, რ(ომე)ლიცა იდგა მათ შორის იასაულად, ეგზეკუ-
ცია წოდებულად; მივიდნენ და მოადგნენ თელავს. მაშინ გარდაიყვა-
ნეს მეფის ძის იოანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა და მოკრბნენ
ლეკნიცა ვ(იდრ)ე ოთხიათასადმდე შველად კახთა და ჰყვეს თჳს ზედან
კახთა თავათ ქობულოვი ოთარ. სცნა რა ესე პორტნეგინმა იარანალ-
მან, რ(ომე)ლიცა იმყოფებოდა საგარეჯოს, გარდააშველა თელავს
მყოფთ რუსთ სამასი სალდათი. მივიდნენ რა რუის-პირას, იქმნა მუნ

---

8 მუნ] — A. 16 ბრძოლა] + ძლიერი B. 26 სრულიად] — A. 36 თავათ] + თავადი B.

ბრძოლა, მოისრნენ რუსნი კახთაგან და რუსთა მძღვანიცა მაიორი ესიპოვი მოკლეს და ერთი სხვა მაიორი და ორი აფიცარნი და მცირედნი დანაშთნი შევიდნენ ციხესა თელავისასა.

მაშინ ქიზიყელთაცა მოსწყვიდნეს რუსნი და დანაშთნი დამაგრდნენ ციხესა სიღნაღისასა ორდღე. შ(ემდგომა)დ ორისა დღისა მიიღეს სიღნაღიცა, მოკლეს კამენდატი და სუდიები (ესე იგი მდივანბეგი რუსთანი) და ისპრავნიკი, აიკლეს ხაზინა რუსთა, ტყვია-წამალი და პური, რ(ომე)ლიცა აქუნდათ ამბართა მხედრობისათჳს. მუნით შთავიდნენ ყარახაჩს მძღვანელობითა მამაცისა სვიმონ ბებურისშვილისათა და მო-
295r ადგნენ ყარახაჩს და ლამოდნენ | გამოყვანასა მათსა, გარნა მოუსწრო ყაფლანმა ყაფლანისშვილმა, მაიორმან, ვაკით ათასითა მხედრებითა, დაუწყო ტკბილი საუბარი და ვედრებაჲ, და ვედრებითა მისითა განერა ყარახაჩს მყოფნი რუსნი, მუნ მოკლეს სიმონ ბებურიშვილი.

ჟამსა მას გარდავიდნენ კახნი საგარეჯოს, მოკრბენ საგარეჯოელნი, ჰბრძვეს პორტნეგინს. იძლივა პორტნეგინი და მივიდა ხაშმს; და კახთა მოსწვეს სადგურნი და თივანი რუსთანი და მიუხდნენ ხაშმზედ. იქმნა მუნ ბრძოლა შორის მიშველებულთა მხედრობათა რუსთასა, რ(ომე)ლსაცა მიაშველა პორტნეგინსა ირანალ* კლოტმან ხუთასნი უკვე მხედრობანი რუსთანი. მაშინ იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ მრავალნი და დანაშთნი წარვიდნენ ტფილისად და კახნიცა ალვიდნენ სამებას.

მაშინ მარკიზი მოსრულ იყო ტფილისს ბაქოით. სცნა რა ესე, მოიკრიფნა ყოვლის ადგილით რუსნი, წარემართა და მივიდა ხაშმს, შეესივა ხაშმსა და მოასრვევინნა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასადმდე ჩჩვილითურთ, მსგავსად იროდისა, და მუნ მოკლეს ხიშტითა მონოზონი აბაშიძის ასული მარიამ, ოთხმეოცისა წლისა დედაკაცი.

295v სცნეს რა კახთა, სამებას მყოფთა, ძალისა მორთვა მარკი|ზისა, გარდავიდნენ მთასა და მიიქცენ თვის-თვისად და მარკიზი მივიდა პატარძეულს, მოერთვა პატარძეული. გარდავიდა საგარეჯოს — მოერთვა საგარეჯო, მანავი და კაკაბეთი. მუნით შთავიდა ქიზიყს წინამძღვანველობითა ანდრონიკაანთათა, ვინადგან მათ ეპყრა კერძოჲ რუსთა და ონანაანთაცა ეპყრათ კერძოჲ რუსთა, ვინადგან გლეხთა სცნეს რა სიცბილი თავადთა, მოსწვეს სახლი სიმონ ანდრონიკაშვილისა და მოკლეს ონანაშვილი ოთარცა და მოსტყვენეს სახლი სოლომონ ანდრონიკაშვილისა. მუნ მოერთვნენ ქიზიყელნი და წარვიდა კახეთისა კერძ. მივიდა რა ჩუმლაყს, იქმნა ბრძოლა, იძლივნენ რუსნი, მუნ

5 სიღნახისასა A. 6სიღნახ-ცა A. 11 მხედრებითა]+და B. 34 ოთარცა]—A. 35-36 ჩუმლაყისა კერძ B.

*ეს სიტყვა ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

მოკლეს კახთა ყაფლანიშვილი ვახტანგ, სიძეჲ მეფის ირაკლისა, და დასჭრეს მუხლსა მამუჩიშვილი ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ვინადგან მათ ეპყრათ კერძოი რუსთა და პირისპირ მამულისა თჳსისა, [illegible] მტერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დაჭმუნდა ამას ზედან მარკიზი. წარდგა ზურაბიშვილი ნინია და უთხრა მარკიზს: „გიჩვენო მე გზაჲ ვაკე, უკეთუ მომცე ნიჭი რაჲმეო“. ამაზედან მხიარულ იქმნა მარკიზი, გაუძღვა მინდვრის გზით და მიიყვანა ჩუმლაყს. მივიდა რა ჩუმლაყს, მუნ სოფელსა შ(ინ)ა შეიპყრნა კაცნი ხუთნი და გამოჰკიდა ხეთა ზედან. იხილეს რა კახთა ტირანული საქმე ესე, შეიპყრეს მათცა ხუთი სალდათი და ერთი აფიცარი და მათცა მოჰკიდეს ძელსა ზედან, პირისპირ მარკიზისა, რომელსაცა სჭურეტდა თვით თვალითა თვისითა. მაშინ ზაზაცა, ძმაი ნინიასი, შეუჩინეს გრიგოლს და გრიგოლ მოცთუნა ზაზამ | ანდრონიკაშვილმან* და მივიდა მარკიზის წ(ინაშ)ე. 296r იხილეს რა გლეხთა ღალატი თავადთაგან, განრისხდნენ და დაეცნენ თავსა რუსთა ჩუმლაყის ბოლოს. ქ(ვალა)დ იძლივა მარკიზი, ხ(ოლო) გლეხნი შეეცალნენ ჩუმლაყისა სოფელსა. დღესა მეორესა მივიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა სოფელსა შ(ინ)ა ბრძოლა ძლიერი და მოწვეს რუსთა ჩუმლაყი. გარნა იხილა რა მარკიზმან, ვინადგან ვერ ძალუძს პირისპირობაჲ კახთა, ევედრა ზავსა და აღუთქვა კახთა, რ(ომე)ლ მოგგვრით მეფის ძეთა თქვენთა რუსეთით. ამას ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავ და მოჰგვარეს გაღმა-მხრელთ უმეტეს სამასისა სალდათნი შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რ(ომე)ლნიცა შეიპყრეს ამბოხსა მას, აღპარსულნი თმათანი, მით რ(ამეთუ) კახთა აღპარსნეს პყრობილთა მათ თავნი კიცხევისათჳს, ვინადგან გრძელისა თმისა ქონება რუსთა ჩუეულება არს, და მოყვანასა ზ(ედ)ა მეფის ძეთასა არწმუნა რა გული მარკიზმან კახთა, და დამყუდროვდნენ კახნი, მომლოდნელნი აღთქმისა მისისანი, რ(ომე)ლ განერებიან ჴელთაგან მოსამართლეთა და კაპიტან-ისპარავნიკთა რუსთასა. ჟამსა ამას გამოსცვალეს მარკიზი და ნაცულად მისსა წარ- 296v გზავნეს ღერანალ-ლეიტენანტი | რტიშჩევი და მას თანა წარატანეს შემწედ ღენარალ-მაიორი ახვერდოვი, პირველ ყოფილი ტფილისის ღუბერნატორად, გვარით პუპულაშვილი, ტფილისელი სომეხი**.

ოდეს მოვიდა ღენერალი რტიშჩევი ტფილისს, აღდგა ქ(ვალა)დ შფოთი კახეთსა შ(ინ)ა. ხ(ოლო) მიზეზი შფოთისა იყო ვერაგობა მაიასი, გარსევან ეშიკაღაბაშის მამუჩიშვილის ცოლისა, ამად რ(ომე)ლ

---

5-6 ნინია] + მოურავი მარტყოფისა B. 31 ტფილისის] — A. 32 კომეხი A.

*ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის ხელით.

**„გვარით... სომეხი“ ტექსტის ეს ნაწილი A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის ხელით. აქ წუდება B ნუსხის ტექსტი.

ვინათგან მარკიზმან დააყენა ძმაჲ მისი სოლომონ კახეთსა შ(ინ)ა მმართებლად, ხ(ოლო) კაცი ესე იყო სულელი და ჯელი, რ(ომე)ლიცა გამოსცვალა რტიშჩევმა მმართებლობისაგან და დედაკაცმან ამან პ(ირველა)დ ამისათჳს დაიდვა ძჳრი გულსა და მეორე ამათ, რ(ომე)ლი ვინათგან ქმარი მისი გარსევან მოიყიდეს რუსთა, და აღუთქვეს ორი ათასი სული ყმაჲ, ოდესაც ხელთ უგდოს ქართლი რუსთა და გარსევან ჟამსა ელჩობისა თვისისასა როსიად ორგულ ექმნა მეფესა გიორგის და მიავლო სახლსა მეფისას ნაცულად კეთილისა ბოროტი მით, რ(ამე)თუ) მეფემან ირაკლი აღადგინა სახლი მისი, მისცა ეშიკაღაბაშობა, და ნაფარეული, ყმად მუღანნი და ყაზახის მოურავობა და ჰყვანდა ვეზირად, წარგზავნილი ელჩად როსიად, გარნა კაცი ესე იდუმალ იყო ორგულ მეფისა და ქვეყნისა, ეგრეთვე შ(ემდგომად) მეფისა ირაკლისა მე-

297r ფემან | გიორგიმ აღამაღლა, განადიდა და განამდიდრა და ნაცულად სამსახურისა შეუდგა კუალსა იუდასსა და მსგავსად მისსა განჰყიდა საქართუელოჲ თჳნიერ ვერცხლისა ვ(ითარც)ა მან მოძღუარი თჳსი და შ(ემდგომა)დ სიკუდილისა მეფის გიორგისა, ოდეს ჴელთ იგდეს რუსთა საქართველოჲ, არღარა აღუსრულეს აღთქმაჲ, ჰყვანდათ პეტერბურღს გოზ-ტუსაღად, ამად რ(ომე)ლ რუსთაცა ორგულ ექმნა ჟამსა ერევანს ბრძოლასა რუსთა და ყიზილბაშთასა.

ხ(ოლო) დედაკაცმან ამან მოიბირნა თავადნი და იხმია ორღანოდ რაფაილ არაგვის ერისთავის შთამომავლობათაგან და იოანე ჯორჯაძე — ენისელთ მოურავი და ქვემო კახეთში ნინია ზაალის ძე ანდრონიკაშვილი, ამათ მოიმხრეს თავადნი კახთანი — ჩოლოყაშვილი დიმიტრი ძითურთ, ომან მაყაშვილი და სხუანი რაოდენნიმე კეთილშობილნი. ამათ შეიწივნეს დიდონი და აწნუხელნი რიცხვით ხუთ ათასამდე, გარნა ქისიყელნი ვერა მიიზიდნეს თვის კერძო; მხედრობა რუსთა არა მრავალი იყო მას ჟამსა მუნ და წინამძღუარიცა მათი არა დია გამოჩენილ. წარგზავნნეს თელავით ორასადმდე ქვეითნი ზარბაზნებითა მე-

297v შფოთეთა მათ ზ(ედ)ა დასასხმელად, რ(ომე)ლნიცა ჟამსა მას იმყოფებო|დეს ლალის-ყურსა შ(ინ)ა.

პ(ირველა)დ იძლივნენ რუსნი და შ(ემდგომა)დ მიაშველნეს ახალი მჴედრობაჲ რუსთა ზარბაზნებითურთ და შევიდნენ რუსნი ხსენებულსა ამა სოფელსა და განჰყარნეს მუნით კახნი და ლეკნი.

გარნა შ(ემდგომა)დ არ დამცუელნი კანონისა კახნი განფანტულ იქმნენ სასმელად, რ(ომე)ლიცა აქუსთ ჩვეულებად ესე ვნება, რ(ომე)ლთაცა მოაკლდათ მაშინ მათ ორმეოცდაათადმდე კეთილშობილნი თჳნიერ ომისა და კ(ვალა)დ დანაშთთა სძლეს რუსთა ნაფარეულსა შ(ინ)ა. ვნებამან ამან რუსთამან განამხნო კახნი, რ(ომე)ლთა განიგუ-

---

22-23 ანდრონიკაშვლი A. 26 როსთ: A.

ლეს წარვლენად უწყებითა ამით მეფის ძის ალექსანდრესადმი ერევ-ნად თავადი მაყაშვილი* ომან და ანდრონიკაშვილი იოსებ ერთად ყ(ოველ)თა მათგან ჴელმოწერილითა წერილითა, რ(ომ)ლ(ი)თაცა [illegible]-ცვდენ მას კეთილ წარმართებასა და აწვევდნენ მოსლვად მისთვის გან-მზადებულსა ქვეყანასა შ(ინ)ა.

მაშინ წარავლინა ღენერალმა რტიშჩევმა ღენერალ შტალი ათას ორასითა მხედრობითა ქიზიყით კერძო და შ(ემდგომა)დ თავადი ორ-ბელიანი დიმიტრი გომბორით კერძო.

ხ(ოლო) ღენარალმან შტალმან თანა წარიყვანნა ქისიყით კერძონი თავადნი დასამშვიდებლად მეშფოთართა მათ თა|ვადთა გარდუხდევ-ნებლობისა აღთქმითა სახელითა მთავარმმართებელისათა. 298r ესე წინა-მიღება ღენარალსა მას კეთილად წარემართა და შემოიზავნა თავადნი ვ(ითარ)ც(ა) აღთქმითა, ეგრეთუე თეთრითა და მოიყვანნა იგინი თელა-ვად, სადაცა გომბორით შ(ემდგომა)დ მცირისა ომისა გარდმოსრულ იყო თავადი ღენერალი ორბელიანი დიმიტრი, ძე ზაალისა, და მუნ აღასრულებინესცა მათ კ(ვალა)დ ერთგზის ფიცი. (აჰა დასრულდა შფოთი იგი);

ხ(ოლო) წარგზავნილნი იგი ზემოხსენებულთა კახთაგანნი მიიწივ-ნენ რა მეფის ძის ალექსანდრესადმი ერევანს, მყისვე სპარსნი შეუდგ-ნენ მღვძარედ პოლეტიკებრსა მოქმედებასა ზავისა დასამტკიცებლად, მიიწვიეს ღენერალი რტიშჩევი არეზის კიდედ, რათა განაშორონ იგი მხედრობითურთ საქართველოსა და ესე მოქმედება წარემართაცა მათ კეთილად, მიხედვისამებრ დაწყობილებისა მათისა და შემოუშვეს ალე-ქსანდრე მეფის ძე კახესა შ(ინ)ა თჳნიერ ჯარისა და ხაზინისა, რ(ო-მე)ლმანცა გარდმოვლო თრიალეთი და განვიდა კოწახურას და მივიდა თიანეთს.

ესე მივიდა რა თიანეთს, პ(ირვე)ლთა შინა რიცხვთა სეკდემბრისა თა შეკრიბნა მუნ სპანი ფშავთა, ხევსურთა, თუშთა და ვლიდა იგი სოფლითი სოფლად, რ(ომე)ლთაცა მცხოვრებნი განამრა|ვლებდიან 298v რიცხუსა სპათა მისთასა. გარდა მათსა, მოუწოდა ლეკთა და მივიდა ალი სკანტი, ნათესავი ომარ-ხან ავარელისა, სამი ათასის კაცითა და შეე-ყარნენ იგინი ალექსანდრეს და შ(ემდგომა)დ ერთისა კვირისა ბრძოლა უყვეს მისრულს პოლკოვნიკს ტიხანოვსკის და დამარცხდა ტიხანოვსკი ყვარელში**.

მერმე კ(ვალა)დ მივიდა კახეთს ქისიყით კერძო ღენერალი ორბე-ლიანი დიმიტრი ჯარითა, ხ(ოლო) რუსნი და კახნი შეიბნენ მხნედ ერთ-

---

33-34 ტიხანოვცკი ყვარელში A.

*აქ ტექსტში იყო „ჩოლოყაშვილი“, რომელიც დავით ბატონიშვილს მაყაშვილით შეუცვლია.

**ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

გზის შილდას და შემდგომად — ველისციხეს, ოდესმე რუსნი იძლევოდიან და ოდესმე კახნი.

შ(ემდგომა)დ შეიბნენ ფაფრის მინდორს. მუნ ვერა რ(ომე)ლმანმე სძლო ურთიერთას და უკანასკნელ შთავიდა ალექსანდრე ქიზიყს, შეიბნენ ნუკრიანში და გამოყარეს რუსნი.

ქ(ვალა)დ სიღნახის ბაზარსა შ(ინ)ა მოსწყვიტნეს დანაშთნი რუსნი და მუნ ორგულ ექმნენ ქისიყელნი ალექსანდრეს და კახთა ამად, რ(ომე)ლ იოსებ ენდრონიკაშვილი და ნინია ერასტისშვილი მოიყიდა რტიშჩევმან თეთრითა და იოსებს მისცა მოურაობა ქისიყისა. მუნით მოვიდა ალექსანდრე ქოდალას. მუნ შეიბნენ რუსნი და კახნი და იძლივნენ რუსნი.

ჟამსა ამას მოიბირნა რტიშჩევმან ყაზახთა ელნი საშუალობითა სომხისა ბუბუთაშვილის იოსებ მისკარბაში|სათა, რ(ომე)ლიცა იყო
299r მუნ მოურავად და წარსწყვიტნეს ამათა გარე კახეთი. ამან მოაკლო დიადი ძალი კახთა და მხნური ესე მოძრავობა მათი იწარმოვა ვიდრე ახლორე მანავისა, სადაცა ღენერალი სვიმონოვიჩი მოვიდა შესაწევნელად შესვენებულითა ჯარითა თვისითა, და მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი, სადაცა იძლივნენ ქართველ-ლეკნი, ხ(ოლო) მიზეზი ძლევისა კახლეკთასა იყო ესე, მით რ(ამეთუ) ელევთერი, წინამძღვარი კარისა, ზუკაკისშვილი შეუჩინა რტიშჩევმან ყვარელელთა და შილდელთ და გააცალა ამან იგინი და ალექსანდრე მაყაშვილმან, მეფის გიორგის ეშიკალაბაშმან ძემან სჳმონისამან, კაცმან მამულისა ორგულმან*.

ხ(ოლო) ლეკთა განვლეს იორი და მეფის ძე ალექსანდრე გარდავიდა და სწრაფით (!) თიანეთად წარვიდა, მუნით ფშავად და მუნით ხევსურად და აწ იმყოფება ანწუხსა** შინა.

ოდეს მიიწია რტიშჩევი არეზად, მუნით წარგზავნა ღენერალი კიტლარევცკი ძლიერითა მხედრობითა შაჰზადა აბაზ-მირზასა ზ(ედ)ა, მუნ დაესხა კიტლარევცკი ღამით უეცრად სპარსთა ასლანდუზ მყოფთა და სძლო მათ, ვინადგან სპარსნი დანდობილ იყვნენ ლაპარაკსა რტიშჩევის შერიგებისას, და მუნით წარგზავნა ლანქარანსა ზ(ედ)ა. მუნ იყო სანგარი, სადაცა იდგა მცირე მხედრობა სპარსთა, რ(ომე)ლიც
299v შეებნენ და მოუხდათ ომი და დაიკოდა თვთონ იარა|ნალი კიტლარევცკი პირში საშინლად და ოცდაათამდი აფიცარი მოკუდა და დაიკოდა და ათასი სალდათი მოკუდა, გარნა უკანასკნელ აღიღეს რუსთა სანგარი იგი. შ(ემდგომა)დ ჰყვეს პაემანითა ზავი რუსთა და სპარსთა და

---

24 და სტაფით A.

*„და ალექსანდრე... ორგულმან“ ტექსტის ეს ნაწილი A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის ხელით.

** სიტყვები „წარვიდა“, „ანწუხსა“ A-ში შეტანილია დავით ბატონიშვილის ხელით.

წარუგზავნეს სპარსთა რუსეთისა კარსა ელჩი თვისი აბულ-ასან-ხან შირაზელი.

ოდეს წავიდა რა ალექსანდრე ფშავსა, უკანა გაეკიდნენ გენერა-ლნი სიმონოვიჩი და სტალი ძლიერითა მხედრობითა, აღვიდნენ ფშავს, მით რ(ამეთუ) ფშავნი არა წინა აღუდგნენ და თუშებითურთ გარდაუ-ძვლნენ მხედრობათა რუსთასა ხევსურეთს და წარატყვენვინეს ვიდ-რე კისტანადმდე. ხევსურთა ვერა იკადრეს ბრძოლა მათი, ვინათგან სოფელთა და სოფელთა აქუნდათ ურთიერთარს მტერობაჲ. ოდეს და-ბრუნდა მუნით რუსთა მხედრობა, მოასწრეს წყალ-წყულში ხევსურთა, იძლივნენ რუსნი და მოკუდა უმრავლეს ხუთასისა და დასჭრეს მუნ ყაფლანიშვილი ყაფლან, მაიორი.

მოიწია რა რტიშჩევი ტფილისად, მოინდო ფიცით* კახნი თავადნი და გლეხნი და მოენდვნენ, ვინათგან რტიშჩევი ჩემობდა მლოცაობასა და ესე ვერა სცნეს ცუდმორწმუნეთა | მათ, რ(ომე)ლ მგელი ესე მო- 300r
სილ იყო ტყავითა ცხოვართათა და აღსავსე ყოვლითა სიდრკუითა და სიცრუითა.

შეიპყრნა მან მრავალნი თავადნი, აზნაურნი, სამღუდელონი და გლეხნი და წარგზავნნა ციმბირად, და ვიეთნიმე უბრალონიცა მრა-ვალნი მოკლნა მით, რ(ამეთუ) წინადღეს ყანდაარელი გოგია მოა-კვლევინა წკეპლითა და მეორესა დღესა, ოდეს სცნა უბრალოება მისი, მიუტევა დანაშაული თვისი; და მოკლედ ვსთქვა, კაცი ესე იყო ფრიად მოქრთამე — ვინცა მისცემდის ქრთამსა, გაუშვებდის, და ვინცა არა — წარგზავნიდის ციბირსა; და გარდა ამისსა იყო შტერ-ცა**.

გაგზავნა ამან, მეორემან შაჰ-აბაზ, იანარალი ყაფლანიშვილი დი-მიტრი კახეთს და გარდააწვევინა კახეთი და მრავალი აღიღო ჯარიმა, თუმცა ჴელმწიფემან მოიღო მოწყალება და უკანვე მიცემა ბრძანა წა-ნართმევისა, გარნა რტიშჩევმან ამან, სიმონოვიჩმა და დიმიტრი ყაფ-ლანიშვილმან გაიყვეს წანართმევი ესე თეთრი და არწმუნეს კარსა რუსეთისასა უკუნ ზღუევა წანართმევისა სიცრუით.

გამოსცვალეს რტიშჩევი და წარგზავნეს იარანალი ერმალოვი. კაცი ესე არა იყო უგუნურ, არამედ იყო ქუეგან | მხედველ, ქუებუ- 300v
დან, მცბიერ და ფიცხელ; ესე წარვიდა რუსეთისა კარისაგან ელჩად ყაენისა ბაბა-ხანისა წინაშე და მუნით მოვიდა რა ტფილისს, შემოარ-ღვია ამან ზღუდენი ტფილისისანი, და რაოდენნი ნაწილნი ციხენიცა დააქცია და გარდა ამისა, მოჰყვა ნგრევასა ტფილისისასა, რათა აღა-

*ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია დავით ბატონიშვილის მიერ.

**„და გარდა... შტერცა“ — ტექსტის ეს ნაწილი A-ში შეტანილია დავით ბატო-ნიშვილის მიერ.

შენოს მან პლანითა. ამას ზ(ედ)ა ფ(რია)დ ურვეულ იქმნენ და შეწირ-ვებულ ტფილისსა შინა მცხოვრებნი.

ამან წარგზავნა მაღლა მდოვლეთსა ზ(ედ)ა ერისთავის შვილი გიორგი ირანალი სამასითა რუსითა, ერთითა ზარბაზნითა და ათასადმ-დე ქართველითა. მიიწივნენ რა ტბასა მაღლა მდოვლეთისა, შეემ-თნენ მუნ ოსნი, იძლივნენ მუნ რუს-ქართველნი და მოკუდა მუნ უმეტეს ას ორმეოცისა რუსი და სამასადმდე ქართველნი და მიუღეს ოვსთა ზარბაზანი, რ(ომე)ლიცა დაახსნევინეს უკანვე სამოც თუმნად თეთრს ფულად.

გამოსცვალეს რუსთა ექსარხოზი ვარლაამ ერისთვის ძე, რ(ომე)-ლიცა ნაცვლად კათალიკოზის ანტონისა წარეგზავნათ განკარგვისათ-ვის ეკლესიურთა საქმეთასა, გარნა იხილეს რა რუსთა უღვწელობაჲ და უვარგებლობა ჰისი ყ(ოველ)სა შ(ინ)ა საქმესა, გამოსცვალეს იგი 301r და მიიყვანეს | როსიად და ნაცვლად მისსა წარგზავნეს არხიეპისკოპო-სი რეზანისა თეოფილაკტე, კაცი მეცნიერ და ფილოსოფოსი და გა-მოჩენილი სწავლასა და სიბრძნესა შ(ინ)ა ყოველსა ევროპასა.

*ხ(ოლო) წელსა ჩყუჱ-სა, იარანალი ერმოლოვი შევიდა ჩაჩანსა შინა ქერა (Sic) ვერა რაჲ ჰყო მუნ, მით რ(ამეთუ) შეებნენ ჩაჩნელნი მჴნედ და მოკლეს მრავალნი კაცნი და მუნით გამოსულმან აღაშენა საზღვარსა ზედა მათსა ციხეჲ მცირე და უწოდა საჴელად (გროზნა) ესე იგი მემუქარე.

და ვინათგან სწადდათ ლეკთა გამოდევნა შამხალისა ამისთვის წარვიდა საშველად, მივიდა ანდრიას და თარღუს, დაჰყო რა მუნ მცი-რედი ჟამი, წარემართა დაღისტანზედ და შევიდა მამულთა სულთან აჰმად-ხანისათა და მოწვა რაოდენი სოფელნი ლეკთანი თვინიერ ყოვ-ლისა საგანისა. მას ჟამსა შეკრბენ ლეკნი, უყვეს მას ბრძოლა, იძლივ-ნენ რუსნი და დაჰკარგეს უმეტეს ათასისა კაცისა და წამოვიდა ერ-301v მოლოვი უკან და გადავიდა თვით | ტფილისს.

ამავე წელსა წარავლინეს სპარსთა ევროპასა შინა კარსა კეისრისა-სა ფრანცუზისა და ლონდონისასა, სპარსი მირზა აბულ-ასლან-ხან და კარსა რუსეთისასა მამად-ასან-ხან ავშარი. ამა უკანასკნელსა წარატანა ყაენმან რუსეთის იმპერატორისათვის რაოდენნიმე შვენიერნი ცხენნი და სთხოვა რუსეთის კარსა, რათა მემკვიდრედ სპარსეთისა შემდგო-მად ბაბა-ხანისა აღსარებულ იქმნეს მემკვიდრედ ძე მისი აბაზ.

ხ(ოლო) ვინათგან კაცთა საქართველოსა იწყეს ლტოლვა ციბირით და განივლტნენ შამშადილის აღალარნი ალი-ყული-ბეგ, აღაიარ-ბეგ და სხვანი ბუხარადმდე და მუნით სპარსეთად, ამისათვის რუსთა გა-ნუტევეს სიბირით ყოველნი ქართველნი თავეთთა სახლთა შინა, გარნა რომელნიმე დაშთეს მუნვე.

---

* 17 ერმილოვი A. ტექსტის ეს ნაწილი ბოლომდე A-ში შეტანილია დავით ბატო-ნიშვილის ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## РЕЗЮМЕ

Целью данного труда является критическое изучение текста «Новой истории» — нарративного источника по истории Грузии второй половины XVIII — первой половины XIX вв., а также историографический анализ истории изучения этого памятника.

В специальной литературе автором «Новой истории» принято было считать Давида Багратиони (старшего сына Георгия XII). В связи с этим в труде дается критический обзор истории изучения памятника, рассмотрены соображения исследователей о личности его автора и опровергается утвердившееся в историографии мнение об авторстве Давида Багратиони (М. Джанашвили, Л. Асатиани, Т. Ломоури и др.). На основе изучения рукописей текста и их взаимосвязи установлен первичный список (Институт рукописей, S—3860, из коллекции Теймураза Багратиони), представляющий собой авторский подлинник, отредактированный Давидом Багратиони; а текстологический анализ памятника и его сопоставление с сочинением Теймураза Багратиони «История Давида Багратиони» дает основание предполагать, что автором «Новой истории» является не Давид, а Теймураз Багратиони (младший брат Давида), а Давид только лишь отредактировал ее. Кроме того, в исследовании установлены хронологические слои памятника (I—1811—1814 гг., II — 1815—1817 гг. III — 1818—1819 гг.) и критически рассмотрены излагаемые в нем сведения.

При создании «Новой Истории» автор преследовал определенную цель: этот текст должен был продолжить повествование «Картлис цховреба» (Истории Грузии) с середины XVIII до первой половины XIX вв., т. к. созданные до него произведения Папуны Орбелиани и Омана Херхеулидзе не доходили до конца XVIII века (первое из них охватывает пе-

риод с 1739 по 1758 г., а второе — с 1722 по 1788 г.), а период с 90-х годов XVIII века отображен в сохранившихся до нас документальных материалах, которые не дают возможности полностью восстановить политическую жизнь страны. Благодаря этому, значение «Новой истории» возрастает, т. к. она является единственным нарративным источником, в котором последовательно и с хронологической точностью переданы важнейшие события по истории Грузии этого периода, и в частности, ликвидация царской власти и установление русского правительства в Грузии. При этом не подлежит сомнению достоверность этих сведений, так как они принадлежат современнику, члену царской семьи, осведомленному о политических событиях в стране.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საძიებლები

## პირთა სახელები


აბას-მირზა 36, 71, 78, 80, 86, 88.
აბაშიძე ანნა 48
აბაშიძე დავით 74, 76
აბაშიძე დიმიტრი 76
აბაშიძე ზაალ 48
აბაშიძე იოანე 55
აბაშიძე იოსებ 76
აბაშიძე ლეონ 74, 76
აბაშიძენი 59
აბაშიძის ასული მარიამ 82
აბაშიძე ქაქუჩელა 75
აბდულა-ბეგი (არჩილი), ძე იესე მეფისა 46
აბულ-ასან-ხან შირაზელი 87, 88
აგიაშვილი 77
ადილ-შაჰი (ალი-ყული-ხანი) 45, 46, 64
ავალიშვილები 75
ავთანდილ, ძე მელიქისა 54
აზად-ხანი 48, 51
აზრათ-ყული-ბეგი მარტყოფელი 56
ალაიარ-ბეგი 88
ალექსანდრე I 68
ალექსანდრე ბაქარის ძე 58
ალექსანდრე ბატონიშვილი 32, 35, 36, 38, 64, 65, 67, 71, 77, 85—87
ალექსანდრე, სოლომონ I შვილი 58
ალი-ბეგი 17, 62, 66
ალი-მურად-ხან ზენდი 64
ალი-სკანტი 85
ალი-სულთანი (შამშადილისა) 63
ალი-ფოლადი 66
ალი-ყული-ბეგი 88
ალი-ყული-ხანი — იხ. ადილ-შაჰი
ალი-ხანი 46
ამილახვარი ელენე 36
ამილახვარი ოთარ 64
ამილახვრიშვილი ალექსანდრე 52
ამილახვრიშვილი გივი 61
ამილახვრიშვილი გიორგი 52
ამილახვრიშვილი დიმიტრი 52
ამირ-ასლან-ხანი 45—47
ანდრონიკაანნი 82
ანდრონიკაშვილი ზაზა 83
ანდრონიკაშვილი იესე 55
ანდრონიკაშვილი იოსებ 85, 86
ანდრონიკაშვილი მელქისედეკ 76, 77
ანდრონიკაშვილი ნინია ზაალის ძე 84
ანდრონიკაშვილი სიმონ 82
ანდრონიკაშვილი სოლომონ 82
ანტონ კათალიკოზი, იესე მეფის ძე 24, 35, 45, 49, 51, 54, 60
ანტონ კათალიკოზი, ერეკლე II-ის ძე 58, 60, 88
არტაქსერქსი 24
არღუთაშვილი მიქელა 61, 62
ასათიანი ლევან 12, 13
აღა-მაჰმად-ხანი 16, 27, 40, 42, 64, 66—68, 70
აღა-ქიში 49
ახვერდოვი (პუპულაშვილი) 33, 77, 83
აჯი-ჩელები 48, 49
აჰმადი, თურქეთის სულთანი 55

ბაბა-ხანი 67, 71, 72, 74, 87, 88
ბაგრატ ბატონიშვილი 11, 13, 14, 19, 20—22, 25, 26, 28, 31—34, 40, 43, 67—68
ბარათიანი 46
ბარამიძე ალექსანდრე 14
ბაუმეისტერი 51
ბაქარ ბატონიშვილი (ვახტანგ VI ძე) 58
ბაღაანი 55
ბახტაძე გ. მ. 10—12
ბებუთაშვილი იოსებ 86

ბებურიანნი 18, 62
ბებურიშვილი პაპა 48, 49
ბებურიშვილი სვიმონ 82
ბერჟე ადოლფ 42
ბერძენიშვილი ნიკო 10
ბორტიშვილი ბაადურ 77
ბოსტაშვილი 48
ბროსე მარი 9, 29

გაჩეჩილაძე ია 23, 24
გიორგი XII 9, 12, 15, 18, 20, 29, 30, 40, 53, 56, 57, 60, 66, 67, 69, 84, 86
გიორგი ძე მელიქისა 54
გრიგოლ ბატონიშვილი (იოანეს ძე) 81, 83
გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე 30, 35, 38, 73
გულიაკოვი 70, 71
გულმაჰმადა სარვანელი, შარიფის ძე 18, 62

დადიანი გრიგოლ 60, 63
დადიანი ლეონ 75, 76
დადიანი მანუჩარ 63
დავით არჩილის ძე იხ. სოლომონ II
დავით აღმაშენებელი 73
დავით ბატონიშვილი 9, 10, 12—17, 19—21, 23—25, 27, 28, 30, 32, 33—35, 39, 40, 60—69, 72, 78, 79, 82, 83, 85—88
დავით გიორგის ძე, იმერთა მეფე 53, 60, 61
დავით რექტორი 23, 25, 33, 93
დარეჯან დედოფალი 24, 36, 48, 69, 70
დვალიშვილები 75
დიასამიძე 59
დომენტი კათალიკოზი 23
დურა-ხან ბეგი 46

ეგნატე, ონისიმეს ძე, მთავარდიაკონი იხ. იოსელიანი ეგნატე
ეკატერინე II 25, 35, 58, 66, 67
ელენე, დავით ბატონიშვილის მეუღლე 13, 25, 67
ელისაბედ ბატონიშვილი 52
ელისაბედ პეტრეს ასული, რუსეთის იმპერატორი 50
ენაკოლოფაშვილი, მირზა გურგინა 55, 58
ენდრონიკაშვილი ზაალ 65
ენდრონიკაშვილი იესე 55
ენდრონიკაშვილი რევაზ 55
ენდრონიკოვი პაპუა 55
ენუქიძე თინა 15
ერასტიშვილი ნინია 86
ერეკლე II 13, 15, 17, 18, 20, 25, 26, 29, 30, 35, 40, 46—58, 60—62, 64—69, 84
ერისთავი გიორგი 88
ერისთავი ვარლამ, ეგზარხოსი 88
ერისთავი რაფიელ 84
ერისთავი როსტომ 53
ერისთავი გიორგი 57
ერისთავისშვილი ალაბაბა 53
ერისთვის ძე მიხაილ 61
ერისთვის ძე რომანოზ 68
ერმოლოვი 34, 42, 87, 88
ესიპოვი (ოსიპოვი), მაიორი, 82

ვახტანგ VI 52, 58, 69
ვახტანგ ბატონიშვილი 29
ვახუშტი ბაგრატიონი 12, 23, 27, 39, 42

ზავალიშინი 72
ზაქარია, ქიზიყის მოურავი 61, 64
ზაქი-ხან 64
ზუბოვი ვალერიან 66
ზუკაკიშვილი ელევთერ 86
ზურაბიშვილი ზაზა 83
ზურაბიშვილი ნინია 83

თაზიშვილი ტარიელ 45
თარხანი გიორგი, ბორჩალოს მოურავი 52
თარხნიშვილი 75, 77
თარხნიშვილი იორამ 48
თაქთაქიშვილი ელიზბარ 52
თაყაშვილი ფარემუზ 49
თეიმურაზ II 15, 19, 20, 26, 34, 40, 45—51
თეიმურაზი, იმერთა მეფის სოლომონ I-ის ბიძაშვილი 53
თეიმურაზ ბატონიშვილი 10, 15, 16, 18, 22—24, 27—30, 34—40, 69, 71, 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოფილაქტე, რიაზანის არქიეპისკოპოსი 34, 88

იბრაიმ-ხანი 56, 59, 60, 65—67, 71
იბრეიმ-ბეგ ხერთვისელი 55
იბრეიმ-შაჰი (იბრეიმ-ხანი, ბეგლარ-ბეგი ისპაანისა) 45—47
იესე მეფე 45, 49, 54, 60
იოანე ბატონიშვილი 13, 19, 23, 26, 30, 61, 63, 65—67, 81
იოსელიანი ავთანდილ 41
იოსელიანი ეგნატე 13, 25, 67
იოსელიანი პლატონ 39, 42, 43
ირაკლი — იხ. ერეკლე II
იულონ ბატონიშვილი 13, 26, 32, 57, 60—62, 64, 68, 71, 77
იშიყ-ბეგ 17, 18, 62

კავალინცკი (კოვალენსკი) 68
კალატოზიშვილი 75
კარიაგინი 71, 72
კეკელიძე კორნელი 13
კიტლარევცკი იხ. კოტლიარევსკი
კიკნაძენი 74, 76
კლოტი (კლოდტი) 81, 82
კნორინგი 11, 68
კობიაანი 81
კორსიკოვი — იხ. რიმსკი-კორსაკოვი
კოტლიარევსკი 86
კოხტა ბელადი 51, 54

ლაზარევი 69
ლარაძე პეტრე 35, 37, 78
ლევან ბატონიშვილი 35, 54, 57, 58
ლეონ ბატონიშვილი (იულონის ძე) 77
ლისანევიჩი 28, 79
ლომოური თამარ 10, 11, 13, 14, 19, 20, 26, 27, 31, 34
ლომსაძე შოთა 41
ლუთვალი-ხან (ლუთფ-ალი-ხან) ზენდი 64

მაია, გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე 83
მამად-ხან-ყაჯარი 45, 47
მამუჩიშვილი ალექსანდრე იხ. ჭავჭავაძე ალექსანდრე
მარიამ დედოფალი, გიორგი XII მეუღლე 69
მარიამ დედოფალი, სოლომონ I მეუღლე 77
მარიამ, სოლომონ II-ის დ. 77
მაღალაშვილი სოლომონ 81
მაჩაბელი ლუარსაბ 77
მაყაშვილი ალექსანდრე სვიმონის ძე 86
მაყაშვილი ომან 84, 85
მაჰმად-ალი-ხან 74
მაჰმად-ასან-ხან ავშარი 88
მაჰმად-ასან-ხან განჯელი 52, 56, 63
მაჰმად-ასან-ყაჯარი 50, 64
მაჰმად ბეგი 17, 62
მაჰმად-ხან (ერევნის ხანი) 58, 59
მაჰმად-ხან (შაქის ხანი) 60
მაჰმად-ხან-ყაჯარი 45, 47
მაჰმუდ II, თურქეთის სულთანი 73
მესხი პეტრე 23
მესხია შოთა 29, 36, 37, 39
მესხიშვილები 23
მესხიშვილი ალექსი 23
მესხიშვილი გიორგი 23, 25
მესხიშვილი გრიგოლ 23
მესხიშვილი ნიკოლოზ 24
მესხიშვილი სოლომონ 23—25
მეჰთი-ხანი 79
მირიან ბატონიშვილი 58
მირზა ბუზურგ 75
მონტრეზორი 71
მუსა-ბეგ ირილელი 45
მუსტაფა IV, თურქეთის სულთანი, 73
მუხრანბატონი იოანე 59, 64
მუხრანბატონი კონსტანტინე 50
მუხრანბატონიშვილი კონსტანტინე 81
მუხრანბატონიშვილი სვიმონ 53

ნადირ-შაჰი 40, 45—47, 64, 66
ნაზაროვი იოსებ 9
ნამორაძე ერასტი 49
ნესვეტაევი 73
ნურსალ-ბეგ ავარელი 34, 49, 55, 56, 59

ომარ-ხან ავარელი 59, 66, 67, 85
ონანაანნი 82
ონანაშვილი ოთარ 82
ორბელი რუსუდან 9, 22, 30
ორბელიანი პაპუნა 40—42

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბელიანი დავით 62
ორბელიანი (ყაფლანიშვილი) დიმიტრი 70, 75, 76, 85, 87
ორბელიანი ზაალ 85

პაატა ბატონიშვილი 52
პაატა (ქიზიყის მოურავის შვილი) 55, 57
პავლე I 58, 66—68
პაულუჩი 35, 77, 78, 80—84
პოტემკინი (პოტიომკინი) 58
პორტნიაგინი 81, 82
პუპულაშვილი — იხ. ახვერდოვი

რაიმ-ხანი 59
რატიშვილი ბეჟან 49
რიზა-ყული-მირზა 46
რიზა-ყული-ხან 56
რიმსკი-კორსაკოვი 66
როგავა აპ. 15
როზენი, ბარონ 76
რტიშჩევი 33—35, 38, 83—87

სააკაძე ზორაბ-ხან 45
საამიშვილი ედიშერ 51
საამ-შაჰი 46
საბინინი მიხეილ 32
საგინაშვილი ზურაბ 81
სამაილოვი 58, 59
სანი (თიქნისელი) 14, 17, 62
სელიმ III, თურქეთის სულთანი 73
სიმონაშვილი, ალა ტერ-სიმონაშვილი 13, 25, 67
სიმონოვიჩი 75, 76, 86, 87
სოლაღაანი 75
სოლომონ I 51, 53—55, 58
სოლომონ II 60, 61, 63, 64, 74, 75, 77
სოლომონ (ავალიშვილი გარსევან ჭავჭავაძის ცოლისძმა) 84
სულეიმანი (ბაბა-ხანის სარდალი) 71
სულეიმან ათაბაგი 55, 58
სუხოტინი 35, 54
სტალი (შტალი) 85, 87

ტიხანოვსკი 85
ტორმასოვი 27, 35, 73—75, 77—78
ტოტლებენი 35, 53
ტუსიშვილები 81

უსეინ ყული, ერევნის ხანი 57, 58
უსეინ-ხან შაქელი 55, 56
უსუფ ფაშა 73
უშაკოვი 81

ფათალი-ხან ავშარი 51, 52
ფათალი-ხან ყუბელი 56, 60, 80
ფანა-ხანი 47, 52
ფარნაოზ ბატონიშვილი 32, 35, 71
ფარსმან მეფე 23, 24
ფრონელი ალექსანდრე 43
ფურცელაძე დავით 15

ქალბალი-ხანი 59
ქართველიშვილი იოანე 41
ქარიმ-ხანი (ქერიმ-ხანი) 50—52, 56, 64
ქეთევან დედოფალი, გიორგი XII-ის მეუღლე 56
ქობულისძე სოლომონ 49
ქობულოვი ოთარ 81
ქუთათელაძე ლილი 23

ლესსენ, რეინ ფელსანგის პრინცი 58
ლუდოვიჩი — იხ. გუდოვიჩი

ყანდაარელი გოგია 87
ყაფლანიშვილი დიმიტრი — იხ. ორბელიანი დიმიტრი
ყაფლანიშვილი ვახტანგ 83
ყაფლანიშვილი ყაფლან 82, 87
ყაუხჩიშვილი სიმონ 10
ყოჯა-ბეგ გუდუზლელი 45
ყუბანეიშვილი სოლომონ 29
ყულამალი, ერევნის ხანი 58

შავერდი-ხანი 52, 56, 59
შაზადა 58
შარაძე გურამ 26
შარიფ-ფაშა 75, 77
შარუხ-მირზა (შარუხანი) 46, 47, 66
შაჰ-აბაზი 87
შიხალი (დარუბანდის ხანი) 80
შუქურლა (ნახჩევნის ხანი) 55

ჩოლოყაშვილი დიმიტრი 84
ჩოლოყაშვილი დურმიშხან 53
ჩონჩოლ-მუსა 50, 51
ჩუბინაშვილი დავით 9—12, 27

ჩხეიძენი 76

ციციშვილი გლახა (ქაიხოსროს ძე) 51
ციციშვილი გლახა 52
ციციშვილი ზაქარია 61
ციციშვილი (ციციანოვი) პავლე 35, 38, 69—72

წერეთელი ზურაბ 63, 64, 75, 76
წერეთელი პაპუნა 63, 76
წერეთელი როსტომ 76
წერეთლის სახლი 61
წერეთლის ყმა, კერკეტონი 74

ჭავჭავაძე (მამუჩიშვილი) ალექსანდრე 83
ჭავჭავაძე (მამუჩიშვილი) გარსევან 83 84
ჭიჭინაძე ზაქარია 10, 11

ხანზუთაი 80
ხერხეულიძე ნიკოლოზ 45
ხერხეულიძე ომან 40—42
ხიდირბეგიშვილი როსტომ 54
ხოჯახ-ლეკი 47
ხუდია ბორჩალოელი 53, 54

ჯავად-ხანი 59, 60, 63, 70
ჯავახიშვილი 35, 75, 77
ჯამბაკურ ორბელიანი ალექსანდრე 43
ჯანაშვილი მოსე 10, 12, 13
ჯაფარ-ყული-აღა 79
ჯაფარ-ხან ზენდი 64
ჯორჯაძე იოანე 84

ჰამიდ 73
ჰუსეინ-ხანი (ბაქოს) 72
ჰუსეინ-ხანი (ერევნის) 28, 77, 79

## გეოგრაფიული სახელები

აბარანი (აპარანი?) 73
ადრიბეჯანი (აზერბაიჯანი) 45, 46, 48, 51, 64
ავლაბარი 46, 62
ავნევი 51
ავჭალა 46
აზამბური 51
აზია 13, 25, 67
ალაზანი 47, 48, 59, 67
ალი 50
ალგეთი 73
ამიერკავკასია 42
ანანური 81
ანდრია 88
ანწუხი 86
არაგვი 68
არაქსი 36
არაყი (ერაყი) 64
არდაველი 71
არშას ციხე 68
არეზი 71, 85, 86
ა[illegible]რაწნი 80
არფაჩაი 73
ასლანდუზი 86
ასპინძა 53
ასტრახანი 51, 72
ატოცი 26, 51
აღმამადლი 52
აღსტაფა 72
აღჯა-ყალა 74
აწყური 53
ახალქალაქი 28, 55, 73, 77—79
ახალციხე 51, 53—55, 58, 59, 61, 63, 75, 77, 78, 79
ახმეტა 52
ახტალა 59

ბაიამათლო 63
ბაიდარი 49
ბამი 64
ბანბაკი 71
ბაქო 35, 66, 72, 80, 82
ბედენი 75
ბელაქანი 66, 69
ბელოღოროდი (ბელგოროდი) 69
ბოდბე 55
ბორბალა 75
ბორჩალო 14, 50, 52, 65
ბულაჩაური 81
ბურღნალი 76
ბუხარა 88

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჯა 41, 46—49, 51, 56, 59, 60, 63—67, 70—72
გარე კახეთი 86
გარნისი 71, 78
გატეხილი ხიდი 61, 68, 74
გვერდისძირი 13, 26, 67
გიაურარხი 62
გილანი 60, 72
გოგჩა 59
გომბორი (გონბორი) 50, 85
გორი 47, 52, 54, 61, 79
გროზნო 88
გუმრი 73

დავით გარეჯის მონასტერი 56
დანლისი 46, 50
დარბაზი 71
დარუბანდი ან დარბანდი 46, 60, 66, 80
დაღისტანი 62, 80, 88
დედოფლის-წყალი 46, 50
დემურჩიასანი 65
დიდგორი 65
დირბი 66
დილომი 65
დმანისი 74
დურნუკი 62
დუშეთი 81

ევროპა 13, 25, 67, 68, 88
ერანი 46, 47, 74, 77, 78, 88
ერევანი 28, 36, 47, 48, 50, 52, 58—60, 71, 73, 74, 77, 78, 79, 84, 85
ეჩმიაძინი 28, 71, 79

ვაკე 76, 77
ვახანი 59
ველისციხე 66, 86
ვლადიმირი 50
ვორონეჟი 71, 77

ზანგანი 46
ზანგის მდინარე 71
ზაქათალა 70
ზედაველა 61
ზედუბანი 76
ზეიბა 60
ზესტაფონი 76
ზღუდერი 50

თაბორის ციხე 47, 65
თავრიზი 36, 45, 58, 72, 80
თართარი 71
თარღუ 88
თბილისი 11
თეირანი 71
თელავი 81, 82, 84
თიანეთი 39, 72, 81, 85, 86
თოფ-ყარაღაჯი 50
თრიალეთი 85
თულქი-თაფა 49
თურქეთი 30
თუშეთი 53

იედიბოლუქი 14, 65
ილტო 16, 63
იმერეთი 42, 53, 54, 63, 75, 77
ინჯადარა 17, 62
იორი 47, 53, 57, 59, 62, 67, 86
ირანი 22, 35, 36, 37, 38, 41
ისპაჰანი 45

კავკასია 42
კაკაბეთი 82
კახეთი 9, 11, 12, 15, 26, 27, 34, 38, 39, 40, 42, 50, 51, 54, 66—69, 81, 83—85, 87
კეხვი 52
კისტანი 87
კობიანთ-კარი 81
კოდა 74
კოთელია 65, 78
კოპი (კობი) 53
კონსტანტინოპოლი 73
კორტოხის მთა 75, 76
კოწახურა 85
კრცხინვალი იხ. ცხინვალი
კრწანისი 61, 65
კუმისი 46
კუხას-წყალი 76

ლალისყური 84
ლენინგრადი 9, 11, 30, 31
ლენქორანი (ლანქარანი) 86
ლელოანი 74
ლიახვი 13, 26, 54, 57, 77
ლონდონი 88
ლოსიათ-ხევი 63, 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანავი 39, 82, 86
მარაბდა 48
მარტყოფი 46
მატანი 62, 81
მაღლაკი 76
მაღლა მდოვლეთის ტბა (შდრ. მაღრან დოვლეთი, ანუ მაღრან დვალეთი) 88
მაშათი 47, 66
მდოვლეთი 88
მელაანი 68
მეტეხი 46, 47, 65
მთიულეთი 42, 43, 65
მისაქციელი 57
მოსკოვი 57
მოხისი 59
მტკვარი 49, 54, 59, 65, 72, 80
მუკუზანი 66
მუღანი 65, 84
მუშკანბარი (მუშკაბარი) 64
მუხრანი 50
მცხეთა 22, 67
მჭადიჯვარი 41, 49

ნამაშევი 76
ნარა 77
ნაფარეული 84
ნახჩევანი 55, 59
ნებოს-ძირი (ნებოძირი) 76
ნიახურა 67
ნიჩბისი 70
ნორიო 65
ნუკრიანი 86

ოდიში 60, 61, 75
ოვსეთი 77

პავლეური 81
პატარძეული 51, 82
პეტერბურგი 11, 27, 30, 36—39, 51, 84

რაჭა 53, 77
რიაზანი 34, 88
რომი 49
რუისი 78
რუისპირი 50, 81
რუსეთი (როსია) 11, 18, 20, 22, 25, 26, 27, 30, 34—39, 50, 51, 53, 54, 58 — 60, 66, 68—70, 74, 75, 77, 84, 87, 88
რუსთავი 61

საბარათიანო 62
საგარეჯო 81, 82
საგუბრის ხევი 17, 65
საგურამო 62
საკირე 70
სალიანი 66
სამაჩაბლო 52
სამება 82
საფიჩხიას მთა 54, 76
საქარა 75
საქართველო 9—12, 15, 16, 18, 20, 23, 26, 30, 33, 35—40, 42, 53, 54, 58, 65, 69, 70—73, 79, 84, 85
საქაშეთი 59
საყინულე 46
სიონი 68
სიღნაღი 55, 82, 86
სოლოლაკი 46
სომხითი 61, 77
სოღანლუღი 65, 70
სპარსეთი 36, 37, 45, 48, 50, 51, 64, 69, 74, 77, 78, 88
სტანბოლი 55
სტეფანწმინდა 49
სურამი 54, 59, 75, 76
სუჰყულიანი 30, 51

ტეზერი 51
ტულა 71
ტფილისი 27, 35, 38, 40, 43, 45, 47, 49, 56, 64—66, 68—72, 74, 77, 78, 81—88, 87, 88

ულევი 71
უფლისციხე 54

ფადარი 63
ფამბაკი (ფაბაკი, ბანბაკი) 53, 74
ფალდერევანი 17, 62
ფასანაური 81
ფაფრის მინდორი 86
ფოთი 54, 74
ფრეზეთი 62
ფშავი 39, 86, 87

ფხვენისი 59
ფცოველი 55

ქარელი 68, 69, 78
ქართლი 9, 10, 12, 13, 15, 18, 20, 22, 25—27, 33, 40, 51, 54, 55—58, 60, 61, 66—68, 70, 77—79, 81, 84
ქართლ-კახეთი 9, 10, 42
ქენფერი 68
ქვემო სატიოს რიყე 45
ქიზიყი (კიზიყი) 46, 50, 55—57, 61, 62, 64, 82, 85, 86
ქირმანი 64
ქოდალო 38, 86
ქსანი 13, 26, 57
ქუთაისი 54, 75, 76
ქურაგი 71
ქურთი (ქურთისტანი) 17, 62

ღართის-კარი 50, 56, 57

ყაზახი 49, 60, 71, 84
ყალაჩა 61
ყარაბაღი 47, 60, 65, 74, 80
ყარადაღი 47, 49, 60
ყარათაფა 47
ყარაია 52, 59
ყარასუ 50
ყარაღაჯი 61, 82
ყარსი 17, 30, 54, 62, 66, 73
ყელქცეული 68
ყვარელი 49, 85
ყიზილჩახჩახი 66
ყიზლარი 72
ყირბულახი (ყირიხბულახი) 48
ყუბა 80

შამახია 56, 66
შამშადილი 49, 60, 63, 88
შამქორი 49, 59, 60
შაქი 48, 49, 55, 60, 80
შილდა 86
შირაზი 50, 58, 64
შირვანი 49, 55, 72, 80
შორაპანი 54
შულავერი 63
შუშა 46, 47, 49, 50, 56, 59, 64—66, 79

ჩაჩნეთი (ჩაჩანი) 34, 42, 88
ჩივაძიანთ-კარი 69
ჩინგილი 60
ჩუმლაყი 82
ჩხერი, ჩხერისა ციხე 76

ციმბირი 87, 88
ციხის-ძირი 81
ცუცხვათი 54
ცხინვალი 50, 54—56, 66, 77
ცხრაწყარო 76

ძევერა 61

წალკა 70, 77
წითელ-კლდე 76
წყალ-წყული 87

ჭალა 59
ჭარი 41, 48, 55
ჭვრივი 77
ჭინჭარი (ჭინჭრის გზა) 62
ჭიშურა 76

ხანის მთა 77
ხაშმი 82
ხევსურეთი 39, 86, 87
ხეობა 77
ხვითუბი 55
ხორასანი 65, 66
ხუდაფერინის ხიდი 48
ხუნძახი 55
ხუნწი 61

ჴელთუბანი 61
ჴიზიყი (იხ. ქიზიყი).

ჯავახეთი 54, 55, 61, 73, 77
ჯიხაიში 76
ჯომუშლი 17, 62
ჯუგაანი 50

ჰამადანი 46

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეთნიკური სახელები


ავღანი 48
ამერ-იმერნი 78
აფხაზი 63, 76

დიდონი 84

თათარი 46, 54, 59, 61, 75
თურქი 53, 54, 62, 73, 78
თუში 68, 85, 87

იმერელი (იმერნი) 51, 53, 54, 58, 61, 64, 65, 74—76
ირანელი 46
იტალიელი 28, 77, 79

კახ-ლეკნი 86
კახი 47, 50, 80, 81—87

ლეკი 16, 26, 30, 34, 46—59, 61—63, 65—69, 73—75, 77, 81, 84—86 88

ოსი 75, 77, 88
ოსმალო 66, 67

რუსი 53, 54, 58—60, 66—88
რუს-ქართველნი 88

სომეხი 25, 33, 61, 67, 83—86
სპარსი 17, 28, 46, 64—66, 71—74, 77—79, 80, 84, 86—88

ფრანგი 80
ფშაველი 53, 81, 85

ქართველი 18, 23, 26, 32, 45, 47, 48, 52—55, 58—66, 68—70, 72, 73, 77, 78, 80, 81, 88
ქართველ-ლეკნი 86
ქურთი 47, 52, 54, 62

ყაზახი (ყაზახელნი) 63, 72, 86
ყიზილბაში 84

ჩერქეზი 49

ხაზარი 23
ხევსური 85, 87


## სადაურობა-წარმომავლობის სახელები


ავარელი 34, 49, 59, 67, 85
ანწუხელი 84
არაგვიანნი 81
ახმეტელი 62, 81

ბაიამათლოველი 64
ბამელი 64
ბორჩალოელი 50, 52, 53—55, 65
ბულაჩაურელი 81

განჯელი 63, 65, 70, 72
გილანელნი 72

ერევნელი 47, 48, 59

თიანელი 81
თიქნისელი 14, 62

კახელი 18, 67
კოთელიელნი 78

მარტყოფელი 56, 67
მატანელი 81

ნარელი 77

ნახჩევნელი 59

ოდიშარი 61, 63, 76, 77

საგარეჯოელნი 82
საქარელი 75

ფამბაკელი 55

ქიზიყელი 50, 63, 82, 84, 86

ყარაბაღელი 60, 66
ყვარელელი 86
ყუბელი 56

შამშადინელნი 63
შაქელი 56
შილდელი 86
შირაზელი 87

ჩაჩნელი 88

ჭარელი 48, 61, 68, 70

ხორასნელი 46

ჰერთვისელი 55

n 874/15

Памятники грузинской исторической литературы

IV

ТЕЙМУРАЗ БАГРАТИОНИ

# НОВАЯ ИСТОРИЯ

(на грузинском языке)

Текст подготовила к печати исследованием и указателями снабдила Л. В. Микиашвили

Тбилиси
1983

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2173

*

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი პროფ. შ. ბადრიძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. შოშიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი
მხატვარი ტ. შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ნ. მაჩაიძე

გადაეცა წარმოებას 2.6.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.1983;
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 6.3;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3;

უე 03987; ტირაჟი 7000; შეკვეთა № 603;
ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19